ქალბატონ ნინოს

ეფსითირი ეიერია

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1963

635.9(41)
635.9 (47.922) (092 მამულაშვილი) + 899.962. 1 — 4.
6.347.

ქეთევან ხახუტაშვილის ამ პატარა წიგნში მკითხველი გაეცნობა მხცოვანი მებაღე-დეკორატორის მიხეილ მამულაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აეტორი მოგვითხრობს ამ სახელოვანი მებაღის ბიოგრაფიის ყველაზე ღირსშესანიშნავ ეპიზოდებზე, თვალწინ გვიშლის, თუ რაოდენ დაუცხრომელი, ბეჯითი შრომითა და საქმის უღრმესი სიყვარულით მიაღწია მან წარმატებებს მეყვავილეობის დარგში.

საზოგადოებრივი რედაქტორი გ. ნატროშვილი
რედაქტორი თ. ჯინჯიხაშვილი
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. მიქელაძე, ვ. მალანია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-63 წ.
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 7,02.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 6,84. ჩაკვრები 1,31.
საავტორო თაბახი 6,69.
უე 00525. ტირაჟი 5000, შეკვ. № 807.
ფასი 04 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1- я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

დილა მშვიდობისა!

ჩამავალ მზის სხივებს მიაცილებენ წალკოტის ყვავილები, მერე მთქნარებას დაიწყებენ და თვალების ხამხამს მოჰყვებიან.

— ძილი მოგერიათ, განა? დაიძინეთ, დაიძინეთ, — ტკბილად ჩაილაპარაკებს მოხუცი და ყვავილებისაკენ დაიხრება. თითო სიტყვას არ დაიშურებს, რაგინდ დაღლილი იყოს, მაინც გამოელაპარაკება. ზოგს მოეფერება, ზოგს გაუწყრება; ყვავილებმაც იციან მოხუცის ხასიათი, იციან მისი გაწყრომა ალ;,რსი და მოფერება რომ არის, გაჯავრებას ერიდებიან, გაღიმებულს დაინახავენ და უხარიათ.

ახლაც ბაღში შესული მოხუცი მებაღე ტკბილად ემუსაიფება ყვავილებს.

— აი, შე უხეირო შენა, რას აკეეტავ თვალებსა, არ გეძინება? ემანდა შენთვის იყავ ჭკვიანადა, არა იეშმაკო-რა შენ გაზრდასა, თორემა, არ ვიცი რას გიზამ, — გადაულაპარაკა მოუსვენარ ღიღილოს და თან სიყვარულით გადაუსვა ხელი ფოთლებზე.

ყვავილები ფეხის ხმაზე იცნობენ მებაღეს, მარჯვენას მაგრად არტყამს, მარცხენათი კი ტერფით ეხება დედამიწას. ახლაც გაიგო თუ არა ბაიამ მისი ფეხის ხმა, აწრიალდა:

— წყალი, წყალი...

— აი, წყალი შენა და შენ თავსა, რაღა დროს წყალია, მთელი დღე წყალს გაიძახი, იმიტომაცა ხარ აგრე გადაყვითლებული გოგრის ყვავილივითა. აღარც შნო გაქვს და აღარც ლაზათი, დაიძინე, დაიძინე, ახლა სხვებიც გინდა ამიყვიყვიო? დაიძინე, თორემა...

— წყალი, წყალი, — ისევ გაიძახის და ბუზღუნებს. — განა ავადა ვარ, წვეთ-წვეთად რომ მასმევ წამალივითა, გენანება წყალი?

მოხუცმა იცის ბაიას ხასიათი, ბალღივით ჭირვეული რომ არის, არც მუქარა აშინებს და არც ხვეწნა სჭრის, სანამ წყლით არ გაიჭყიპება, არ მოისვენებს. მოხუცი ნელა გაემართა აუზისაკენ. ყვავილებმა კი, მთვლემარე ყვავილებმა საყვედურით გადახედეს ბაიას და მიაძახეს:

— რა უსირცხვილო რამა ხარ, ნეტავ რას აწვალებ ამ ხნის მოხუცსა...

— აბა, მიირთვი, — ჩურჩულით უთხრა და ნელ-ნელა წვეთწვეთობით დაალევინა.

პაიამ სიამოვნებით ამოხედა და თავის ცანცარს მოჰყვა: იცოცხლე, იცოცხლე, მოხუცო...

— გეამა განა? ახლა კი მოისვენე, დაიძინე, დაიძინე...

— აი, შენ არ მოუკვდი დედასა, რა ლამაზი ხარ, შე მატრაკვეცავ, შენა, — ჩაუჩურჩულა ბილიკზე გადმოსულ ზიზილებსა და ადგილი გადაუნაცვლა.

ბზე ჩადიოდა. წალკოტისებურ ბაღში მოხუცი მებაღე ყვავილებს აძინებდა; სწორედ იმ დროს მივედი, მივედი, მაგრამ ჩემი მისვლა ვერც კი გაიგო. ის ყვავილებთან მუსაიფობდა. ტკბებოდა მათი ტიტინით; მოვერიდე, იქვე ვერცხლისფერ ნაძვს ამოვეფარე. მებაღემ გული რომ იჯერა ალერსით, თოხს წამოავლო ხელი, თავის საყვარელ შროშანებისკენ გაეშურა, ძირებს თოხნა დაუწყო, ფრთხილად, მორიდებულად, თითქოს მყუდროების დარღვევას ერიდებოდა. შემდეგ კი...

— გამარჯობა, პაპა!

— ოჰ, კიდევ მოხვედი? — გამიღიმა. ალბათ ჭრელი კაბა არ მოეწონა და გამეხუმრა:

— რა ზებრასავით აჭრელებულხარ...

იქვე ქვის გროვაზე ჩამოვჯექი... ცოტა კი შევფიქრიანდი, იქნება ამ ქვაღორღში ქვეწარმავალი იყოს-მეთქი, შიში ვერ დავმალე და შევეკითხე:

— ეს ბაღში ხვლიკები ხომ არა გყავთ?

— ხვლიკი არა ხარ? შენს მეტი ხვლიკი აქ ვერავინ შემოვა. ხვლიკები თუ არა ხართ, რას დაძვრებით ამ ბაღშია, თქვენც ცდებით და მეც მაცდენთ, — ოხუნჯობს მოხუცი და თან დაყვავილებულ შროშანას ძირებს უთოხნის.

დამენანა მოხუცი, თოხს წავეტანე. მებაღემ ჯერ იუარა, მერე ხელებში დამიწყო ცქერა.

— ქალაქელებმა თოხისა რა იცით, ემანდა ყვავილები არ დამიჭრა, თორემა...

მოხუცი ცალი თვალით უყურებს ნათოხნს. ადამიანს ხომ, როცა განსაკუთრებით უთვალთვალებენ, სწორედ მაშინ ეოუვა მარცხი. ასეც დაემართა. უცბად, თოხი შროშანას ჩახშირებულ ძირს წამოედო და გამოსხიპა, შევშინდი და მოხუცს შევხედე, ის კი ღიმილით მიცქერის.

— აკი გითხარი, ქალაქელებმა თოხისა რა იციან-მეთქი...

— მაპატიეთ, მიხა პაპა, მეტს აღარ მოვჭრი, — ენა მებმება, მრცხვენია.

— ნაპატიები არა ხარ? ხომ არ ჩამოგახრჩობ...

— პელიკო, შვილო, თუ იცი, საიდან გამომეცხადა ეს ჯადო აქა, — სიცილით ეუბნება თავის ქალიშვილს, ისევ მე მომიბრუნდა, — ნეტავი ხშირად

ვესტუმროს შენისთანა უსაქმური, აქ მაინც გაანძრევს ხელებსა, — მეხუმრება.

— ახლა გეყოფა, — მითხრა და თოხს წაეტანა. — არ გეყურება? გოგო, გეყოფა-მეთქი.

— არა, პაპავ, მინდა დავიღალო... შენი ყვავილების მოვლით მინდა დავიქანცო.

— ამათ დაღლა რომ არ იციან... რაც მეტს მიუტრიალდები, მით უფრო მეტს გახალისებენ, თავს შეგაყვარებენ ტიტინითა, ყველა თავის ენაზე გაგიბამს გულისპასუხს, გგონია მოგბეზრდება?

კითხვებით თავს ვაბეზრებ...

— რა ვქნა, თავს აღარ გამანებებ?

— მე კი უფრო ვთამამდები და ვეუბნები:

— ვაჟა ფშაველას პოემა „გველის მჭამელი" წაგიკითხავთ?

— მაშა, როგორ! ქართველმა კაცმა ვაჟა არ უნდა იცოდეს? იქნება ლექსიც გესიამოვნოს... დამცინა მოხუცმა და დინჯად დაიწყო:

„ამ მინდიაზე ამბობდენ
დაუჯერებელ ამბებსა:
მიწდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა"...

მერე მომიტრიალდა და მომაძახა:

— გოგო, მართალია?

სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, მებაღემ რომ პოემის ნაწყვეტი ზეპირად მითხრა.

ისევ გამიმეორა: — კიდევ გინდა?

— აბა, თუ კიდევ გახსოვთ?

იმ მინდიასა ქაჯებთან ტყვეობაში გველის ხორცი შეუჭამია და იმის შემდეგ:

„ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ...

შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო...

„მინდიას გაუმარჯოსო",
ერთხმად ასტეხენ ყიყინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა,
და მერე სათითაოდა

ყველა მოპყვება ტიტინსა...
— ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“

მოხუცი მებაღე სიტყვაძუნწია, ლაპარაკი არ უყვარს; გამიკვირდა რომ ლექსი მითხრა, ალბათ, ვაჟას სიყვარულმა სძლია თორემ... თან კი ხელი არ გაუჩერებია, ვარდის ბუჩქს გამხმარ ტოტებსა და ფოთლებს აცლიდა. დროდადრო კი იღიმებოდა და ყვავილებს შესცინოდა.

— თქვენც მინდიასავით გესმით ყვავილების ენა, თქვენ მინდია ხართ, მცხეთელი მინდია.

— ახლა მინდია დამარქვით? მე ჩემი სახელი მქვია და ისიც მეყოფა. მინდიებიც თქვენა ხართ და სხვებიცა...

ჩაილაპარაკა და დაყვავილებულ ტუხტს ძირში ჩაავლო ხელი მოსაგლეჯად. იძალა, მაგრამ ღონემ უღალატა, მოხუცმა მცენარე ვერ ამოგლიჯა, სინანულით შემომხედა, მერე ისევ გამხნევდა და...

— ეი, შენც აგრე მოგივა, ლამაზო, დაბერდები და... — თითქოს თავს იმართლებსო.

— აი, ამ მიწამ შემიჭამა ჯანი, ძალს ესა და ძალს მე, დღეში ათჯერაც კი კადამიტრიალებია, მკლავში ღონე მქონდა. განა ეგეთი ვიყავი? კარგი ჯველი გახლდით... მოდი აქეთა, მომყევი ერთი, — ჩაილაპარაკა და წინ გამიძღვა.

იქვე, სახლის წინ, კარგა მოზრდილი მარჯნისფერი ქვა მაჩვენა, ქვის შუა, ჩაღრმავებულ ადგილას, ნაცრისფერ ავშანს მოეკალათა...

— აი, ამ ქვას ხედავ? შენი აზრითა, რამდენს აიწონის?

— არ ვიცი, პაპავ, ვერ გეტყვით.

— არ იცი და... ერთ ფუთზე მეტია, ეს ქვაც საიდან სადა მაქვს ჩამოტანილი, ნახევარ გზაზე კი ხელითა მაქვს ნათრევი. აბა ერთი აქეთაც მოისედე და... უფრო დიდ ლოდთან მიმიყვანა, — ეს კი ფასანაურიდან მაქვს ჩამოტანილი. ძლიერ მომეწონა თავისი შეფერილობითა და ჩემს ბაღში გადმოვასახლე. ჰოდა, იტყვიან და იფიქრებენ, ამ პატარა ბერიკაცს ღონე სადღა ექნებაო, აგრეა, შვილო, მითამ არ გინდათ დაიჯეროთ. დიდი გოლიათი შესახედაობისა არ გახლდით, მაგრამ რაც ვიყავ ღონეთ და ხალისად ვიყავ გადაქცეული. აბა, ერთი ამასაც შეხედე!? აი, ამ სიპს რომ ხედავ, ორი ამისთანა, ერთმანეთზე დაწყობილი, მკერდზე მიხუტებული, ამოუსუნთქებლივ ჩამოვარბენილ საგურამოდანა, ამას კი სწორედაც რომ საინტერესო ისტორია აქვს — ფეხის ბაკუნით მიუახლოვდა არყის ხის ბოძზე წამოსკუპებულ ქვევრის სარქველს. — აი, ამ ქვასა, ენა რომ ჰქონდეს რაებს მოგიყვებოდა ახლა... აი, სწორედ შენ რომ გინდა, იმისთანებს გიამბობდა...

— პაპა, მიამბე, მომიყევი, თქვენს ბაღში — ხეს, ქვას, ჭურჭელს, ბალახს, ყველაფერს საინტერესო თავგადასავალი აქვს.

— მოგიყვე? თუ ძაან არ შემაღონებ კითხვებითა, — და ისევ გაიხუმრა, — მაშ არაფერი შემეკითხო, რაც მახსოვს და მომაგონდება, თვითონ მოგიყვები.

მეც კალამი მოვიმარჯვე და ჩემსას ვცდილობ, მეშინია მისი ნაოქვამი სიტყვა არ გამომრჩეს.

— ახლა წერა დაიწყე? აი, შეგაჩვენა ღმერთმა, თქვენი შიშით ხმა ველარ ამომიღია... რასაც ყურს მოჰკრავთ და მოგეწონებათ, მაშინვე ჩაიწერთ, მერე განა ისევე ჩაიწერთ? თქვენებურად შეაკეთ-შემოაკეთებთ და... აბა ეგრე მაინც ჩაიწერე, როგორც მოგიყვები.

და ჩვენ შევთანხმდით...

— მაშინ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა თუ ვიქნებოდი. სწორედ მარიამობის თვე იყო. ცხელოდა, არაგვის პირზე ჭალაში ჩავედით ბიჭები, კარგა ლაზათიანად ვიბანავეთ და, წიწამურის ტყისკენ ავყეთ არაგვს. გზად ეტლი შემოგვხვდა, ცოტა შორი იყო და ვერც კი გავარჩიე იმ ეტლში ვინ იჯდა. ეიფიქრე, ან ილია იქნებოდა და, ან იქითკენ მიმავალი სტუმარი, გულმა მეც საგურამოსაკენ გამწია, კარგა ხანი არ მენახა ჩვენი საყვარელი, ქვეყნისა და ხალხის ბედიღბლის მოტირალი მწერალი. ისე არ გაივლიდა ქალაქიდან საგურამოსაკენ, რომ სვეტიცხოვლისთვის არ შეეხედა. ბაღი და ყვავილები ხომ ძლიერ უყვარდა, როგორც ყვავილების მოსიყვარულეს, ჩემთან გამოლაპარაკება სიამოვნებდა იმ სულმნათს. სიხარულით ცას ვეწეოდი, ისეთი გონების კაცი რომ ჩემთან მუსაიფს კადრულობდა. მეც ვეშინაურებოდი, ხშირად ავდიოდი მასთან და ეზოსაც დაეტყობოდა ჩემი ხელი, მაშინვე ძლიერ მიყვარდა მიწასთან ბრძოლა, ყვავილების მოვლა და აკი ილიასაც დიდად სიამოვნებდა ჩემი ნახელავი.

იმ დღესაც, ავედი თუ არა, ეზო მივათვალიერ-მოვათვალიერე. ეზოში ქვევრები ეწყო. მაინც რა არის ყმაწვილკაცობა, მაშინ ნაკლებად გეხათრება ადამიანისა და მეტად ცნობისმოყვარეცა ხარ. ძლიერ მომეწონა ის ქვევრები თავისი სილამაზითა; იქვე კი ქვევრის ორი ლამაზი ქვის სიპი სარქველი ეყუღა კედელთან. გულში გავიფიქრე: ნეტავი მტერი მოკვდეს და ეს კი ჩემი ქნა-მეთქი. ბარე ათჯერ შემოვუარე იმ ქვევრებსა, ხან თვალით ვზომავდი და ხან ხელით ვეფერებოდი. თურმე ნუ იტყვით, იმ სულმნათს ფანჯრიდან უთვალთვალებია ჩემთვინა და ფეხაკრეფით, დინჯად ისე წამომეპარა, რომ ვერა გავიგე რა; ახლოს მოვიდა, მხარზე ხელი დამადო და გამეხუმრა: — რაო, მიხა, ჩემი ქვევრ-მარანი მოგეწონა განა?

მე შემრცხვა, მაგრამ გამიკვირდა, თითქოს ჩემ გულში იჯდაო, ისე მიმიხვდა ნატვრასა. — გატყობ ძლიერ მოგეწონა ჩემი ქვევრები ჰა? — კიდევ გამიმეორა კითხვა. — ქვევრიც კარგია და სარქველიც ხომ უკეთესია; რა

ძაან ლამაზია. იტყვიან ქვა რა არის და იმისი სილამაზეო, მაგრამ აბა, შეხედეთ რა ძაან ლამაზია ეს სიპები. — ჰო, შენ, ქვა უფრო მოგეწონა, გატყობ, მიხავ, წაიღე, შენთვის მიჩუქებია, — დინჯად მითხრა.

მე სიხარულით ცა გამეხსნა, თავბრუ დამეხვა. ილიამ, დიდმა ილიამ, ქვევრის სარქველი მაჩუქა, შემრცხვა და ესღა მოვახერხე: მერე ამ ქვევრებს რომ ჩაჰყრით, სარქველი არ უნდა? — გულშემატკივრობა გამოვთქვი.

— შენ თუ მოგწონს, წაიღე, ქვევრი პირღია არ დარჩება მემარნესა... — აბა როგორ წაიღებ ახლაო. — მითხრა. მე კი მაშინვე ორივე სიპი ერთმანეთზე დავაწყე, ბუმბულივით ავიტაცე ხელში, მკერდზე მივიხუტე და სიხარულმა ბადლობის თქმაც გადამავიწყა. ისე დავეშვი თავქვე აღტაცებული, რომ აგრე შეგონა, ილიამ მთელი თავისი ავლა-დიდება მე მაჩუქა-მეთქი. აი, ასე ჩამოვიტანე საგურამოდან ამოდენა სიპები.

ოთხმოცდაათი წლის მებაღე სიხარულს ვეღარ მალავს, და როცა გვერდით ჩაუვლის ამ საპატიო ადამიანის ნაჩუქარს, გაიხსენებს:

— ილია, დიდი ილია... თავის ხელით კი მომაწოდა ეს სარქველები და...

ყოველ შემოდგომაზე, ილიაობის დღეს მოხუცი მებაღე სარქველზე დაწყობილ თიხის ჭურჭელს, ხელადას, დიდ-პატარა კოჭებს გადაალაგ-გადმოალაგებს, გაასუფთავებს, ყველაზე დიდ ხელადას ღვინით გაავსებს და ისე დადგამს — ილია მამულიშვილი იყო და ცარიელი ხელადით როგორ შეხვდება ილიაობასაო... თან შესანდობარს იტყვის, ცხონდეს იმისი სულიო, მერე პურის ნატეხზე ღვინოს დააწვეთებს და ილიას ხათრით ცოტას მაინც შესვამს...

ასეა მცხეთელი მამულაშვილის ბაღში. ამ პატარა წალკოტში ათას ხუთასი სახის მცენარე ჰყვავის სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა სურნელებისა, ყოველდღიურად კი ორი ამდენი ადამიანის თვალი ათვალიერებს ყვავილებსა, ის კი არ იციან მნახველებმა, რომ შესასვლელშივე, ბაღის შუაგულში, შროშანების კვალში, თამადასავით დგას არყის ხის ბოძი, თავზე ის ნაჩუქარი სარქველი შეუდგამს ღვინით სავსე ხელადით, მომსვლელებს უხვდება და შესთავაზებს:

— მიირთვით, მიირთვით, ილიას შესანდობარი.

მოხუცი კი ისევ იმ განცვიფრებით ამბობს:

— ილია, დიდი ილია, თითქოს ჩემს გულში იჯდაო, ეგრე მიმიხვდა საწადელსა; მერე თავის ხელითვე რომ მომაწოდა ეს სარქველი. ეგრე ესმოდა ქვეყნისაცა, ეგრე კითხულობდა. სხვის გულში ნატვრასა და სურვილებს, ეგრე გებულობდა სხვის სიხარულსა და მწუხარებასაცა.

ტკბილმოუბარი მოხუცი საამო ხმით მელაპარაკება, სიყვარულით იგონებს ილიას. თან სინანულით დასძენს:

— რა მოკლე ხარ წუთისოფელო, მაშ მაგისთანა ადამიანს სიკვდილი უნდა მიეწიოს?

სვეტიცხოვლის გალავნიდან ბინდი შეეპარა ბაღნარს, ყვავილებსაც

ბაღის შუაგულში, არყის ხის ბოძზე, მებაღეს
ილიას ნაჩუქარი სარქველი მოუთავსებია.

თითქოს ჩაეძინათ. მოხუცი ფეხაკრეფით დადის. — ხმაური არ ეამებათ ჩემს ყვავილებსაო...

მერე ყველასთან სათითაოდ მივა, ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს მთვლემარე ყვავილნარს და სიამოვნებით სახე უბრწყინდება, უხარია და ჩურჩულებს:

— ამ ეშმაკებს ძლივს არ ჩაეძინათ?

შემდეგ აუზისაკენ გაემართა, სარწყავი აიღო და კვალს მიაშურა. მე გაკვირვება ვერ დავმალე და შევეკითხე:

— პაპა, მძინარე ყვავილებს წყალი ეამებათ განა?

გამიცინა და მითხრა:

— ხშირად მესტუმრე ხოლმე და ამაზე მეტებსა ნახავ... როგორ ვგონიათ, ამოდენა დღეში სიცხე და მტვერი არ შეაწუხებდათ?

— მეც თავის ენაზე ველაპარაკები — მერე, ხომ დააძინეთ ყვავილები?

— ჰო, დავაძინე, დავაძინე... გიკვირს მძინარის ბანაობა თუ შეიძლებაო? ბაღლი და ყვავილი ერთნაირ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ ერთ რამეში კი არ ჰგვანან ერთმანეთს, პირველი დაძინება უჭირთ, თორემ რაკი ჩაეძინებათ, უგრძნობი ძილი იციან, ვერას გაიგებენ ხოლმე. მე ასე მყავს მიჩვეულები, საღამო ხანს ვაბანავებ ხოლმე, სანამ გაეღვიძებათო, — შემომხედა, გამიღიმა და ისევ აუზისაკენ გაეშურა.

დილით მზის ამოსვლას ასწრებს მებაღე. ადრე უყვარს ადგომა. ფეხაკრეფით იცის ბილიკებზე სიარული. ძილი არ გაუკრთო ყვავილებს, თორემ ცუდ ხასიათზე გაეღვიძებათო და მიამბობს:

— ზოგიერთი ყვავილი ადრე იღვიძებს, რაკი დილის ნამი მოხვდება, რიერაეზევე იცის თვალების გახელა. ზოგი მზის ამოსვლას ეგებება; ნებიერებიცა მყავს, ამათ კი მძინარა ყვავილებს ვეძახი.

მზე კარგად თუ არ დაათბობს ბაღს, ისე თვალებს არ გაახელენ, არც ვაგეპასუხებიან. ძილს ძლივს გაართმევენ ხოლმე თავს, მაშინ მეც უნდა მოვეფერო, გული გავუხსნა, ალერსი შევაგებო, რომ კარგ ხასიათზე გაეღვიძოთ, თორემ თუ გამწყრალი სახით დამინახეს, ესენიც გაჯავრდებიან და მთელი დღე ეეღარ გავაჭიარულებ. მოიღრუბლებიან, იტყვიან, ყვავილებთან მუშაობა ადვილიაო, ვის მობეზრდებაო; მოსაბეზრებელი კი აბა რა არის, მაგრამ მარტო მუშაობაც არ კმარა, თუ ყველა მცენარეს ხასიათი არ გაუგო ადამიანმა, აბა ისე რის მაქნისია მისი მებაღეობა — ტკბილად მეუბნება და დროდადრო კი, რომელი ყვავილიც კი ხელში მოხვდება, ეფერება, ხელს გადაუსვამს, შესცინებს და ჩაულაპარაკებს:

— აი, შე უხეირო შენა, ყველაზე ადრე შენ იძინებ და გაღვიძებითაც გვიან გინდა გაიღვიძო; გაიღვიძე, გაიღვიძე, შენ გაზრდას, რაღა დროს ძილია, ღამე პატარაა განა? აბა, ყოჩაღად იყავი, მხიარულად დაუხვდი ყველას, დღეს ბევრი სტუმარი გვყავს, ხომ იცი? თუ წარბშეკრული დაგინახეს, იტყვიან, ეს რა უხასიათო ყოფილაო, გაგვლანძღავენ, ძვირს იტყვიან ორივეზე. აბა უხეირო ვის რათ უნდა — გაეხუმრება და თან მუჭით წყალს შეასხავს.

— აი, პირიც კი მე დაგბანე, შე მძინარავ შენა, — ძილბურანში მყოფი ყვავილიც სიამოვნებით შეხედავს გაღიმებულ მოხუცს, თვალების ხამხამს მოჰყვება და ატიტინდება თავის ენაზე. მცხეთელი მინდიაც ასე „მითარგმნის“ ნათქვამს:

— ყვავილმა დილა მშვიდობისა მითხრაო...

მიწიანი თითეები

მცხეთა... არაგვის ქუჩა... მეხუთე სახლი... პატარა ალაყაფის კარები, შიგნით ფართოაივნიანი ქართული სახლი. გადადგამთ რამდენიმე ნაბიჯს და თქვენს წინაშე უჩვეულო, ზღაპრული სამყარო გადაიშლება: ხელმარცხნივ, ცის სივრცეში ატყორცნილი ჯვრის მონასტრის და, იქვე ახლოს, დიდებული სვეტიცხოვლის ფონზე დაინახავთ პატარა ბაღს, ყვავილებში ამეტყველებულ ხელოვნებას—ადამიანის ხელით შექმნილ უბადლო ნაწარმოებს. თქვენს გარშემოა ფერებისა და ხაზების იშვიათ კომპოზიციაში შეკრული ცოცხალი ნატურმორტები. მისი „ფერადებია“ უჩვეულო მონახაზის სხვადასხვა ხის ტოტები, თიხის ქოთნები, ზოგჯერ თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ოსტატურად არის გამოყენებული ამ ნატურმორტებში. მამულაშვილი ფერწერის დიდი ოსტატივით თავისუფლად და მეტყველად ხმარობს თავის „საღებავებს“.

კერამიკაში ამეტყველებული ხელოვნება.

შეჰყურებ ამ ზღაპრულ წალკოტს, და ხედავ, აქ, ამ პატარა ერთ მუჭა-მიწაზე, თავი მოუყრიათ საქართველოს მიწის ყველა ლამაზებს — ყვავილებსა და ბალახებს. უცხო მხრისანიც ბლომად არიან. შეხვალ და დაიკარგები, სად არ იმოგზაურებ: ხან ზედაზენის დაბურულ ტყეში დადიხარ, ხან კი შორეულ მთა-ველებს შემოივლი. ეს ბაღი არაგვისა და მტკვრის სანაპიროდან უცებ საფრანგეთში, ლუარის ნაპირებზე გაგიყვანს, გაგაცნობს იქაურ ჭრელ-ჭრელა ყვავილებს, მერე ალპებს გიჩვენებს, გამოგზაურებს უდაბნოშიც, მოგატარებს მთელ ქვეყნიერებას, გაჩვენებს ბევრს, უცხოსა და უცნობს, უზომოდ გაგახარებს, შემდეგ კი ისევ შენს ქვეყანაში, ქართულ ბაღნარში დაგაბრუნებს, იმ ბარაქიან ზვარში, საიდანაც წახვედი.

მწვანე სამოსში გახვეული სახლის წინ, ჩიტავაშლას ქვეშ, დიდი ქვევრი გდია, პირღია ქვევრი, დროჟამით დახავსებული, ფერშეცვლილი. დგეხარ და თითქოს მოგესმის როგორ დუღს მაჭარი, დიახ, ისე ცოცხალია აქ ყველაფერი. ხან ბაგინეთის მთაზე ხარ, ხან მუხათგვერდში, თვალით ეფერები აქაურობას, სადაც მცხეთური ფურისულები მექსიკური კაქტუსების გვერდით დასახლებულან. ვაზი კი, საქართველოს მკვიდრი ბინადარი, ქართული ვაზი ყველგან არის, ყველგან ხარობს და აქაც შემოსახლებულა. ეგ რა არის — რცხილისა და კუნელის ჯაგებიც არ დავიწყებია. მოხუც მებაღეს. ბაღს არც ველის ყვავილები აკლია, ყოჩივარდები და ენძელები; ქვებიც ათასი ფერისაა, ათასი ზომისა, ათასი ფორმისა; ხეხილიც ბევრია, ნუშის ხეები, ბროწეულები და ვაშლები, ვაზები, ისევ ვაზები — ქართული, ფრანგული, იაპონური — აბა ვინ მოსთვლის; აბა ვინ გაუსინჯავს გემოს ამდენ სხვადასხვაფერის ჩაშაქრულ მტევნებს, ყველგან ყვავილები ხარობენ, ყველგან — ქვაზე, ხეზე, მზეზე, ჩრდილში, სინათლეზე და ყველაფერი ქართული ეშხითაა დამშვენებული.

...ბაღს საცალფეხო ბილიკი მისდევს. ამ ბილიკს ორივე მხარეს დაბალი ღობეწნული აქვს შემოვლებული. შესასვლელთან კარგად მოზრდილი რცხილის ჯაგია. ამით უნდა დაიწყოთ ბაღის გაცნობა — მცხეთური ხშირვაშლითი და რცხილის ჯაგებით. ბაღის მისასვლელსვე ამშვენებს ვერცხლისფერწიწვებიანი კედარი, იისფერი და ლურჯთვალა კატა-ბარდა რომ შეპარვია.

— ეს კედარი ოცდაშვიდი წლისაა, მისი თესლი წინანდლის ბაღიდან წამოვიღე, — ამბობს მოხუცი მებაღე.

ფერთა ზღვაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ჰყვავიან ცეცხლწაკიდებული ყაყაჩოები, ვარდები, მოცისფრო, მოლურჯო ფერის სურნელოვანი იასამნები, უხვყვავილიანი მოყვითალო-მოოქროსფრო ჟასმინები, წითელ ფოლოლებზე თეთრად გადაპენტილან იაპონური ტყემლები.

აქვე თეთრად და წითლად მოღაღანე ზიზილებია, ადრეულ გაზაფხულზე რომ იციან ყვავილობა, იქით კი ცოტა მოგვიანებით მოყვავილე კავკასიური შროშანებია, იქვე ფრანგული სუფრის ჯიშის მუსკატის ქარვისფერი ყურძნის მტევნები ირხევიან.

ბებერი მუხა საამურად შრიალებს. ის ყველაზე დიდი ხნისაა, ყველაზე მაღალი, ყველაზე ძლიერი. მადლიანი ჩრდილი აქვს. ჩრდილქვეშ, წიფლის ტოტებისაგან გაკეთებული სკამია, წელმისაყუდებელი სკამი, ჩამოჯდები და იქიდანაც უამრავ საოცრებას დაინახავ.

მაღალი თუთის ტოტებიდან იზაბელას შავი მტევნები გიწვევენ, ქვეშ კი სვეტიცხოვლის გალავნის მუქმწვანე ფერის ქვებს ახლოს ლამაზი კლდისდუმა ჩანს. მებაღე ამბობს: ეს მცენარე მცხეთურია, ბაგინეთის მთიდანა მაქვს ჩამოტანილი, ქვებში უყვარს ცხოვრებაო. ქვის ნამტვრევებს ლამაზად შემოვლებია ზედაზენის ტყის მწვანე სურო და უფრო მიმზიდველ სანახავსა ხდის.

სახლის კედლები დაფარულია სუროთი; ბაღის მხარეს, წინა ფასადზე იაპონური მცოცავი ვაზი ჩაკირულა, ქვითკირის კედელს საოცრად ჩასვევია თავისი პაწაწა ლამაზი ულვაშებით. გაზაფხულზე მწვანე ფოთლები თეთრი წინწკლებითაა დაჩითული, შემოდგომისას კი მუქწითლად იცვლება, შემდეგ მოყვითალო ფერს ღებულობს და... არაგვის ჭალიდან დაუბერავს თუ არა ნიავი, შრიალ-შრიალით გააბნევს ბაღის მიდამოებში, სახურავზე, ყველგან, ყველგან...

ფართო, ღია დერეფნის მთელ სიგრძეზე ქარვისფერი ყურძნით დამძიმებული ერთმანეთზე გადახლართული ვაზის რქა. იქვეა მაღალი ტანაყრილი ვარდები. ეს ვარდები ასკილზეა დამყნობილი, ასამდე ჯიშია, სულ ერთმანეთზე უკეთესები, ბაღის ყოველ კუთხეში, ბაღის ყოველ კუნჭულში რომ ჰყვავიან და სურნელებით ავსებენ ამ წალკოტს.

სახლის წინ, კიბესთან, თითქოს დეკორაციული, „უწესრიგობით" მიმობნეულა სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვები. მებაღე ამათ მახინჯ ქვებს ეძახის: მართლაც, ზოგს ფეხის ფორმა აქვს, ზოგს — ხელისა, აქ ნახავთ გულგახვრეტილ ქვებს, მრგვალს — ეს ნაგორები ქვაარ, — ამბობს მებაღე. აქვეა სხვადასხვა ზომის ქოთნები — მთელები და გატეხილები. ნიჟარები, კენჭები, გაქვავებული ხეები, რამდენიმე ნაბიჯი და ისევ ვარდების სამეფოში ვართ, ნაირ-ნაირი ფერისა და ელვარების ვარდებია... ეს, მართლაც, ყვავილთა სამყაროა.

ბაღს შუაზე არყისხის თალარი ჰყოფს, ვაზით დამშვენებული. თალარის ქვეშ ხის მაგიდებია, კუნძები, მუხისა, წიფლისა, არყის ხისა. ამ ყვავილნარში ფუტკრის სკები ჩაუმწკრივებია პატრონს. ბაღის ბოლოში, სვეტიცხოვლის მხარეს, გალავანთან, მოზრდილი გალიებია. მებაღეს იქ სხვადასხვა ჯიშის ყურცქვიტა კურდღლები ჰყავს. კიბესთან დიდი ქვა უდევს, ეს ფასანაურის ზემოდან, სოფელ არახვეთიდან ჩამოუტანია მამულაშვილს, მომეწონა თავისი შეფერილობითა და ფორმითაო, — ამბობს ის.

ბაღშივე გხვდებათ დიდი ნათელი ორანჟერეა, განა ერთია? ხუთია. გაზაფხულდება და მოხუცი მებაღე შუშებს ასწორებს, ზოგს შუშებს მოაცლის, ზოგს დაათბობს, აქეთ მცივანა ყვავილები მყავსო. არაფერს კი არ დააგვია-

ნებს, არაფერი დაავიწყდება, დროზე იცის მოხუცმა მებაღემ საქმის მიტანება. მაგრამ ხანდისხან კი... აი, ახლაც ორანჟერეაში ფუსფუსებს, იზაბელას ვაზი ლამაზად გადახლართულა მთელ სიგრძეზე, მოხუცი ღონდება:

— რა ვქნა ი ბიჭი აღარ გამოჩნდა?

— რათ გინდათ? — ვეკითხები.

— რათ მინდა და... ერთი შენ გახარებასა, ახალგაზრდა ხარ, ნუ დაგეზარება, შედექი ამ კიბეზედა და შუშები ააცალე, თორემა...

— ჯერ იყოს, საჩქარო არის განა?

აბა შენ ჩაგაცვან ზაფხულში დაბამბული პალტო... გეამება? ეგრეა მცენარეცა, სიცხე აღონებს ვაზსა და ამისი ცოდვით ვიწვები. — ჯავრობს მოხუცი.

ორანჟერეაში კი მცენარეთა მთელი სამყაროა, საუცხოო სანახავია კედელზე შემოვლებული ჭრელი ფათალო, უამრავი, უთვალავი ქოთნები, დიდები, პატარები, აი, გვერდმობრეცილი ქოთანი თითქოს წაქცეულაო, შიგ კი მორცხვი მიმოზაა ჩარგული, მას განსაკუთრებით უვლის მებაღე, ნაზია და ნებიერია, უცხო სტუმარი როცა მიუვა და ორანჟერეაში ჩაიყვანს, ჯერ ამ პატარა ქოთანთან მიიყვანს და ეტყვის: აბა, ფოთოლზე ხელი დაადეო, მცენარე კი, იგრძნობს თუ არა უცხო საგნის სიახლოვეს, კეკლუცად, კდემამოსილებით ვანზე გაიწევს, დაირცხვენს და გაიბუტება, კარგა ხანი იცის გაჯავრება, მერე კი ისევ მოიბრუნებს გულს, შეურიგდება სტუმარს, მოხუციც შეჰყურებს, უხარია და ტკბილად იღიმება.

შიგნით შესასვლელში მავთულით ჩამოკიდებული ჯამია, ჯამიდან პირდაღებული მოზრდილი ყვავილი ქანაობს, მას ვენერას ქოშები ჰქვიანო, თან დაამატებს — ორქიდეასაც ეძახიანო. გრძელ მაგიდებზე სხვადასხვანაირი ჩადგნა აქვს ჯამებით, ქოთნებით, ჩრდილში დაუწყვია. მზეს არიდებს. ეს კი დეკორაციული ხავსიაო — გვიხსნის. მოშავო-წითელი ფერის, წითელი ხალებით დაჩითული მცენარეებია. ქოთნებში დამსხვილებული კოკრებით სავსე მცენარეებია. მებაღე ფრთხილად რწყავს, ნელ-ნელა უსხამს წყალს, მარჯვენაში სარწყავი უჭირავს, მარცხენათი კი ხმელ და ზედმეტ ფოთლებს აცლის მცენარეს.

— რა მცენარეა, პაპავ? — ვეკითხები.

— ამის სახელი არ ითქმებაო — და გულიანად გადაიხარხარა, მერე დაუმატა — გოგო, მართალი არ გეგონოს, ამას ყოჩივარდას ეძახიან.

მესამე სათბურში ვარდებია კვლებში თუ ქოთნებში. აქა-იქ კი თეთრად და წითლად გადაპენტილა მიხაკები, აგერ თურქული მიხაკი, ჰოლანდიური მიხაკი, საამო სურნელებას რომ აბნევენ. მოხუცი ნელა, აუჩქარებლად, სათითაოდ მიდის ყველასთან. ხელს შეავლებს. დამსხვილებულ კოკრებს, დახედავს, რაღაცას უსინჯავს და მერე ისევ გაუშვებს.

ვერ მივხვდი რას აკეთებდა და შევეკითხე:

— პაპავ, რას უსინჯავ მაგ გასაშლელად გამზადებულ კოკრებს?

-- აბა გამოიცანი! — მითხრა და თან ტკბილად გაიღიმა.

— ვერ მივმხვდარვარ.

— აკი გონიერი ვარო! დიდი და თამამი ვარდი ხომ გიხარია? აი, ამ კოკორსა ძირშივე ზედმეტი ამონაყარი აქვს, წვრილი, ზედმეტი ფოთლები და ყლორტები, ეს თუ არ გავაცალე, ყვავილი დაიჩაგრება და ეგრე ლამაზი და თამამი აღარ იქნება, ახლა კი დიდად გაიშლება, თავისუფლებას რომ იგრძნობს...

გრძელ მაგიდაზე მოხუცი მიწას აზავებს და თან მიამბობს:

— აი, ეს მიწა ფოთლის მიწაა, ტყეში დამპალი ფოთლისა, ეს კი ბელტის მიწაა, მინდორშია აღებული, ათი სანტიმეტრის სიღრმეზე. ამას გარდა, ქვიშაც საჭიროა, არც ტორფის გარეშე ვარგა მიწის შეზავება. ამ ნაზავს დაემატება სხვადასხვა მინერალური სასუქი და მიწაც მზად არის, ყვავილების მიწა; მაგრამ ყველა მცენარეს თავისებური ხასიათი აქვს — ზოგს ნოყიერი ნიადაგი უყვარს, ზოგი კი ქვა-ღორღშიც კარგად გრძნობს თავსა, — ლაპარაკობს მოხუცი, მაგრამ განა ხელს აჩერებს, თითები მიწაში აქვს, თუ ფოთოლი მოუწყდა ყვავილზე, მაშინვე სადმე ქოთანში ან ჯამის ნატეხზე დაყრილ მიწაში ჩარგავს.

ბაღში ბევრია ნაყოფიანი ხე. ისე როგორ გაუვლით გვერდით ბროწეულს, რომ არ შეხედოთ იქვე მსხვილ შავ-ქლიავას ან დამწიფებულ ლეღვს, ან მოწითალო ფერის ცერის სიმსხო შვინდს.

ბაღის მთელ ბილიკზე ვაზის ტოტებით მოჩრდილული ფანჩატურია; აქ ყველაფერს — სახლს, ორანჟერეას, მთელ მიდამოს — მწვანე სამოსი აცვია.

ნიავი კი, არაგვის ჭალიდან წამოსული ნიავი, ნაზად აშრიალებს ხეთა მწვანე ფოთლებს და ნელა არხევს ყვავილების უძირო და უნაპირო ზღვას. ნიავი სურნელებას მატებს ბაღს, ეშხსა და სილამაზეს აძლევს წალკოტს. ყვავილები კი ტიტინებენ და ტიტინებენ, ყველა თავის ენაზე გაგიბამს ვულისპასუხს, ბოდი და ნუ ისწავლი ამათ ენას. მოხუცი მებაღე მთელი დღე ამათ ალერსშია, მთელი დღე ამათ ესიყვარულება, მებაღემ იცის თავისი საყვარელი ყვავილებისა და მცენარეების ენა. გაგიკვირდებათ — ნეტავი რას ჩურჩულებენ, რა აქვთ ამდენი სალაპარაკოო. ყვავილების სიყვარულმა შემოატარა მამულაშვილს მთელი რუსეთი, ევროპის ბევრი ქვეყანაც მოინახულა. შემოიარა მთები და ველები, ნახა ბაღები და სკვერები. რომ ჰკითხოთ, იქ რა მოგეწონა და რა წამოიღეო, გეტყვით:

— რა უნდა წამომეღო... ჩემი მთა და ველი, ჩემი ხალხის სიყვარული, მცხეთური მიწა, ქართული გული — აი ეს მიკარნახებს, აი, ამათ მასწავლეს თუ რამე ვიცი; ხოლო რაც ჩამოვიტანე, განა ვმალავ? — და წელში მოხრილი მოხუცი მებაღე ბაღის შესასვლელისაკენ გაგიძღვება, იქ გზის პირად ფალავანზე ჩამოკიდებულ ვერცხლისფერფოთლება ბუჩქთან მივა, მცენარეს ხელს გადაუსვამს, შესცინებს, მერე მოტრიალდება და საამო, ტკბილი ხმით ფანაურობს:

— სწორედაც საინტერესო ისტორია აქვს ამ მცენარეს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, შვეიცარიაში ყოფნისას, ხშირად მარტო დავდიოდი და ვათვალიერებდი ბალისა და ველის ყვავილებს. ალპებში, უფსკრულის კიდეზე მოულოდნელად შევნიშნე თეთრად აქაფებულ ჩანჩქერზე გადაკიდებული ვერცხლისფრად მოელვარე ფოთლები და წვრილი თეთრი ყვავილები, ეს ისე ლამაზად მოჩანდა, რომ ყველაფერი დამავიწყდა და გადავწყვიტე როგორმე ახლოს მენახა... ძნელი იყო ღრმა და დაშვებულ კლდეზე ჩასვლა, მაშინვე ფეხსაცმელი გავიხადე და შიშველი ფეხებით დავყევი ქვისა და მიწის ნაშალს. დიდი წვალების შემდეგ მივუახლოვდი ბუჩქს, დიდხანს ვუცქერდი, გული კი დამწყდა, მცენარე ახლად აყვავებული ჩანდა და თესლის შეგროვება შეუძლებელი იყო. ამიტომ ერთი კვირის შემდეგ, წამოსვლის წინა დღეს კიდევ გავიარე, კიდევ დავხედე, მაგრამ ამაოდ. ჯერ არ აპირებდა დაყვავილებას. იძულებული გავხდი ტოტები დამემტვრია და როგორც იქნა ფოფხვა-ფოფხვით ძლივს ამოვედი უკან, მგზავრობისას ყვავილის ტოტებს საგანგებოდ ვეფერებოდი, სითბოში ვათავსებდი, რომ თესლი დამწიფებულიყო, ახლა კი ეს ჩემი ჩამოტანილი შვეიცარიის ცერასტიუმი — წიწილკურა, საქართველოს ყველა კუთხეში ჰყვავის. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ორმოცდაათი წელი არც თუ ისე ცოტაა. მაშინ „ყმაწვილიც“ ვიყავი, ხუმრობს მოხუცი. — აი, ეს კი ჰოლანდიის ტულპანია, ამასაც საინტერესო თავგადასავალი აქვს, — თქვა და იქვე, ათასფრად მოყვავილე ველზე გამიყვანა.

ეს ტულპანები ჰოლანდიის დედოფალმა გამომიგზავნა თავისი ბაღიდან, ახლა ყველაფერი გინდა მალაპარაკო და მერე დაწერო? თუ ღმერთი ვწამს, დამეხსენი, თავი დამანებე, თქვენც მოისვენეთ და მეც მომასვენეთ.

მოხუცს ვეფერები, ვეხვეწები, ის კი კარგა ხნის შემდეგ ყვება:

— 1898 წელს, როცა დავცოლშვილდი და მცხეთაში დავსახლდი, ამ ეზოს გაშენება მაშინ დავიწყე. თანაც ნარეკვავში საუფლისწულო მამულის ნაკვეთი ვალით ვიყიდე და სასათბურო მეურნეობა და დეკორაციული სანერგე გავაშენე, ხოლო თბილისში, თამამშვილის ქარვასლაში საყვავილე მაღაზია გავხსენი. პირველ ხანებში მაღაზიაში ყვავილები ცოტა მქონდა, იმიტომ, რომ ნარეკვავში ჯერ კარგად არ იყო ყვავილების საქმე. მაშინ ჩემს მაღაზიაში კერძო პირებს, მეყვავილეებს, ხშირად შემოჰქონდათ ყვავილები, მთხოვდნენ და მეც ჩემი გემოვნებით ვუკეთებდი რაც დასჭირდებოდათ — სადღეობო კალათები იქნებოდა, თაიგულები, თუ სხვა რამ...

იმხანად თბილისში ჩამოდიოდნენ უცხოელები, კერძოდ, ჰოლანდიელები: ჩამოჰქონდათ ბოლქოვანი მცენარეები — ტულპანი, ნარცისი, სუმბული. ბოლქოვანების ცნობილი ფირმის „ვანზანტენის“ მუშაკები არაერთხელ შემოსულან ჩემს მაღაზიაში, აინტერესებდათ ჩემი მუშაობა, გამიცნეს და მცხეთაშიც მესტუმრნენ, ნარეკვავში ჩემი ბაღი დაათვალიერეს, მოეწონათ ნამუშევარი და მთხოვეს — ჩვენთან ჰოლანდიაში გვესტუმრეთო. მე კი აბა,

კაქტუსები ორანჟერეაში

ბალის ერთ-ერთი კუთხე

როგორ შეეძლებდი წასვლას, გაჭირვებული ოჯახი მქონდა, თორემ სურვილით კი როგორ არ მინდოდა, სხვადასხვა ქვეყნის ყვავილისა და მეყვავილეს ნახვა და გაცნობა.

და, აი, წერილებს ვღებულობ, მთხოვენ: გზის ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ოღონდ გვესტუმრეთო. მეც, სწორედ რომ გითხრათ, გამიხარდა ღა 1913 წლის გაზაფხულზე ჩემი უფროსი შვილით მიშიკოთი გავემგზავრე უცაოეთში. ბიუმა გერმანული ენა კარგად იცოდა, ჯერ ერთი, თარჯიმნად გამომადგებოდა, მეორეც, ჩემი ცოლის და — ალექსანდრა ქართველიშვილი რევოლუციონერი იყო და ემიგრაციაში იმყოფებოდა შვეიცარიაში, ვიფიქრე დეიდასაც ნახავს-მეთქი... ჩავედით ჰოლანდიაში და იმ ნაცნობი მისამართით მივადექით ჩემს მასპინძელს. მართალი გითხრათ, კარგად მიგვიღეს, ძალიან გაეხარდათ ჩვენი ნახვა, დაგვასვენეს, გვასადილეს და სადარბაზო ოთახში შეგვიყვანეს, ფირმის უფროსმა მაგიდიდან დიდი წიგნი გამოიღო, ანბანზე ჩემი გვარი მოძებნა, გადაშალა და წინ დამიდო: უცბად შევკრთი, ამ უცხო ქვეყანაში ისეთი წიგნი რომ ვნახე, სადაც ჩემი გვარი და სახელი ეწერა: „მიხეილ ალექსის ძე მამულაშვილი, ღარიბი, მცირე მცოდნე, მაგრამ ზრდის ისეთსავე ყვავილებს, როგორც ჩვენ“...

ამის შემდეგ წამიყვანეს ჰაიგაში, ქალაქგარეთ, დედოფლის სასახლის ბაღში შემიყვანეს. დიდ, გაშლილ მწვანე მინდორზე თვალისმომჭრელი სილამაზით ჰყვაოდნენ ჰოლანდიური ტულპანები. ვიდექი ამ სილამაზით მოჯადოებული და წამოსვლას ვეღარ ვახერხებდი, სხვადასხვა ფერის ტულპანები ხალიჩასავით გაფენილიყო მწვანეზე. ჩვენ დიდხანს დავრჩით ბაღში, ტულპანებთან. დედოფალი, ალბათ, ჩვენმა სითამამემ გააოცა და ბაღში ჩამოვიდა; მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და ჩემი ვინაობა იკითხა, მერე მკითხა რა უფრო მომწონდა მის ბაღში. მე შემრცხვა, მომეხათრა, მაგრამ მაინც მოკრძალებით გავბედე, ხელითაც კი ვანიშნე — ეს ტულპანები-მეთქი. თხუთმეტიოდე წუთს გველაპარაკა, შემდეგ დაგვემშვიდობა და წავიდა.

ჰოლანდიიდან შვეიცარიაში წავედით, დავათვალიერე იქაურობა, ბავშვი იქ დავტოვე და იქიდან გერმანიას ვესტუმრე. რამდენიმე დღეს დავჭიოდი ბერლინის ქუჩებში და ვათვალიერებდი ყვავილების მაღაზიას, ბოლოს ერთერთ ფირმას — „ოტო შმიტს“ მივადექი. კარგა ხანს ვუტრიალე გარშემო. სანამ კარისკაცი გამოჩნდებოდა და მკითხავდა ვინ ვიყავი და რა მინდოდა. ბოლოს გამოჩნდა. მე მას ჩემი სურვილი გავუზიარე, რომ მინდა ვისწავლო ხელობა, — მეყვავილეობა. ფირმაში ყოველ საათში მოჰქონდათ ცოცხალი, ახლად მოკრეფილი ყვავილები — ოქროსფერი ვარდები, თავქოჩორა მიხაკები. მკითხეს რა განათლება გაქვსო, — მცირე მცოდნე ვარ-მეთქი... ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ და ვნახოთ, შეიძლება ადგილი გამოგინახოთო. ასე წამოვედი განაწყენებული. სანამ სასტუმროში მოვიდოდი, გზაზე კაცი დაედევნებინათ და მეც უკან დამაბრუნეს, იმ დღიდანვე დამიწყეს გამოცდა,

ჯერ იმაო ვუცქეროდი ხელებში როგორ აკეთებდნენ, შემდეგ კი, მეც ჩემი ვცადე.

საქმე შემდეგში იყო. მაშინ ბერლინში მავთულისა და ტკეჩის სიმეტრიული კალათების ფაბრიკები იყო გავრცელებული. კალათებს მყვირალა ფერებითა რთავდნენ. იქ ყვავილის ფერთა შეხამება ზუსტად დაკანონებული წესის მიხედვით ხდებოდა.

ეს ტრაფარეტული ხერხი აბა რა მოსაწონი იყო, მაგრამ იმათ ეს უნდოდათ და მეც იმათებურად ვცდილობდი, მაგრამ რამდენჯერაც არ დავიწყე, ისევ ჩვენებურად გამომდიოდა. არ ვიცი ჩემი სიკერპე მობეზრდათ, თუ მართლა არ მოსწონდათ ნამუშევარი, ისე კი ვატყობდი ჩემი მოშორება უნდოდათ, და. აი, ერთ დღეს მითხრეს:

— აბა, უცებ რომ ვინმე მოგვიდეს, რას მოიფიქრებ ექსპრომტადო?

მე მაშინვე თვალი გადავავლე იქაურობას; ვიტრინაზე მწვანე ხავერდი იყო დაფენილი, ზედ ეწყო ოქროსფერი ლამაზი ვარდები და მიხაკები, იქვე იყო შოკოლადისფერი ქაღალდი; ავიღე ეს ქაღალდი, დავჭმუჭნე, პარკის მაგვარი ფორმა მივეცი, შიგ ოქროსფერი ვარდები გავახვიე და ვიტრინაში მივაგდე. ეს ძლიერ მოეწონათ. მართლაც, ლამაზად გამოჩნდა შოკოლადისფერ, დაჭმუჭნილი ქაღალდის ფონზე ოქროსფერი ვარდების ელვარება. შემდეგ დეკორაციული გოგრა ამოვიერი, შიგ ჭარხლის ფოთლები და ოქროსფერი ვარდები ჩავაწყე, ამის შემდეგ ძალიან მოსწონდათ ჩემი ექსპრომტები. ერთი კვირაც აღარ დავრჩენილვარ და მითხრეს — შენ ჩვენგან ამაზე მეტს ვერაფერს ისწავლი, ესეც რომ არ იყოს, არაფერი სწავლა არ გინდა, ჩვენ შენგან ვსწავლობთ, წადი და რაც იცი, როგორც იცი, ისე იმუშავეო...

შემდეგ კი შვეიცარიაშიც ვიყავი, პარიზსაც ვესტუმრე გავლით, და ისევ ჩემს ქვეყანას დავუბრუნდი. შემოდგომაზე კი, სწორედ სექტემბრის თვე იყო, გული რომ გამიხარა ჰოლანდიის დედოფლის საჩუქარმა. ცხრა ხის მოზრდილი ყუთი გამოეგზავნა ოცდაცამეტი სხვადასხვა ჯიშის ტულპანის ჰოლანდიური ჰიბრიდები; აი, ეს სწორედ იმდროინდელი, ჰოლანდიურიაო.

— ერთი შესანიშნავი დღეც მახსოვს თბილისში, — განაგრძობს მოხუცი. ქალაქში ვიყავი გასული. სასახლიდან მოსულიყვნენ მაღაზიაში და დაეკვეთა სადღეობო კალათა, ოცდახუთი მანეთი დაეტოვებინათ და ეთხოვათ: 16—17 წლის ახალგაზრდა ყმაწვილი ქალისთვის გამეკეთებინა „ადრეული გაზაფხული“. მე გავჯავრდი, აბა, ამისთანა ხალხს როგორ მოვაწონებ ჩემს ნაჟუშევარს. ყვავილებიც არ მქონდა, საქმე კი ბევრი იყო. სწორედ ნინოობა იყო — თოთხმეტი იანვარი. რა უნდა მექნა. შევწუხდი. ბოტანიკური ბაღის გორაზე წავედი ყვავილებისათვის. პატარა კალათზე მწვანე მოლი დავაგე, მოლზე შუა ადგილას თიხის ჯამით ტბა გავაკეთე, გარშემო კი ია და ენძელები იყო მიმობნეული. ასეთი კალათი გავუგზავნე. იქიდან მალე მოვიდა ყაზახი

ჩემს წასაყვანად, მაგრამ არ წავედი, ცოტა ხნის შემდეგ ეტლით მოვიდა მთავრის ცოლი, ღიმილით მომესალა და მითხრა:

— რატომ არ მობრძანდით, თქვენ იქნებოდით ჩვენთვის ძვირფასი და იშვიათი სტუმარი, მე თვითონ მხატვარი ვარ, შემოვლილი მაქვს მთელი ქვეყანა, მაგრამ ძალიან მომეწონა თქვენი გაკეთებული კალათი. ახლა მინდა თქვენი ბაღნარი ისე მოგიწყოთ, როგორც ევროპაში იციან.

— ქალი ჩემგან პასუხს ელის, დგას და მიყურებს. მე ვუთხარი დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ თქვენი დახმარება არ მჭირდება მეთქი.

— რატომ? — გაიკვირვა და შემომხედა, ალბათ, იფიქრა — სულელი ხომ არ არისო!

— იქ სადაც ბაღს ვაშენებ, ხალხი არ არის განათლებული, თანაც მეტად ღარიბები არიან. მათ იციან, რომ ფული არც მე მაქვს. თქვენ რომ ბაღი გამიკეთოთ, იტყვიან: დიდმა მთავარმა გაუკეთაო; მე კი მინდა ხალხმა ნახოს, რომ მე ჩემით ვაკეთებ ყველაფერს.

— მეორე დღეს ხუთი თუმანი გამოეგზავნა, მესამე დღეს ოცდახუთი მანეთი, შემდეგ კი პეტერბურგში წავიდა და იქ ეთქვა: მამულაშვილი ხელოვანია და არა ვაჭარიო.

მებაღეს არ უყვარს, როცა ლაპარაკობს და საუბარს შეაწყვეტინებენ, ამიტომ მეც სულგანაბული ვუსმენ. ის ისევ ორანჟერეას დაუბრუნდა, კარებთან, შესასვლელში კარგა მოზრდილი მანდარინისა და ლიმონის ხეებია. მოხუცი მათ მიუახლოვდა, ფოთლები გაუსინჯა და ჩაილაპარაკა:

— ამ საცოდავს, რაღაც ავადმყოფობა ეპარება. — და წმენდს, მკურნალობს.

იქვე, მაგიდის ქვეშ, ჩრდილში, ქოთნებია გადაყირავებული, სამი მაღალი ქოთანი მცენარიანად გადავარდნილა.

— პაპა, პაპა, ყვავილები გადავარდნილა, — შევწუხდი და გასასწორებლად დავიხარე. მოხუცს ტკბილად ეღიმება, ჩუმ-ჩუმად მიყურებს და როცა ქოთანს ხელი წავატანე, მაშინღა მომაძახა:

— ხელი არ ახლო, მოეშვი.

გაოცებული დავრჩი.

როგორ, თქვენ რომ დაიღლებით, არ ჩამოჯდებით ხოლმე? დაღლილი მცენარეა და ისვენებს, მაგას მაგრე ურჩევნია.

...ფერთა სიუხვე საოცრად გადადის ერთმანეთში. ნიავი კი აშრიალებს და აშრიალებს ამ ლამაზ ყვავილნარს. მიმოაბნევს ათასგვარი ვარდ-ყვავილების სურნელებას და წასვლას ბავიწყებს. ახალ-ახალს პოულობს თვალი. აბა, ერთი ნახვით ყველაფერს როგორ გაწვდებით, ერთი ნახვით როგორ შეიძლება ყველაფრის გაცნობა.

და სურვილით სავსე, ხალისით სავსე, მოჯადოებული ვეღარ ახერხებ ბაღის დატოვებას, მიდიხარ და ბილიკის ნაპირზე, მუხის ქვეშ, ხედავ — მწვა-

ნე მოლია, მოლს ურმის ნაკვალევი ემჩნევა, იქვე ბუჩქთან პაწია, ლასტებიანი ურემია, ამ სანახაობას განა თვალს მოაცილებ? დგეხარ და უყურებ, უყურებ და თითქოს ელოდები: აი, ახლა გაიგებ მეურმის ტკბილ ღიღინს. თვალს მეორე სანახაობა მოგტაცებს — ვარდის ძირში, ჩიტის ბუდეა, ბუდეში კვერცხებია, თითქოს ეს-ეს არის დედა ჩიტი ახლა აფრენილა ბუდიდან და ელოდები: მოფრინდება და როგორ შეშინდება. ახლა სხვა მხარეს გაიხედავ და, ისევ და ისევ ახალ-ახალი კომპოზიციებია, თითქოს მებაღე „უჩინმაჩინის" ქუდით დადიოდეს ბაღნარში და ყოველ წუთს სცვლიდეს ამ სანახაობას.

ბაღნარის ფონი საოცრად იცვლება არა მარტო წლის, არამედ ერთი დღის განმავლობაშიც. როცა ჯვრის გუმბათიდან მზე წამოეპარება ბაღს, დილის ნამით აციმციმებული ყვავილნარი საოცარ სანახაობას ქმნის; შუადღისას, — შვეულად დაშვებულ მზის სხივებზე სხვა ელფერი აქვს, საღამო ხანს კი, როცა სვეტიცხოვლის გალავნიდან ბინდი შეეპარება მთვლემარე ყვავილებს, ბაღი მუქ მეწამულის ფერში ეხვევა.

ნეტავ ჯაჩვენათ ამ ბაღის სილამაზე წვიმის შემდეგ, როცა უთვალავი წვეთები ფოთლებზე ნაირფრად აენთებიან, აუუეუნდებიან, აციმციმდებიან ამ უცნაური ქვებისაგან და ყვავილებისაგან მოქსოვილ ჩუქურთმაში. აი, მაშინაა ბაღი ზღაპრული; აი, მაშინ ჰგავს იგი „უკვდავების წალკოტს", მაშინ ივსება სიცოცხლით ბაღიცა და მებაღეც.

აი, ამიტომ ეძახიან მებაღე მიხეილ მამულაშვილს მცხეთელ მინდიას, „ყვავილების ჯადოქარს", „ყვავილების გროსმაისტერს". განა მას ღირსეულად არ დაუმსახურებია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება? განა მიწის სიყვარულმა, უანგარო შრომამ არ შეაქმნევინა ეს საკვირველება? ეს სილამაზე რამდენმა მნახველმა გადაიტანა თავის ბაღში. რამდენს აღუძრა სურვილი ამგვარად მოაწყოს თავისი კარ-მიდამო. რამდენ ახალგაზრდას შეაყვარა მცენარის მოვლა. რამდენს უთქვამს:

— პაპა, თუ შეიძლება, ერთი ყვავილი მომეცით ძირიანად...

— წაიღე, შვილო, წაიღე და მოუარე... კი არ გაახმო და...

— პაპავ, თუ შეიძლება აი, ამ ყვავილის თესლი მომეცით...

პოხუცი მებაღე განა დაიშურებს. ჩემს ქვეყანაში დაე, ყოველ ნაბიჯზე ბაღნარები და ყვავილები ჰყვაოდეს, და ხელს ჯიბისკენ წაიღებს, ჯიბეში აქვს სტუმრისათვის ცალკე გამოხვეული ყვავილების თესლი, იმან იცის, რომელი ყვავილი უფრო მეტად მოსწონთ, რომელი უკეთესია საკარმიდამო ბაღნარისათვის.

მე კი, მე მაინც არ ვეშვები, ვეკითხები — სად, რომელ ბაღში გაქვთ თქვენი წვლილი შეტანილი.

— ახლა კიდევ... სხვა რაღა გნებავთ, დავდგე და ვიტრაბახო, ამადა ამ აღგილას, ესა და ეს გავაკეთე-მეთქი... ეგ არ იქნება ჩემგან, სადაც რამე გამიკეთებია, ალალი და უყვედრელი არის და იქნება. ის სიკეთე რიღას

მაქნისია, თუ ათასჯერ დაამადლებ და ათასჯერ ეტყვი: ესა და ეს გავაკეთეო. აი, ჩემი ეზო, ჩემი პატარა ბაღი, ამ ბაღს ვაკეთებ და ეგ არის...

— აბა იქ, მოსკოვში, გორკის ბაღში, ვინღა იყო, ყვავილების დღესათვის რომ ემზადებოდა დედაქალაქი?

— იქა, როდისა? — ბავშვივით მიამიტი კილოთი შემეკითხა.

— როდის და სამი წლის წინათ, გაზაფხულზე, ყველა რესპუბლიკა რომ თავისი კუთხის, თავისი მიწის ყვავილების სილამაზეს აჩვენებდა, იქ რომ დაფუსფუსებდით, განა ხალხმა არ გნახათ?

— ჰო, მე ვიყავი, მერე რა გნებავთ, რა გავაკეთე იქ იმისთანა საკვირველი.

მოხუც მებაღეს არ უყვარს, როცა აქებენ...

— განა რა არის საკვირველი, კაცს რომ შრომა უყვარს? ეჯავრება უსაქმური და ზარმაცი, თავის ქება, მატრაკვეცების საქმეა. — მოხუცს ამ სიტყვის ხმარება ხშირად უყვარს, უფრო კი მოსიყვარულებით ეტყვის ხოლმე მოსაუბრეს, ისე როგორც ზოგიერთ ყვავილს ეძახის: — ეს მეტად მატრაკვეცაო...

— სხვა რა გააკეთეთ პაპა?

— არაფერი, არაფერი არა ჩაიწერო რა, შენ გახარებასა, ემანდა ქვეყანას არ გააგებინო მამულაშვილმა ესენი ილაპარაკაო... თუ ღმერთი გწამს თავი დამანებე, მომეშვი...

— არსენა ოძელაშვილის ძეგლთან ელდრის ფიჭვები ვინ დარგო, ხომ არ იცით?

— ეგ ვინღა ჩაგახარათ...

პაპა გაჩუმდა, თითქოს განაწყენდა, მერე ისევ მალევე მოიბრუნა გული. შემომხედა, მარჯვენა მაჩვენა და მანიშნა:

— აი, ამანაო...

— წინანდლის ბაღშიც ხომ არ ჩაგივლიათ იქაურობის გასალამაზებლად. ან ყვარელში, ის დიდი დეკორატიული ბაღი ვინ გააკეთა ხომ არ გახსოვთ?

— ხომ არ გახსოვთ. — გამომჯავრა მებაღემ...

— საგურამოში ილიას ბაღს ვინღა უვლის? ნეტავი ის მებაღე ვინ იყო, სახლ-მუზეუმის გახსნისას ღვთიური სილამაზით რომ ააყვავა და მოხატა ილიას საყვარელი ბაღი? — ვთქვი და მოხუცს შევხედე. მოგონებამ სახე გაუნათა, თითქოს უცბად გამოცოცხლდა და...

— ოჰ, შვილო, ნეტა რას ამიშლით ხოლმე იარებსა, აღარ მომეშვები, შენ გახარებას, ერთი მითხარი, ვინ გამოგგზავნა ჩემს შესაწუხებლად.

მებაღის ხასიათი უკვე ვიცი, თორემ მართლა რომ სწყინდეს, განა ასე განიბამდა მუსაიფს, შეტრიალდებოდა და სახესაც არ მაჩვენებდა.

მერე კი ტკბილად დაიწყო:

— თქვენ წიგნებიდან იცნობთ იმას, და ახლა მე მკითხეთ, როგორი ღვთისნიერი ადამიანი იყო... ისე წამომივლის ხოლმე იმისი სიყვარული, რომ

კაცი დავბერდი და თვეში ერთხელ მაინც რომ არ დავხედო საგურამოს, გული როგორ მომასვენებს. სანამ პირში სული მიდგას, იმის ბაღს ჩემი ხელი არ მოაკლდება, იმის დღეობებზე და იმის სახელზე თუ კი რამეა საჭირო, ჩემი ბაღიდან, ჩემი სახლიდან, რაც კარგი მაქვს იქ ავიტან ხოლმე, იქ მაინც დარჩება, იქ მაინც მოუვლიან ილიას სახელზე... სანამ ცოცხალი ვარ, იმის ეზოყურეში სხვის მიტანილ ყვავილს არ გავაჭაჭანებ. როგორც შემიძლიან ისე მოვრთავ, ისე გავალამაზებ.

— თბილისში, ბაღებისა და სკვერების გალამაზებაში კი არა ვაქვთ ამაგი?

— ახლა კიდევა... თუ იცი, მაშ რაღას მეკითხები...

კინაღამ დამავიწყდა ყველაზე საინტერესო რამ. გამახსენდა თუ არა, მაშინვე შევეკითხე:

— პაპა, თქვენი გამოყვანილი ყვავილების ახალი ჯიშები გექნებათ, იქნებ მაჩვენო?

— ძნელია, შვილო, ახალი ჯიშის მიღებას განსაკუთრებული თვალი და ხელი უნდა. ამ საქმეს განა ერთი და ორი კაცი გაართმევს თავსა? ჯერ ერთი, რომ საამისო ადგილი არა მაქვს, მეორეც, აბა ამისთანა საძნელო საქმეს როგორ შევეშიდები ერთი კაცი. რასაც ვაკეთებ ესეც საკვირველია. ამოდენა მცენარეებს მოვლა არ უნდა? ამიტომ ახალი ცოტა რამ მაქვს, მაგრამ ძველ ჯიშებს კი კარგად ვინახავ, ყვავილი და მცენარე ისეთი სათუთი და ფაქიზია, რომ თუ ყურადღება მოაკელით, დროზე არ მიხედეთ, ისე გადაგვარდება, რომ ბოლოს პატრონიც ველარ იცნობს. აი, ესენია ჩემს მიერ შერჩეული და გამოყვანილი საოთახო-ტროპიკული მცენარეები, უცნაური მცენარეა, ამისი გამრავლება ძალიან საინტერესოა, ტოტს ჩარგავ — გაიხარებს, ფოთოლი კი არა, ფოთლის ნაგლეჯი რომ იყოს, ოღონდ მიწა მოხვდეს და მაშინვე ცოცხლდება, და მაჩვენებს „სამეფო ბეგონიის“ იშვიათ ეგზემპლარებს. შემდეგ მოხუცი ბაღის ბოლოსკენ წავიდა და იქიდან გამომძახა:

— მობრძანდით აქეთ!

მივუახლოვდი.

— შენ ისეთი ჯადო ხარ ჩემ ბაღში შემოსული, რომ თუ ყველაფერი დროზე არ ჩაგიკაკლე, აქედან ფეხს არ მოიცვლი. ძველი ჯიშებიდან ეს ოქროსფერ-მოყვითალო ფერის სურნელოვანი ვარდია, ფრანგული ჯიშია; ამას შეხედე, — მითხრა და წითლად მოელვარე ხავერდის ვარდზე მიმითითა. ეს კი ახალი, ფრანგული ჯიშია; ასკილზეა დამყნობილი „ედუმეირ“ — ასე ვეძახით ამას. ეს ყვითელი ფერის ძალზე სურნელოვანი ვარდი კი ინგლისური ჯიშია — „მადამ ბატერფლაი“, ვარდის ყველაზე საუკეთესო ჯიშია, ნარეკვავის ბაღიდან მაქვს გადმოტანილი და შემონახული.

— პაპა, რომელი ყვავილი უფრო მეტად გიყვარს? — მოხუცმა გამწყრალი სახით შემომხედა, არ ესიამოვნა კითხვა.

— აბა, ეგ რაღა საკითხავია, განა მშობლებს ჰკითხავენ, რომელი შვილი უფრო მეტად გიყვარსო, ჩემთვის ყველა ერთია. მე ყველა მიყვარს.

— როგორ, მაშ ყველას ერთნაირი ყურადღება და მოფერება უნდა?

— ყურადღება ყველას სჭირდება, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, პატარას უფრო მეტი მოფერება უხდება, ვიდრე დიდს. დიდი ყვავილი რაღაც ბრიყვ კაცსა ჰგავს, მშობლები რომ უადგილოდ გაათამამებენ ხოლმე, პატარა კი მეტად სასიყვარულოა. ბავშვიც ეგრე არ არის განა?.. .

— ეს არის და ეს...ახლა ხომ ყველა ჩემი საიდუმლო იცი. იქნება კიდევ რამე მოიგონო, ჰა? არც ახლა მომეშვები. სახლიკაცად ხომ არ შემეყარე, ალარ მიდიხარ? აი, ქვას გიბრუნებ, იქნება არც იცი, რას ნიშნავს ქვის გადაბრუნება,—შენი ფეხი აქ ალარა ვნახო, ამ ბაღში ალარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, — მეუბნება, მაგრამ ვგრძნობ, რომ მეფერება, იმასაც ვგრძნობ რატომ... თქვენც გითხრათ? ამ ადამიანში იმდენადაა ყვავილების სიყვარული გამჯდარი, რომ, თუ ვინმე დიდ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენს იმათ მიმართ, იმასაც დიდი პატივისცემით ეპყრობა, მან ეს მოფერება ამით გამოხატა... მე კი მიხარია, უზომოდ მიხარია, რომ მოხუცი მებაღე ასე „მაჯავრებს“.

მე დაფიქრებული, განცვიფრებული შევცქერი მოხუცს და წასვლას ველარ ვახერხებ, იქნება ამიტომაც მომაძახა ისევ იმ კილოთი:

— შენ რაღა მოხელე ხარ, მე, რომ ამდენს მალაპარაკებ? შენ თუ გიყვარს მიწა და ყვავილები?

მებაღის ამ მოულოდნელმა კითხვამ დამაბნია, მაგრამ მაინც თავის დროზე, ვუპასუხე:

— როგორ არა, ძალიან მიყვარს.

— აბა ერთი ხელები მაჩვენე. — და ხელებზე დამხედა, მერე ისევ თავის საყვარელ ყვავილებს მიუტრიალდა და მომაძახა:

— მაშა, მაშა, ემაგ ვარდივით ხელებზე გეტყობა, როგორც გიყვარს.

მერე ისევ გამეხუმრა:

— ქალაქელებმა, მიწის სიყვარულისა რა იციან... ვარდ-ყვავილები ხელში დასაჭერად გიხარიათ: ან გულზე მიიბნევთ, ან თმებში. მოსავლელად კი... აი ეს მიწიანი თითები უვლის; აი, ეს მიწიანი თითები, — მითხრა და ორივე ხელის თითები გადამიშალა. მართლაც, ათივე თითზე შემხმარი და ახალი მიწა ჰქონდა.

ხანდახან, მებაღე თუ კარგ ხასიათზეა და დროს იპოვის, ბაღის დასავლეთ მხარეს, გალავანთან, თავის ტოლ მხვიარა ვარდის ბუჩქთან ჩაცუცქდება, ტოტებს გაუსწორებს და სინანულით ეტყვის:

— მე და შენ ტოლები ვართ, ხომ გახსოვს. და აი, შენ ისევ ყოჩაღად იყურები, ყოველ გაზაფხულზე ისევ იმ ხალისით ამწვანდები და აყვავიდები ხოლმე. მე რაღა ვქნა რომ ვბერდები, — თან ფარულად გაიხედ-გამოიხედავს, ხომ არავინ მისმენსო, და ტკბილ მუსაიფს გაუბამს:

— ნეტავი ადამიანიც მეორეჯერ მოდიოდეს ჰა? ოთხმოცდამეათეში გადავდექი. იქნებ აღარც კი გახსოვს, რომ მე და შენ ტოლები ვართ, ჰა? მამაჩემს ჩემი დაბადების დღეს დაურგავს შენი თავი... ტოლები ვართ, ტოლები... არ იცოდი განა? რას იტყვი, ღრმა მოხუცად ვითვლები?

ვარდი კი, წითელი, სურნელოვანი მხვიარა ვარდი, თითქოს ეპასუხება მოხუცს:

— მებაღეო, მეც გამიხუნდა ელფერი, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. ჩემი წილი დღე შენ შეგემატოს, შენ არც დაბერდები, არც მოკვდები... დიდხანს იცოცხლებ ჩვენი მადლით... შენ ღრმადა გაქვს ფესვები გადგმული მიწაში, ღრმად, არასოდეს არ გახმები. მე კი ზედაპირზედვე ვარ, ახლოსა ვარ სიკვდილთანაცა და სიბერესთანაცა.

და უთვალავჯერ ლოცავს:

— შენ არასოდეს არ მოკვდები, მუდამ იცოცხლებ... შენი მიწიანი თითების მადლით.

ყვავილებმა იძალეს

— დედაკაცო, აბა ერთი ეზოში გადაიხედე, რა ღღეშია მწვანილის კვლები...

სოფიომ გადაიხედა და ელდა ეცა.

— ეს რა უქნია ქა... განა ისე პატარაა, რომ ვერ გაარჩიოს ეს ბალახი სჯობია თუ ბოსტანი? ვაი შენ, ჩემო თავო, სულ გადაუგლეჯია მწვანილი და მინდვრის ყვავილები ჩაურგავს.

— სოფიო დასაგლეჯად წაეტანა ყვავილებს, მაგრამ ალექსამ დაასწრო:

— არა დაუგლიჯო-რა, დაანებე თავი... უფრო უარესს იზამს, ახლა მაგისთვის გავამწაროთ?

— აბა ვნახავ, ეგ ბალახები თუ გაუძღობს კუჭსა. ისეც საცოდავი, ერთი ციცქნა ბალჩა მაქვს და მაგისი შიშით მწვანილის ფოჩი დავინატრო? აბა, ერთი ხმა ამოუღია, ი ლობიოს ჯამში რომ დიდ თვალებს ჩააბრიალებს ხოლმე, ახლა დადგეს და ესენი მიირთვას, დამაცადოს მაგანა.

— სოფიო გამწარებული დარბოდა, ხან ქმარს შესჩივლებდა და ხან ეზოს კარზე მომდგარ მეზობლებს. თვალით კი მაინც ბიჭს დაეძებდა, თან ხან-გამოშვებით გაიძახოდა: ტა-ტა, ტა-ტა, ერთი ახლა მაჩვენა და...

საღამოს კი მიხა ხელსავსე მოადგა ეზოს კარს, უბეში ჩაყრილი ყოჩივარდას ძირები გალავნიდანვე გადმოყარა, დანარჩენი კი: ჩიტის ბუდე, ლერწმის ტოტები და ფათალოს ძირები მუხის ქვეშ დააწყო.

მიხას არაფერი უთხრა დედამ. ძმებმა კი ყველაფერი ჩაუკაკლეს ეზოს კარზედვე: დედა ცემას გიპირებსო.

ფილაქანზე დედას ფარდაგის ნაგლეჯი დაეგო და პატარები გემრიელად შეექცეოდნენ ვახშამს. მიხა დარცხვენილი, თავჩაღუნული განზე იდგა, პატარა ლიზა კი მალი-მალ ეტყოდა დედას:

— დედი, მიხას არ აქმევ?

— მაგას რომ საქმელი უნდოდეს, ამ ლობიოს ძირებს არ დაგლეჯავდაო, — ბრაზობდა დედა.

მიხას უვახშმო ღამე დიდხანს არ დახსომებია, სოფიოს კი არც მეორე კვირა დაავიწყდა, როცა ალექსიმ გარეთ გაიყვანა და დაანახა:

— აბა, ერთი გაჰხედე, იმ შენს ბიჭსა რა მოუფიქრებია, ახლაც ჩსუბს ხომ ვერ დაუწყებ ჰა? — სიცილით უთხრა და ეზოს შუა, ლობიოს სარზე ყურით ჩამოკიდებულ კალათს შეხედეს.

მიხას ტირიფის ტოტებით მოწნულ კალათში მიწა ჩაეყარა და შიგ საიდანღაც მოტანილი იაუუეუნა ჩაერგო, — ეს რაღამ მოაფიქრებინა, — გაოცდა დედა.

იმ დღიდან ალექსას ეზოში უცნაური რამ მოხდა: მიხა ხან გატეხილ თიხის ქილას იპოვნიდა, ხან სადღაცას. ყურიანსა და უყუროს, ყველას ხეზე ჰკიდებდა. ყველაფერში ყვავილებს ახარებდა, არც ბოსტანს უშლიდა და არც ხეხილსა და მწვანილს.

ალექსას მოსწონდა შვილის ნახელავი და ხშირად იტყოდა: რა ვუთხრა ამ ღროებას, თორემ განა ცუდია ყვავილები? კარგია მაგრამ, გლეხკაცს იავარდის დრო არა აქვს. ყვავილები მდიდრებისაა, ჩემისთანა გლეხკაცს ედემივით აყვავებული ბაღი რომ აჩუქონ, იმისი შიშით რომ ცოლ-შვილი ხვალე მშიერ-მწყურვალი დამრჩებაო, ისევ ბოსტნეულს ამჯობინებს. მეც ეგრე ვარ, რა მეყვავილება.

მეორე დღეს ასეთი საუბარი გაიმართა:

— სოფიო, რა უყოთ ამ ბალღსა, გავატანოთ?

— რა ვიცი, მეძნელება, ჯერ პატარაა და...

— პატარამ უნდა ისწავლოს, თორემა წამოიზრდება და იქნება გაკერპდეს.

— ალექსავ, იქნებ ვერც შესძლოს შორს ყოფნა.

— მეც ეგ მაფიქრებს... —

საქმე ის იყო, რომ ნათლიამ აიჩემა, გინდა თუ არა ამ ჩემ ნათლულს ჩემთან წავიყვან, მეუნაგირე ვარ და ხელობას ვასწავლი, ლუკმაპურს გაიჩენს, უნაგირის მუშტარიც ხომ ბევრიაო.

— აბა რა ვიცი, მეძნელება, სიყრმის შვილია და უფრო მეტად მეჭიდება გულზედ მაგისი შორს წასვლა.

— სოფიო, აბა, ერთი ი ბალღს დაუძახე, იქნება სულაც არ მოიწადინოს იმ უცხო ქვეყანაში წასვლა.

...ბიჭს პერანგის კალთაში სვეტიცხოვლის გალავნის ქვის ნატეხები ჩაეყარა და ძლივს მოათრევდა.

დედამ სიყვარულით მიაძახა:

— შვილო, შენი ნათლია რომ ჩამოვიდა, არ გინახავს?

— როდისა დედი?

— დღეს დილასა, შვილო, მაშინვე შენ მოგიკითხა, მაგრამ, აბა რას გიპოვიდი, ბალღებში თუ იყავი. შვილო, არ წახვალ ნათლიასთანა?

— სადა დედი?

— სადაცა მუშაობს, შვილო, პიატიგორსკში, წიგნსაც გასწავლის და ხელობასაცა.

— მერე, ჩემი ყვავილები? — შეწუხდა პატარა.

— შენ ყვავილებს დედაშენი მოუვლის. იქაც ბევრი ყვავილები ყოფილა თურმე. იქ გზებზედა ნაირ-ნაირი ყვავილები ბიბინებსო, შენ აქ აბა, სად ნახავ იმისთანებსა. მერე, შვილო, ნათლია კარგი ხელობის კაცია და ჩვენსავით გაჭირვებით კი არა ცხოვრობს, ჩაგაცმევს, დაგახურავს, ნაირ-ნაირს გაჭმევს და წიგნსაც გასწავლის; აბა შვილო, მამაშენი სიღარიბიდან ვერ ამოსულა, ხუთ-ხუთი ბაღლი ხართ, მეექვსეც მე ვემატები სარჩენადა და ვეღარას გვაწვდენს, განა მე კი არ მინდა, შვილო, დღეობები რო მოდის, თქვენც ჩაგაცვათ წითელ-ყვითლები. თქვენი ტოლები რო გამეეწყობიან ხოლმე ახალ-ახლებითა, გული მიკვდება; განა თქვენ კი არ მოგიხდებოდათ, მაგრამა, შვილო, გვიჭირს და რა ქნას თქვენმა სამიწე დედამა.

მიხა კი ბევრს არას ფიქრობდა გაჭირვებაზედა და გულისყურითაც არ უსმენდა დედის წუწუნს, ამიტომ რაც გულში ჩარჩა, ის ჰკითხა:

— დედი, იქ მართლა ბევრი ყვავილებია?

— ბევრია, შვილო, ბევრი, შენ გაზრდასა არას გატყუებ.

— ვა-ლა-ლო, ვა-ლა-ლო, დედი, ნათლიას უთხარი მალე წავიდეთ. დედი მართლა, რა ჰქვიან იმ სოფელსა?

— ის სოფელი კი არა, დიდი და ლამაზი ქალაქია შვილო, პიატიგორსკი ჰქვიან.

— რა კარგია... ნათლია მალე მოვა?

— ჰო...

— დედი, მართლა ბევრი და ლამაზი ყვავილებია იქა?

— ბევრი, ძალიან ბევრი.

— ჩემ ყვავილებს აჯობებს?

— მაშა, მაშა.

— დედი ლიზასაც წავიყვანთ, ალექსასაც, მარიამსაც, ნიკასაც...

— არა შვილო, ნათლიამ მითხრა, მარტო მიხას წავიყვანო. ჩუ, ჩუ, არავინ გაიგოს, ისე გაგამზადებს დედა.

* * *

ერთი წლის შემდეგ კი...

— ბალღო, მე შენ ამისთვინ კი არ წამოგიყვანე აქა, შენ უნდა გდიო მთელი დღე? არა შვილოსან, შენ მალე თუ არ აგაბარგე აქედანა, რაღაცა ხათაბალაში გამხვევ, შენგან არაფერი არ გამოვა, მეც მაცდენ და ეგ არი. აბა მითხარ, დღეს სკოლაში იყავი?

— არა.

— რატომ, შორს არის და დაგეზარა? კიდევ კარგია, ყურისძირშივეა, მართლა შორს რომ იყოს, მაშინ რაღას იზამდი ნეტაი. შენ მარტო ეს ოხერი ბიბილები გიხარიან, დარბიხარ ამოდენა კაცი და მაგ სატიალე ყვავილებს ელოლიავები. რა შენი საქმეა ყვავილების მოვლა, ეგ ქალების საქმეა, შენ, შვილო, ჯერ წიგნი ისწავლე, ნასწავლი კაცი იქნები და მერე დამლოცავ; თუ სწავლა არ გინდა, ხელებში მიყურე, არც ეს არის საძნელო და ურიგო საქმე; ცხენი ხომ გიყვარს, ჰო და აი, ამ უნაგირის გაკეთებას დიდი ჯაფა არა სჭირდება, ისწავლე და მუშტარიც არ დაილევა. ფულიანი საქმეა, ისე იცხოვრებ, რომა, ჩემზე კარგადა.

მიხა კი განა უსმენდა საუბარსა ან ამის ნაქებ უნაგირსა, ერთი ბალახის ღერი, ერთი მოწყვეტილი გამხმარი ყვავილი ერჩივნა მთელ ქვეყანასა.

ნაილია ჯავრობდა: ცხრა წლისაა, განაღა პატარაა კაცო, ვიფიქრე ბალღია, ჩემ ჭკვაზე გავზრდი, ვასწავლი: წიგნსაცა, ხელობასაცა, ალექსას შეევშველები, გაჭირვებული, წვრილშვილი კაცია-მეთქი, ეს კი დახე რაებს მიშვრება, — არ სწადია. ახლა კიდევა, არსაით გამეპაროს, აქ ყველა მხარესა — ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში, კისლავოდსკში, ყველგან ბაღები და ყვავილებია; ყმაწვილია, იქნება საითმე გაიტყუოს ამ ყვავილებმა და მაშინა ნახეთ ჩემი ტიღბლობა. ამან კი ყველაზე მეტად დააფიქრა ნათლია და ამიტომ მალევე შეეკითხა:

— მიხავ, სახლში არ გინდა წაგიყვანო?

— წამიყვანო კი არა, ნათლიავ, თუ ჩქარა არ წამიყვან, გავიპარები, მარტოკა წავალ იცოდე, მარტოკა. დედაჩემთან მინდა...

ნათლიას შიში გაუმართლდა, გულზე კი მოეშვა, დროზე მიფიქრიაო და საყვედური მაინც არ დამალა:

— რა ვიცი, შვილო, რა ვიცი, აბა რა უნდა გამოხვიდე, მეყვავილე? მეყვავილე აბა რის მაქნისია, რა დაფასება აქვს ხალხშია. არაფერი.

— შენი უნაგირები რაღაა ნეტავი, — გამწარდა ბიჭი და ხმას აუმაღლა.

— უნაგირი, შვილო, სარფიანია, ყვავილები კი დიდკაცობის საქმეა, ეინც ფუფუნებაში ცხოვრობს მარტო ის თუ იფიქრებს მაგეებზედა, აბა, ამ გაჭირვებულ დროს, ისიც მცხეთელი კაცის შვილს რა გეყვავილება, კუჭი გეწვის შიმშილითა.

ორი დღის შემდეგ ნათლია ნათლიმამას ებოდიშებოდა:

— ალექსავ, აჰა, ჩაიბარე შენი ჭკვიანი შვილი, ძაან ვეცადე მაგრამ, არა მგონია ამისგანა მეყვავილის მეტი კაცი დადგეს. ამ ერთ წელიწადსა ძლივს დავარჩინე, რაც ამას ველოლიავებოდი, მე და ჩემმა ღმერთმა არაფერი დამიკლია, საჭმელ-სასმელი თავპირზე ეყარა; აი, ჩასაცმელ-დასახურიც არ დამიკლია, ყველაფერი გამოუწყე, ბალღია, გულს დაიყრის-მეთქი. ჩემი დედაკაცი ხომ თავს ევლებოდა, მაგრამ ჩავიყვანე, თუ არა კაცო, ბალღი გამი-

ვიქდა, იმოდენა ყვავილები რომ დაინახა, დაფეთდა. ნათლიდედ, იქნება არ დამიჯეროთ, ერთი ამოვსუნთქვარი ქვა-ღორღით სავსე ეზოში ვცხოვრობთ, ამან კიდევა ორ-სამ კვირაში, რაკი ხელი მოატრიალა, სამოთხესავით ააყვავა იქაურობა: რა ვიცი, ან კი სადა ნახა იმისთანა რამეები, თითონ იგონებს კაცო, თითონა, მეზობლები სულ გადამირია, — ეს ბალღი კი არა ანგელოზიაო, მთელი დღე იმ ყვავილებთან იჯდა, ეტიტინებოდა, ეფერებოდა, ერთი შენ გახარებასა, ნათლიდედავ, უნახე ჯიბეებშია რამდენნაირადა აქვს გამოხვეული ძონძებში სხვადასხვა თესლეული, სკოლა და უნაგირები სულაც არ ეპიტხავებოდა.

ორი ილია

— გაიგეთ რა უქნია იმ გასახარელსა? ამისთანა კარგ საქმეს მარტო ღვთისნიერი კაცი თუ გააკეთებდა. ამბობენ, სკოლასა ხსნისო, ისიც თავის მამულ-დედულში. ხალხო, იქნება ჩვენი მზეც ამოვიდეს, ჰა? — სიხარულს ველარ მალავდა საგურამოელი ბერიკაცი.

— ამ წინამძღვრიანებმა ძაან კარგი ყმაწვილი გაზარდეს. ხედავთ, თავისი ზვარი დაუთმია სკოლისათვის, ჩვენ ერთი მტკაველი მიწისთვის ერთმანეთს არ დავინდობთ ხოლმე, ძმა ძმას ემტერება, მეზობელი მეზობელს არ შეაწევს, ეს კიდევა... დიდება შენდა ღმერთო, ღვთისნიერი კაცია, მაშ ვინ არი? — ამბობდა მცხეთელი ივანე.

— ნერე როგორი ახალგაზრდაა... ზოგიერთი რომ იყოს მაგის ადგილასა, მაგ მამულით კარგა ლაზათიანად ჩაიცმევ-დაიხურავდა, და თავადივით იცლიდა, ამას კი ეგეთი რამეების ინტერესი არ უჩანს თორემა...

— ეს ორივე ილია ერთმანეთს გასჯიბრებიან კაი კაცობაში, ორივე გლეხობის სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს. ამ სკოლაში გლეხების შვილები ისწავლიანო... იქნება ამ ჩვენ ფეხშიშველა ბალღებსაც ეშველოს ჰა? — ჩაილაპარაკა მაღალ-მაღალმა, წელში მოხრილმა გლეხმა.

— მაშა, მაშა, სწორედ აგრე იქნება, დაილოცა ამისი მომფიქრებელი, წვრილშვილი კაცი ვარ, იქნება ერთს მაინც ეღირსოს სკოლაში სიარული — სიხარულით ჩაილაპარაკა მამულაანთ ალექსამაც.

...სახლის აივანზე იდგნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, ილია ოქროჩჭედლიშვილი და სხვები.

გვიან დაიწყო მიტინგი... ილია წინამძღვრიშვილი წინ წამოვიდა, ხალხისკენ მობრუნდა და დინჯად დაიწყო ლაპარაკი. ხალხი სმენად გადაიქცა, თვალს არ აცილებდნენ მოსაუბრეს, ლაპარაკობდა გარკვევით, დამაჯერებლად, აუჩქარებლად.

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს სამეურნეო სკოლას ვხსნი, მართლა რომ ეს საქმე სამძიმოა. მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთი მხრივ იმან, რომ ყოველი მამულისშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა“.

წინამძღვრიანთკარში გვიანობამდე არ დაშლილა ხალხი. ალექსა მამულიშვილმაც კარგა დაღამებულზე ჩამოაღწია მცხეთას. სოფიო ქმრის მოლოდინში იყო და აბა რა დააძინებდა, დილით გასული კაცი მთელი დღე არ გამოჩენილა. ათას რამეს ფიქრობდა, ჯავრობდა გულში, თვალი და ყური კი ეზოს კარისკენ ჰქონდა. და, აი, ფეხის ხმაც გაისმა, ქმარს კარზე გამოეგება:

— შენა ხარ?

— მაშ ვინ იქნება? კიბეზე ჯერ ფეხი არ შეედგა, რომ ბავშვივით მიამიტი კილოთი შეეკითხა:

— არაფერს მატყობ?

— როგორ არა, საით იყო ჟუჟუნა წვიმა? — ტკბილად ჩაულაპარაკა სოფიომ, რაკი ნახა ალექსა ნასვამიაო.

— ჟუჟუნა რა სათქმელია და კაი ლაზათიანი კოკისპირული კი გახლდა. სოფიო, დღეს ძაან გახარებული ვარ, ძაან; აბა, მკითხე რატომა?

— ნეტავი შენა, გადაგიკრავს და იმიტომა.

— დღესა იმისთანა რამეები გავიგონე, იმისთანა ვინმეებს შეეყურებდი მთელი დღე რომა... ეს სიხარულით მომდის თორემა, აბა იმდენ ღვინოა ვინ გააოხრებდა ჩემთვინა... იმ პურ-მარილზედაც სულ თავკაცები ისხდნენ.

— მემრე შენ ვინღა მიგიპატიჟა იმათთანა, ეგ შენი დაკერებული ხალათ-შარვალი თუ მეეწონათ, — გაეხუმრა.

ამ ჯღანებიანებისთვისაც გამოანათებს ერთხელაც იქნება. დღეს ილია წინამძღვრიშვილმა თავის ადგილ-მამულში, თავის სახლ-კარში, თავისი ხარჯით სკოლა გახსნა. იქ ყველას მიიღებენ, ყველას შეუძლიან ისწავლოს. შეგირდები იქვე იცხოვრებენ, თან იმუშავებენ და თან ისწავლიან. იქნება ახლა მაინც ეშველოს ჩვენისთანებსა, ჰა?

— კარგი საქმეა ალექსავ, თუ ეგრეა...

— ეგრეა მაშ... ჯერ გამოაცხადეს იმ სკოლის ამბავი, მემრე ცხრა მუხის ქვეშ მიიწვიეს სტუმრები, იქ გაუშალეს სუფრა. ილია ჭავჭავაძე მალი-მალ გადმოგვხედავდა, სულ ჩვენსკენ ეჭირა თვალი და ყური. მემრე აავსო ჭიქა და ჩვენსკენ წამოვიდა. იმას ვენაცვალე ვაქკაცობაშია, რომ დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი, ერთი მაშინ გეყურებინა ჩვენთვინა. აბა, გენახა როგორ წამოვიშალენით, ქუდები მოვიძრეთ და საით გადავყარეთ ვიღას ახსოვდა, პირდაღებელები შევყურებდით. აი, რაც გულში გვქონდა, სულ მკითხავივით გველაპარაკა.

სოფიო, ეს საიდანღა იცოდა ნეტავი: ალოში გუთნისდედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესაო, ეს იმიტომაო, რომ გუთნისდედა მცოდნეა და მეხრე კი — არაო. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ფასობს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, იმისთვინაო, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი — არაო. აი, ამისთვინაა ცოდნა აუცილებელიო. მაშა, ნასწავლი კაცია და ყველაფერი იმისთვინ იცის. კაცო, ცოდ-

ნა იმისთანა რამეა, რომ, სადაც არ უნდა წავიდეს — თან დასდევსო, არც ხარჯი უნდა და არც ბარგიო. ვერც ვინ მოჰპარავს და ვერც ვინ წაართმევსო. ცოდნა ჩმალზედაც უფრო მეტად სჭრისო, ზარბაზანზედაც უფრო ძლიერიაო, ცოდნა დიდი მადლიანი სიმდიდრეაო, სხვასაც არგებს და თავისთავსაც.ეა, მე ყველას დავიხსომებდი? ნეტაი შენც იქა ყოფილიყავი და შენი ყურით გაგეგონა, შენი თვალით გენახა — ნანობდა ალექსა. დედამიწის გულში ულევი სიმდიდრეა, ხელი გაანძრიე და იპოვიო.

— ალექსავ, იმ სკოლაში ყველას მიიღებენ?

— ყველასა, მაშა.

— მგმრე რა მოხელე გამოვა?

— ის მოხელე გამოვა რომ, სოფლის საქმიანობის ავან-ჩავანს ისწავლის, ნასწავლი მეურნე იქნებაო, რასაც უსწავლელი კაცი ათ საქენ მიწაზე ვერ მოიყვანს, ნასწავლი კაცი სამი საქენი მიწის მოსავლით იცხოვრებსო.

— მაშ თუ აგრეა, ე ჩვენი ბალღი რო წაიყვანო იქა, ურიგო იქნება?

— რათ იქნება ურიგო, თუკი ისწავლა.

...და სწორედ მეორე კვირას, ხუთშაბათი დღე იყო, ალექსას ხელი ჩაეკიდა მიხასთვის და წინამძღვრიანთკარის ეზოში შეიყვანა. ვინც პირველად შეხვდა იმას შეეკითხა:

— ემ სკოლის დირექტორი სად იქნება?

— აი, ძიავ, აქეთ რომ მოდის, ის კაცია, ილია ჰქვიან, გვარად კი წინამძღვრიშვილია.

— ეგ კი ვიცი შვილო, განა პირველად მესმის მაგისი გვარი და სახელი?

შეჯვუფებულ მოსწავლეებს ახალგაზრდა, ოცდაშვიდი თუ ოცდარვა წლის ტანმორჩილი კაცი მიუახლოვდა, შეგირდები მასწავლებელს მოერიდნენ, სტუმარი კი წინ შეეგება და ალექსამ დაასწრო:

— გამარჯობათ, ილიავ!

— გაგიმარჯოთ ღმერთმა, რა გაგჭირვებიათ, ვისთან მოსულხართ, სადაური ხართ, ძია კაცო? — ტკბილად ჩაჰკითხა უცნობს და ბავშვი შეათვალიერა.

— მცხეთიდანა ვართ, ცოტაოდენი სალაპარაკო მაქვს თქვენთანა, შეიძლება?

— მობრძანდით, — და წინ გაუძღვა, ქვის კიბეებზე ავიდა, გრძელი ღერეფანი გაიარა და ერთ პატარა, სუფთა, ნათელ ოთახში შეიპატიჟა. მასპინძელმა მათ სკამი შესთავაზა. ალექსამ მაშინვე ქუდი მოიძრო თავიდან; მიხამაც პატარა ნაბდის ქუდი ხელში ჩამუჭა და განცვიფრებული, ხან მამას შეაყურებდა და ხან უცხო კაცს.

— აბა რა გიჭირთ; ეს ყმაწვილი თქვენია?

— დიახ, ჩემი შვილია, აი, ამის თაობაზედა ვარ წამოსული; ერთი საწყალი წვრილშვილი კაცი ვარ; მართალი გითხრათ, ძაან მიჭირს ოჯახის რჩენა, მაგ-

დეკორატიული კალათა ვარდებითა და ქრიზანთემებით



ვარდ ყვავილების გვერდით ვაზიც გალაღებულა

რამ ამ ბალღის საქციელმა საგონებელში ჩამაგდო, არაფერი ხელობა არ ეინ-ტერესება, მარტო ყვავილებია ამისი სიხარული; მთელი დღე იმაზეა გადაგე-ბული; დაძვრება კლდე-ღრეში. იქნება თქვენთან ივარგოს, ჭკვიანი ბალღია.

ილია სკამიდან წამოდგა, ბიჭს ხელი მოკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა და თვალუწვდენელ ბაღში გადაახედა.

— აბა გახედე, რამოდენა ბაღი და ეზო-ყურე გვაქვს!? ეს სულ თქვენი სკოლისაა, ვაზიც ბევრია, ხეხილიც მრავალგვარი, მარანიც დიდი გვაქვს. ვარდ-ყვავილებს ხომ ნულარ იკითხავ. თუ გიყვარს, სწორედ შენი საფერი ყოფილა ეს სკოლა; ფუტკარიცა მყავს, ყველაფერი... ყველაფერი, რასაც ენა და პირი იტყვის და ისურვებს; არ მოგწონს განა?

— რატო არა, — გაბედულად ჩაულაპარაკა პატარამ.

— დარჩები აქა? ამხანაგებიც გეყოლებიან, განა მოგეწყინება — მერე ალექსას მოუტრიალდა და, — მამულაშვილო, ამ ბალღს მე დავიტოვებ, შენ კი წშვიდობის გზა გქონია, არა იჯავრო რა, ვითომ სახლში გყოლიათ, მგონია ივარგოს და გული დაუდოს, არა და მცხეთამდე დიდი მანძილი არ არის.

— მამი, ჩემ ყვავილებს წყალი დაუსხით, მიწა არ გაუშრეს ძალიანა.

— არა, შვილო, დედაშენი ხელს არ მოაკლებს, არ იჯავრო, — ტკბილად ჩაულაპარაკა.

— აბა ილიავ, თქვენ გახარებასა, პატარაა და არსაით გაგეპაროთ.

— ნუ გეფიქრებათ, ამას იმისთანა რამეებს ვაჩვენებ, იმისთანა საქმეს მივუჩენ, რომ, მგონია მცხეთაში ჩამოსვლაც კი გადაავიწყდეს.

* * *

...იმ დღიდან დამეგობრდნენ მასწავლებელი და მოწაფე. თითქოს, სულმა სული იცნო; ბევრი საერთო გამოინახა ამ ორ ადამიანში. ამისთანა გულისყუ-რიანი და შრომისმოყვარული ყმაწვილი ბევრი არ ეგულებოდა ილიას. სწავ-ლითაც კარგად სწავლობდა და შრომითაც ყველას ყურადღებას იქცევდა. მოუღლელსა და ხალისით სავსე ყმაწვილს, მასწავლებლები ხომ სულში იძვრენდნენ. დინჯი, სერიოზული, სიტყვაძვირი და საქმიანი, მცენარისა და ყვავილის მესაიდუმლე გახდა. იმისი ხელით დარგული ნერგი და დამყნობილი ხე ერთიათად იქცეოდა ხოლმე. მასზე მინდობილ საქმეს აღარც მასწავლებ-ლის თვალ-ყური სჭირდებოდა და არც შემოწმება. რასაც ხელს მოჰკიდებდა ღა ითავებდა, ისე გააკეთებდა, რომ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც განცვიფრებაში მოჰყავდა.

ამ სკოლაში უფრო გაუღვივდა ყვავილების უსაზღვრო სიყვარული. ილია წინამძღვრიშვილი ამბობდა: ამისაგან დიდი ადამიანი უნდა დადგესო, ამ ყვა-

ვილებმა უნდა აამაღლოს ცამდე, ამ შრომამ უნდა გახადოს საქვეყნოდ ცნობილიო.

მიხას იმ დღიდან თითებზე მიწა არ მოსცილებია, იმ დღიდან მიწისკენ იყურება ერთთავად.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში მოსწავლე თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებდა. იქვე იყო თვალუწვდენელი ვენახი, ზვარი, ხეხილის ბაღი, ქვევრ-მარანი, სხვადასხვა მცენარისათვის გამოყოფილი სანერგეები, ყვავილსათბურები, სახელოსნოები და ყველაფერი, რასაც მეურნეობა ითვალისწინებდა.

ილია წინამძღვრიშვილი ისე ზრუნავდა, როგორც მამა საკუთარ შვილებზე. და განა მოსწავლეებს მარტო თავის სკოლაში ეხმარებოდა, განა მარტო იმხანად ეკრძნობდნენ მისგან მშობლიურ სითბოსა და ამაგს. თუ გვონიათ იტყოდა: მე ჩემი ვალი მოვიხადე; დაამთავრე და საითაც გენებოს იქით წადიო; არა, ის სულ სხვა მასწავლებელი იყო; მას სულ სხვა გული და გრძნობა ჰქონდა; ის თავის მოსწავლეებს მერეც პატრონობდა; თვითონ თავისი ხარჯით მიჰყავდა სწავლის გასაგრძელებლად სხვადასხვა ქალაქში. მიხა მამულაშვილმა ერთი წელიწადი ისწავლა წინამძღვრიანთკარის სასწავლებელში, მას საოცარმა ნიჭმა გაუხსნა გზა თბილისისაკენ.

ილიამ თვითონ ჩაიყვანა მიხა თბილისში და საბაღოსნო სკოლაში მიაბარა. არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ მათ მეგობრობა. უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მეტი საერთო ნახეს და უფრო მეტად შეუყვარდათ ერთმანეთი. სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ.

როგორც კი მცხეთაში დაინახავდნენ მეზობლები, მოსვენებას არ აძლევდნენ:

— მიხავ, შვილო, შენ გახარებასა, პანტის ხეზედა ერთი კაი ჯიშიანი მსხლის ტოტი დაგვიმყნე.

— შვილო, შენი ხელით დარგული მალე გაიხარებს ხოლმე, გაღმოღი ერთი, ჩაგვირგე რამე ამ გადამხმარ ეზოში.

მიზაც განა დაიზარებდა. ჯიბით დაჰქონდა სასხლავი მაკრატელი და სამყნობი დანა: სადაც წაასწრებდა თავისას თუ სხვისას, უშნოდ გაბარდნულ ხეხილსა თუ მწვანე ნარგაევებს, ყველაფერს ალამაზებდა თავისებურად, დიდი გეძოვნებითა და სიყვარულით. პატარა იყო, მაგრამ, უფროსებიც და უმცროსებიც დიდი პატივისცემით შეჰყურებდნენ. ხალხსაც უყვარდა. ახლავე ფუტკარივით მშრომელია ეს ბალღი და მერე რაღა იქნებაო, — იტყოდნენ ხოლმე. ყველა გაკვირვებული იყო.

ახლა სოფიო და ალექსა აღარ ჯავრობდნენ:

— ამ ბალღის ბედ-იღბალი ყურისძირშივე ყოფილა და ჩვენ კიდევაც სხვაგან, შორს დავეძებდით.

— ეს თავისი მასწავლებელიც რომ ეგრე დაუმეგობრდა!? ძაან კი უყვარს და ემადლიერება, ძლიერ კარგი ყმაწვილი გეზრდებაო.

თბილისის საბაღოსნო სკოლაში სწავლისას დიდი ყურადღება მიექცია მამულაშვილმა. სასწავლებლის ბაღშიც თავისი სასწაულებით აალაპარაკა ყველა. ამიტომ იყო, რომ, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, სასწავლებლის უფროსმა გადაწყვიტა მიხას გაგზავნა ვარშავის სამეურნეო აკადემიაში.

აქ კი მამულაშვილს ბედმა არ გაუღიმა; გასამგზავრებლად გამზადებულს, სწორედ იმ დღეს დეპეშა მოუვიდა — მამა გარდაიცვალაო. აპრილის თვეში მამა დაასაფლავა და ივნისის თვეში — დედა. მწუხარებამ თავგზა აურია მიხას. წასვლას ვინღა ჩიოდა, ასე ხელმოკლე ოჯახისათვის ორი ადამიანის დასაფლავება ადვილი ხომ არ იყო. უფროსი მიხა იყო. დანარჩენები იყვნენ საკითხავები; რა უნდა ექნათ ამ დასაზრდელებს, ხუთი და-ძმანი დაობლდა. ვალიც დიდი დაუტოვეს მშობლებმა.

სწორედ ამ ვალმა გაღუნა წელში ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი. ახლა სხვა საზრუნავიც დაემატა. ოჯახი დაინგრა, და-ძმანი დაიფანტნენ, გამოიკეტა მამულაშვილების სახლ-კარი.

საბაღოსნო სასწავლებლის უფროსმა მიხა თბილისში მოაწყო მებაღედ. მეფისნაცვლის გალიცინის ბაღში (ახლანდელი პიონერთა სასახლის ბაღი). ბაღშივე ცხოვრობდა. ჯამაგირი ოთხი თუმანი დაუნიშნეს, ეს იყო და ეს. დაიწყო უფრო გაჭირვებული ცხოვრება. მებაღე მცენარესა და ყვავილებს თავს ევლებოდა, როგორც ჩვეოდა, დიდი სინაზითა და სიფრთხილით, მაგრამ განა ეს ეყოფოდა?

ბაღში ხშირად იმართებოდა ლატარია და სახალხო სეირნობა. შემოდიოდნენ ყოველნაირი ხალხი — ბედნიერებიცა და უბედურებიც, მშვიერებიცა და მაძღრებიც.

მიხას გულს კი ადვილად აბა რა გაახარებდა, გლეხის მარჯვენას ფასი არა ჰქონდა და გულშივე იკლავდა ამ უსამართლობას.

ზამის სიტყვები კარგად დაამახსოვრდა: — ყვავილები მდიდრებისაა, გლეხკაცს რა ეყვავილებაო. ხშირად ჩაფიქრებული დადიოდა ტანაყრილი მუხებისა და ვერხვების ქვეშ; წუხდა ყმაწვილი, ნატრობდა: ნეტავი იმას, ვინც იმ ღროს შეესწრება, როცა მშრომელის მარჯვენა დაფასდებაო... თანაც კარგა მოზრდილი იყო და დაოჯახებაზედაც ფიქრობდა, ერთი ქალაქელი გოგო ჩაუვარდა გულში და მოსვენებას აღარ აძლევდა მასზე ფიქრი. აი, იმ დღესაც მოსეირნე ხალხში კარგა ხანს უთვალთვალა მის გამოჩენას, ნახა და გაისარა.

— მე და შენ ღმერთმა გვაპოვნინა ერთმანეთი, მაგრამ ეს ჩემი ურჯულო უფროსი რომ დიდ უარზეა ისევა!

— უარზეა?

-- უარზეა, მაგრამ შენ ნუ ინაღვლებ, შენთვისა ბაღსაც მივატოვებ და ჯამაგირსაცა.

— მერე სად წაგვესვლება, ორივე ობლები ვართ, სარჩენები კი ღმერთმა გვიმრავლა.

— მშიერი არავინ მომკვდარა, მარჯვენა მაქვს და...

— მიხავ, იქნება ტკბილი სიტყვით დავითანხმოთ; შევეხვეწოთ.

-- შევეხვეწო? აბა, ეგ როგორ მითხარი, ახლა კი ძაან გამაჯავრე... ეგ არ იქნება ჩემგანა. გაიგო თუ არა, რომ ცოლის თხოვას ვაპირებდი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ეგ რომ ცოლს ითხოვს, აქაურობა სულ ამიოხრდებაო; განა იმდენსა ფიქრობს ეს ვითომ ნასწავლი კაცი, რომ ადამიანი, როცა გულდინჯად იქნება, უფრო მეტი თვალი და ხელი ექნება ბაღსა. აბა, იმ შაბათისათვის მზად იყავი, — მტკიცედ უთხრა და შუქიან თვალებში ჩახედა გოგოს.

მეორე შაბათს კი ისე გაიპარა ბაღიდან, რომ ბაღის პატრონს კი არა, ყარაულსაც არაფერი გაუგია. ერთი კვირის შემდეგ მეფისნაცვალს მოახსენეს: -- თქვენმა მებაღემ, მიხა მამულაშვილმა თავისი გაიტანა და ჯვარი ღაიწერაო.

სიძეს ხელზე თორმეტი თუმანი გაჰყვა. ორი კვირა არა უშავდათ. მერე იყო საკითხავი. ბაღიდან გამოყოლილი შემოელიათ და ამის შემდეგ რაღა უნდა ექნათ ახლად ჯვარდაწერილებს.

ერთი მხრივ, დამშვიდდა, გულისტოლი რომ გვერდითა ჰყავდა. მაგრამ განა მშიერი პატარძალი საამო სანახავი იქნებოდა? დამხმარეც არავინა ჰყავდა, არსად არავინ ეგულებოდა, სახლში მისვლა ეხათრებოდა, გულში კი ამბობდა: ვაი დედასა, რა დროა, ახლად ჯვარდაწერილთანა ცარიელა ხელით მივესვლება სიძესა? ვაი სირცხვილო, ვაი შენ, ჩემო თაო, — რა უხეირო დროებაა. — სწუხდა. ცოტა ხანს კი დარჩნენ ქალაქში და მერე მცხეთას მიაშურეს — იქ დაბინავდნენ. მიხას და მაშოს როგორ დაავიწყდებათ ის გაჭირვება და ის მადლიანი გაზაფხული, როცა მამულაანთ კარს, ხურვალეთიდან ხორბლით დატვირთული ურემი მოადგა. მეურმემ ოჯახის უფროსი იკითხა და პატარა ბარათი გადასცა:

„საყვარელო მაშო და მიშა!

ძალიან შეუშინებიხართ სიღარიბესა; ნუ გეშინიანთ, არც ამ გაჭირვებაში მიგატოვებთ და დაგივიწყებთ. გული არ გაიტეხოთ, ახალგაზრდები ხართ, გიგზავნით ერთ ურემ ხორბალს, ჯერჯერობით იმყოფინეთ, შემდეგ კი ღმერთი ან კაცი ისევ მოგეშველებათ.

თქვენი მოსიყვარულე ნუცა უზნაძე“

წერილი და მოსაკითხი რამდენად სასიხარულო უნდა ყოფილიყო გაჭირვებული ოჯახისათვის, ამას თვითონ მიხვდებით. ძმა ძმისთვინა, შავი ღღისთვინა, — ტკბილად ჩაილაპარაკა მაშომ.

— აკი გითხარი, ესენიც ჩვენისთანა საწყალი გულისანი არიან, თუკი რამე აქვთ, არას დაიშურებენ.

შემდეგ კი ოჯახის უფროსმა, მცხეთის ბოლოს, არაგვის ნაპირზე მიწა შეიგულა, ძმებმა ვალითა და ვახშით იყიდეს. დაიწერა თამასუქი, მყიდველი მოვალე იყო მიწის საფასური თანხა ნაწილ-ნაწილ, ნელ-ნელა ეხადა.

აი, მაშინ დაიწყო ნარეკვავში ბაღის გაშენება. ძმები ისევ ერთად შეიკრიბნენ, ცოლები მოიყვანეს, მეზობლებმაც ხელი მოახმარეს, ჯირკვებითა და ქვა-ღორღით სავსე ჭალა ნელ-ნელა გაიწმინდა ეკალ-ბარდისაგან.

დაიწყო ახალი ცხოვრება, ახალი სიცოცხლით და ახალი ხალისით. მაშოსა და მიხას ახლა შვილებმა გაუხარეს გული. მაშომ სამი შვილი აჩუქა მიხას. მშობლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, გამოცოცხლდა მიძინებული კერა, ახმაურდა ეზო-ყურე.

ნარეკვავის ჭალა ნელ-ნელა ბაღნარად იქცა. ოჯახი წელში მომაგრდა და შვილებიც წამოიზარდნენ.

თვითონ ბევრი გაჭირვება და უბედურება ენახათ და შვილებისათვის ეს გზა ენანებოდათ, და აი, მიხეილი, სიყრმისშვილი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გერმანიაში გააგზავნეს სასწავლებლად. ბერლინის გარეუბანში — დალემში დაამთავრა მან მეყვავილეობის ინსტიტუტი.

პელაგია ლენინგრადში, ბიოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა, მცენარეთა გენეტიკის განხრით, შემდეგ კი იქვე გააგრძელა სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში. უმცროსმა ვაჟიშვილმა გიორგიმ, გერმანიაში — მიტვაიდის ტექნოლოგიური ინსტიტუტი აირჩია.

ასე დაიფანტნენ მამულაანთ ოჯახიდან ახალგაზრდობა, შემოიარეს მთელი ევროპა; ნახეს და ისწავლეს თორემ, განა დიდი ხნით გული გაუჩერდებოდათ სადმე: — მცხეთური მიწა, მამაპაპისეული კერა, ჯვარი და სვეტიცხოველი, ზედაზენი და ბებრის ციხე, არაგვისა და მტკვრის სანაპირო, განა ადვილად დაეთმობოდათ?

ფერმილეული ყვავილები

— შე საცოდავო, შე უბედურო, ვისმა მარჯვენამ გაგიმეტა, ვისმა ბოროტმა ხელმა მოგისპო უდროოდ სიცოცხლე; რა შეუბრალებელია ზოგიერთი ადამიანი, განა რაიმე გაუფუჭე? — ჩურჩულებს დაღონებული მებაღე და ვარდის ბუჩქზე დაკიდებულ მოტეხილ ტოტს შეჰყურებს.

მოხუცი მზრუნველი ხელით აგროვებს დაზიანებულ და ჩამოტეხილ ტოტებს, დაცვენილ ყვავილებს, ფოთლებს. საღამოს, როცა ბაღში ბილიკებზე ფეხის ხმა მიწყნარდება და ზედაზნის ტყიდან ბინდი შეეპარება ყვავილნარს, როცა მეზობლებ-მეგობრები „ღამე ნებისას“ უსურვებენ, მებაღე და მისი ქალიშვილი მარტო რჩებიან, მოხუცი გრძელ მაგიდას მიუჯდება, წინ დაიწყობს ნაირ-ნაირ ყვავილებს, ფოთლებს, რტოებს; გაალამაზებს, გადაარჩევს და მათთვის საგანგებოდ შერჩეულ დიდ წიგნებში ჩაასვენებს, ჯერ იქ ინახავს, ფორმას მისცემს, გაახმობს და შემდეგ კი... სხვა გზას უჩვენებს, ვის რა ბედი ეწვევა, ეს უკვე მებაღის სურვილზეა...

იქვე აწყვია დიდი ალბომები სხვადასხვაფერისა; შიგნითა ფურცლები ზოგი თეთრია, თოვლივით თეთრი, ზოგი სპილოს ძვლის ფერია, თითები კი ფრთხილად, თითქოს ეპარებაო, ფრთხილად ეხება და არჩევენ მათ.. მამაშვილი უხმოდ, უსიტყვოდ ჩაჰკირკიტებენ, განიცდიან, ხან უზომოდ უხარიათ და ერთმანეთს გამოელაპარაკებიან, ხან კი დუმილს არჩევენ... მაგიდაზე გაბნეულია ყუნწმოცლილი, კისერმოტეხილი, ქარისაგან მოწყვეტილი, წკიმისაგან დაჟეჟილი ყვავილები. არჩევენ და შემოქმედებაც აქედან იწყება. ეს შესანიშნავი კომპოზიციები ხმელი ყვავილებისა, მხოლოდ ღამის მყუდროებაში იქმნება. ხანდისხან თუ დაარღვევს სიჩუმეს მებაღის ქალიშვილი:

— მამა, მოგწონს? — და სპილოს ძვლისფერ ალბომის ფონზე გაბნეულ. ჩინური ვაშლის წვრილ-წვრილ ყვავილებს აჩვენებს.

მოხუცს ანცვიფრებს და უხარია პელიკოს მაღალი გემოვნება და ფანტაზია. სიხარულს ვერ მალავს.

— კარგია, შვილო, კარგია, — ტკბილად ეტყვის გულგახარებული. ორივე ჩუმად, უთქმელად მუშაობს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან.



მებაღის სახლ-მუზეუმის კედლებზე სხვადასხვანაირი კალათებია ჩამოკიდებული. კალათებში დღემილეული, ფერმილეული ყვავილები აწყვია.

არა, მებაღეს უნდა შვილმა აჯობოს, მისი ნახელავი უკეთესი გამოვიდეს; მალიმალ გადახედავს შვილს.

მებაღეს უამრავი ყვავილები აქვს წიგნის ფურცლებში ჩატანებული და განა მარტო ყვავილები? — რტოები, ხავსები, ფოთლები, ბალახები ველისა, მთისა, ბაღისა; ის ჯერ ასე გაამზადებს, გააშრობს და შემდეგ ახამებს ერთიმეორეს ალამაზებს და ხატავს მათ.

განა მარტო მიწაზე იცის ცოცხალი ყვავილებით ხატვა. გამხმარი ყვავილებითაც კარგად მუშაობს. წინ უწყვია „საშენი" მასალა, ყვავილები, ალბომები, წებო და... თოვლივით თეთრი ალბომის ფურცლებზე ხან საუცხო სურათებს ხატავს, ხან კი ბარათების თაესამკაულებს ამზადებს.

— მამა, არ მოგწონს? — დაარღვევს ხოლმე მყუდროებას ისევ პელიკო. მამა, ახლოს მიდის, დახედავს იაპონური ვაზის წვრილი, ძალიან წვრილი რტოებისა და ფოთლებისაგან შესრულებულ შესანიშნავ ნახატს შემოდგომის ფერებში, ხავსის რტოზე განლაგებულ მხვიარა ვარდებსაც გადახედავს —

ნაცრისფერი ავშნის ტოტებით რომ დაუმშვენებია და კმაყოფილებით ეტყვის: ძალიან ლამაზია, საუცხოოა ეს მარწყვის ფოთლებიც ჩემებურად წაღმა-უკუღმა რომ ჩაგიკრავს თავისი წვრილი ტოტებით; ახლა კი შენ მაჯობე, ნამდვილად მაჯობე, — ეხუმრება შვილს.

ყავისფერ ფონზე ხავსია გაშლილი. ზედ ლამაზადაა განლაგებული მინდვრის ყვავილები. მებაღეს ძალიან უყვარს მთისა და ველის ყვავილები. ამიტომ, საითაც არ უნდა იმოგზაუროს, ცარიელი ხელით არ დაბრუნდება. ის ამ ალბომებისა და ბარათებისთვის უფრო მეტად მინდვრის ყვავილებს იყენებს.

. ალბომები ყვავილების მეორე სამყაროს ქმნიან. ალბომიც ბაღია. აქაც თავისებურ სურნელებას გამოსცემენ, როცა ხმებიან. მებაღეს განსაკუთრებით უყვარს ხმელი ბალახის სურნელება, ამიტომ მის ოთახში ბევრია გამხმარი ყვავილი და მცენარე.

სტუმრები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც ხმელი ყვავილების ალბომებსა და შუშის ქვეშ მოქცეულ საუცხოო სურათებს ათვალიერებენ. ზოგიერთ ყვავილს შენარჩუნებული აქვს თავისი ფერი და ისე ცოცხლად იყურება, რომ ხანდახან დამთვალიერებლები სუნსაც უსინჯავენ. ქალები ხომ აღტაცებას ვერ ფარავენ:

რა კარგია ამისთანა საკაბე, რა შესანიშნავია ასეთი ყვავილებით რომ დაიჩითოს ზაფხულის საკაბე...

მამა-შვილმა ყვავილებისაგან შესრულებული სურათები, ნახატები აბრეშუმზედაც გადაიტანეს; შესანიშნავი, საუცხოო სანახავი იყო, სხვადასხვა-ფერის აბრეშუმზე შესრულებული კომპოზიციები. ამის შესახებ მრავალი შთაბეჭდილება ჩაიწერა ალბომებში:

აი, რას წერენ უზბეკეთის საფეიქრო კომბინატის მხატვრები: „ვნახეთ აბრეშუმზე შესრულებული ჰერბარიუმის განსაცვიფრებელი კოლექცია, ყვავილების ხლართების, ფონების ასეთი გემოვნებითი გამა არ გვინახავს არც მუზეუმებში, არც გამოფენაზე.

ჩვენ, საფეიქრო კომბინატის მხატვრები, ჩვენი კავშირის ყველა ფაბრიკის მხატვარი ძალიან დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ თქვენ შექმნით ალბომს ფერადი რეპროდუქციებით. ეს იქნება უმდიდრესი სახელმძღვანელო საქსოვი ფაბრიკის ყველა მხატვრისათვის“.

მხატვრის ამ „სახელოსნოში“ იქმნება ყვავილების ჰერბარიუმი. მებაღეს განსაკუთრებით უყვარს ღობე-წნულები, ლასტები, გოდრები, კალათები, აგერ საწერ მაგიდას მაღალი სოფლური წნული ღობე აქვს შემოვლებული. მაგიდის ნათურაც წნულ ფეხზეა შემდგარი, წნული ქუდითაა დამშვენებული. იქვე, მარცხნივ, კედელზე ჩარჩოში ხმელი ყვავილებისაგან შესრულებული საუცხოო პეიზაჟია — მინდვრის ურო-ბალახი და ველური ყვავილები ისე ცოცხლად იყურებიან, თითქოს ოცი წლის წინათ გაკეთებული კი არა, აი,

ჩემო ტკბილო ლალო!

მივიღე თქვენი ბარათი,
მადლობთ ყურადღებისათვის..
ეს ერთ ტკვრა მაგონებს ნეტავ
ასრულ იმის სილამაზე,
იზამს ეგვი მოკვნებიანად დაი-
ხატება.

ჩემი მადლი ნ დახატულ

ეკონ მიხეილი

მოკითხვის ბარათი

ბესიკოსმაგვარ ბიჭებო!
ბრძოლისაგან დაბრუნებულ ლეკს.
ოსტატურად მსგავსი ფეიერ
ჩვენი ერის. ხალხის საყვარელ ლეკი.
თქვენი მოსიყვარულე
მიხეილ მამაცაშვილი

ხმელ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

ალბომის ფურცელზე ამეტყველებული ხმელი ყვავილები

სულ ახლახან „დაუხატავთო“. იქვეა უამრავი, უთვალავი წერილები, ღია ბარათები, უცხოელი სტუმრებისაგან დატოვებული სადარბაზო ბარათები, საჩუქრები, სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა ენაზე მინაწერი; წერილები კი ვისგან არაა, საიდან არაა; ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამ ბაღის ჯადოსნური სილამაზე, შორიდან ესიყვარულება, შორიდან ემუსაიფება მებაღეს, — როგორა ხართ, შენი ყვავილები როგორ არიანო.

იქვეა, ფანქრები, საწერ-კალამი. მაგიდის მარჯვნივ დიდი ტახტია, რბილი, ძველებური ხალიჩით. ტახტზე ჩიტის ბუდეა, შიგ ჭრელი კვნჭები ჩაუწყვია მებაღეს; კედელზე სხვადასხვანაირი კალათებია ჩამოკიდებული, ოთახის მარცხნივ, კუთხეში, ქართული, ძველებური ბუხარია, ბუხრის წინ ნაირ-ნაირი კუნძებია — მუხისა, თელისა, რცხილისა, როცა ზამთრის პირი მოატანს, მოხუცს ძალიან უყვარს ამ ბუხართან ჯდომა; ნაძვის ტოტებს შეანთებს და ერთი მაშინ გაჩვენათ იმისი სიხარული, ბუხრის ხმაურზე, ცეცხლის ტკაცუნზე გული უცოცხლდება, უფრო ახლოს იწევს ცეცხლისკენ, ხელებს ითბობს და ოცნებას ეძლევა.

მარცხნივ, შუა კედელზე, მებაღის ყველაზე საყვარელი ადამიანების სურათებია: ილია წინამძღვრიშვილის დიდი სურათი ჩარჩოდან დაჰყურებს თავის ნოწაფის შემოქმედებას, მნახველს იქიდან უთვალთვალებს — აბა, ვის რა მოეწონებაო. სურათის ქვეშ თრიმლის ტოტები გადაუხლართავს. იმის გვერდით კი ილია ჭავჭავაძის სურათია. რამდენჯერაც იმ ოთახში შეაბიჯებს მოხუცი, იმდენჯერ ცოცხლად წარმოუდგება ამათი სახე. მოწიწებით და თაყვანისცემით ეპყრობა ამ სურათებს.

...1919 წლის 3 მაისს, დილით, ილია წინამძღვრიშვილი მიხეილ მამულაშვილს მცხეთაში ესტუმრა. მუშაობაში გართულ მიხეილს შეუმჩნეველად მიუახლოვდა იგი და ვარდის ბუჩქთან დახრილს, მხარზე ხელის შეხებით მიესალმა. მიხეილი სწრაფად წამოდგა და ის იყო ხმამაღლა აპირებდა სიხარულის გამოხატვას, რომ ილიამ ჩაუჩურჩულა...

— ჩუ... ნურაფერს იტყვი, მე განგებ არ დაგირღვიე საუბარი, ყვავილებთან რომ გაგიბამს. მეც ცოტა ხნით დამატკბე მათი სმენით — უთხრა ილიამ ჭასპინძელს და წალკოტის მყუდროებაში ჩაიძირა.

დიდხანს დადიოდა ბილიკებს შორის, ყოველ ხესთან, ბუჩქთან ჩერდებოდა. მიხეილი აღტაცებით შეჰყურებდა ამ სურათს და ტკბებოდა თავის ბაღში მასწავლებლის ხილვით.

ბოლოს სახლში შევიდნენ. კარგა ხანს ისაუბრეს; მასწავლებელს უხაროდა. რომ მისი მოწაფე სასარგებლო საქმეს აკეთებდა—ყველა გლეხკაცს რომ ასე ჰქონდეს თავისი კარ-მიდამო დამშვენებული, მაშინ ევროპის ბაღებს უკან ჩამოვიტოვებთო, — აღტაცებით თქვა მან.

* * *

...და როცა ბაღში, საცალფეხო ბილიკზე ფეხის ხმა მიწყდება, კიბის საფეხურზე ჩამოჯდება მოხუცი და ელოდება — როდის აინთება ოთახში სინათლე; თავისი ჯადოსნური ბაღიდან აიტანს ყვავილებს და ჯადოსნური თითებით ყველას შეეხება — ფერმილეული, მიმჭკნარი ყვავილებიც იწყებენ მეორე სიცოცხლეს...



ამ კალათში კი ჩხარის ტოტები და გამხმარი კაქტუსებია.

დიახ, ამ ოთახში ღამღამობით, მხოლოდ ღამღამობით მიუჯდება მაგიდას თმა-წვერ გათეთრებული, წელში მოხრილი მოხუცი და ხელს არ ასვენებს. მას კი მარჯვენას ულოცავენ ადამიანები, მარჯვენას ულოცავენ ბაღის დღემილეული ყვავილები.

ბაღის სტუმრები

მოხუცი მებაღე ყველა სტუმარს ერთნაირი ხალისით უხვდება, ყველასთვის ერთნაირად გულგაშლილი მასპინძელია.

ოჯახში მოსული სტუმარი ღვთისაა; ეს ბაღი ჩემი ოჯახია, მოვიდნენ, ნახონ თუკი ისიამოვნებენ, — ამბობს ხშირად.

რომ ჰკითხოთ, რა დროს უფრო მეტი სტუმარი ჰყავს თქვენს ბაღსო, გიპასუხებთ:

გაზაფხულზე რომ დაიწყებენ მოსვლას, სანამ კარგა გვარიანად არ აციდება, სტუმარი ჭარბად მყავს. საიდან არ მოდიან: შორიდან, ახლოდან, სოფლიდან, ქალაქიდან, ყველა მხრიდან. ზამთარში კი ბაღი ისვენებს, მაგრამ მებაღის საქმეს აბა რა გამოლევს.

იმ დღესაც ის იყო დამთვალიერებლების უკანასკნელი ჯგუფი გააცილა მეზობლის ბიჭმა და სადილს შემოუსხდნენ, რომ ლუკმის ჩადებაც ვერ მოასწრეს და ზარის ხმა გაისმა. ყველაზე პატარა ავთანდილი კი ადგომას არ ფიქრობს, პაპა ნერვიულობს:

— შვილო, შენ გაზრდასა, იქნება შორიდან მოსული სტუმარია, სირცხვილია, ადე, ჩაირბინე — ტკბილად გადაულაპარაკებს. მოხუცს აბა უარს ვინ შებედავს, ავთანდილი მაშინვე დაეშვება კიბეებზე. წუთიც და ზევით ამორბის.

— რაო, შვილო, ვინ იყვნენ? — ეკითხება მოუთმენლად.

— თბილისელები არიან. სამი ხნიერი ქალია. ბაღში გავუშვი, დაათვალიერონ. ნახონ ყველაფერი, სანამ კი ვისადილებთ და ჩვენც ჩავალთ.

— ჰო, ჰო, ეგრე უნდა, — ეპასუხება მოხუცი.

ზარი მეორდება... ისევ სტუმრები და სტუმრები, ახლა მებაღე დგება, მაგრამ მისივე ქალიშვილი ასწრებს:

— მამა, მოისვენე, მე ჩავალ...

-- პელიკო, შვილო, არ დაიზარო, თუ უცხო ვინმე იყოს, დამიძახე. ადამიანი საიდან სად მოდის ამის სანახავად და ჩვენ კიდევ დავიზაროთ ვამოჩენა? არ უთხრათ — დღეს არა მცალიან და ხვალ მოდიო, ეგრე არ იქნება,

შვილი, სანამ პირში სული მიდგას და ეს ბაღი იარსებებს, ხალხიც ჰინდა; სტუმარი როგორ მომბეზრდება; მარტო ჩემთვის ვაკეთებ განა? ეს ხალხისაა; დეე თავისი თვალით დაინახონ, რომ ამ ერთ მუჭა მიწაზე უთვალავი ხე და მცენარე შეიძლება ცოცხლობდეს...

კარის ჭრიალმა მიახვედრა მებაღე, რომ სტუმრები არცთუ ისე ცოტანი იყვნენ, დერეფნიდან გადახედა.

— პელიკო, ჩამოგეშველო?

— არა, მამა, არა, ნუ შეწუხდები, მე თვითონ გავუძღვები, ლენინგრადელი ტურისტები არიან...

მასპინძელი, როგორც წესი, სტუმარს ჯერ მთავარ ბილიკზე გაატარებს, დიდრონ მცენარეებს აჩვენებს, აუხსნის, რა ჯიშისაა, საიდან არის, და თუ რაიმე განსაკუთრებული ნიშან-თვისება აქვს, იმასაც გააცნობს. რაკი მებაღე მოხუცია, ხშირად ქალიშვილს უხდება სტუმრის მიღება და გაცილება. თუ მასაც არ სცალია, მაშინ ბაღის მეგობრები, პაპას მეგობრები მასპინძლობენ. ხანდახან კი მასპინძლობა ავთანდილს შეხვდება ხოლმე, პაპასგან უთვალავჯერ აქვს დასწავლილი და გაგონილი ყველა მცენარის სახელი; ავთანდილის მამა მიტა ყირიმელაშვილიც ხომ ამ ბაღში გაიზარდა და ამ ბაღში დაბერდა, შესავალში რომ რცხილის ჯაგია, იქიდან დაიწყებს და არაფერს გამოტოვებს, როგორც იცის, ისე უხსნის; ჯერ ორანჟერეის მხარეს მიიყვანს, იცის, სად რა დგას, მაგრამ განა მებაღეა, რომ ათასხუთასი სახის მცენარეს იცნობდეს და შეეძლოს ყველას ახსნა-განმარტება; ამას გაჭირვების დროს ახერხებს; თუ მოხუცი შეუძლოდ არის და პელიკოსაც არ სცალია, მაშინ კისრულობს მასპინძლობას, გაუძღვება წინ და რიხიანად გაიძახის სახელებს. თუ ქართველები არიან, ხომ კარგი, მაგრამ, თუ რუსულია საჭირო, მაშინ, ჯერ ბოდიშს მოიხდის, არ დამცინოთ, რუსული კარგად არ ვიცი, შემდეგ კი იწყებს სტუმრებთან საუბარს.

სწორედ იასამნის ყვავილობის დრო იყო, ბაღს რომ ერთი უკრაინელი ქალი ეუტუმრა. მებაღე სტუმარს ჩვეული სიხარულით შეხვდა, წინ გაუძღვა, სახლის წინ გადაყირავებულ დიდ ქვევრთან მიიყვანა, იქვე ახლოს ლამაზად მოყვავილე სურნელოვანი მიხაკის კვალთან გააჩერა. პატარა ყვავილნარს ფეხაკრეფით მიეპარა, ერთი მიხაკი შეაცალა და სტუმარს გაუწოდა:

— აი, ეს მიხაკი კი თურქულია, იშვიათი ეგზემპლარია, განირჩევა სილამაზითა და სასიამოვნო სურნელებით, თქვენ ამას სხვაგან ვერ შეხვდებით — უყვება ტკბილი, საამო ხმით.

ბევრი რამ აჩვენა სტუმარს ლამაზი და საინტერესო, შემდეგ ორანჟერეაში მიიპატიჟა. აქ კი მოხუცმა წინ გაასწრო, პატარა ქოთანს მიეპარა, ფრთხილად აიღო და ძირზე ხელით მიწა შემოაცალა. საუცხოო სანახავი იყო აპრილის თვეში ქოთნის ნაპირზე გადმოკიდებული მწიფე მარწყვი და ფოთლებშუა, ზევით ამართულ წვრილ ღეროებზე თეთრი ყვავილები. მებაღემ

სტუმარს ალალი გულით, ღიმილით გაუწოდა ეს პატარა საჩუქარი. სტუმარმა სიხარული ვეღარ დამალა, მიუახლოვდა და მოხუცს მხარზე აკოცა.

...მებაღეს ახარეს: — დღეს თქვენი ბაღის სტუმარი იქნება ჩეხი მწერალი იედლიჩკა თავისი მეუღლით. თან ისიც უთხრეს: ამ მწერალმა დიდი და საშვილიშვილო საქმე გააკეთა — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ჩეხურად თარგმნაო, მოხუცი სიხარულით მოელის სტუმრებს და ამბობს:

— ის მარჯვენა დალოცვილი, ის კალამმადლიანი, ერთი მალე ვამოჩნდეს. ახლა ჩეხებიც გაეცნობიან ქართველი ერის დიდებას, საქართველოს აღორძინდელ ცხოვრებას.

სკამზე ჩამომჯდარი ბილიკს გაჰყურებს, აი, კიდეც გამოჩნდნენ ნაცნობი მხატვრები, მწერლები... მათ შორის ის ორი უცხოც იყო. მოხუცი კარზე შეეგება, მამაშვილურად მიიკრა გულზე, ჰკოცნის და სიხარულით ევსება ვუ-ლი, — თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ, ამით დიდი პატივი ეცით ქართველებსო.

სტუმრები ყვავილნარის მღელვარე ზღვამ ჩაძირა.

— აელიკო, შვილო, ერთი ის მოვერცხლილი ყანწი გამომიტანე აქა, — გადაულაპარაკა ქალიშვილს, და აღფრთოვანებული ელაპარაკება:

— თქვენ დიდად პატივი გვეცით ქართველებს, საქართველოს, ათი სიცოცხლე რომ მქონდეს და შემეძლოს, ათივეს თქვენ გაჩუქებდით, აი, ეს მცირედი რამ გქონდეთ ჩემი ბაღისა და ჩემს მოსაგონებლად. მაპატიეთ ამ მცირედი საჩუქრისთვის. არაფერს არ დავიშურებ თქვენისთანა ხალხისათვისო, — და მოვერცხლილ ყანწს გაუწვდის: წაიღეთ, წაიღეთ, ქართველები ოდითგანვე ამით ვსვამთ ღვინოს, როცა ყანწს შეხედოთ, ხანდისხან მაინც დალიეთ ჩვენი სადღეგრძელო... ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, — ღვინის და ლხინის მოყვარულები. ვაზისა და ღვინის ქვეყანაა საქართველო და აბა უამისოდ როგორ იქნება.

აქვეა ქართველი აკადემიკოსების მიერ ჩაწერილი შთაბეჭდილებები. აბა ვადავფურცლოთ!

„აღფრთოვანებული ვართ თქვენი ოსტატობით. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ნამდვილად დიდი ხელოვნებაა.

გისურვებთ ახალ წარმატებებს და გულითად მადლობას გიძღვნით".

ხელს აწერენ აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, ბ. ანდრონიკაშვილი, რ. დვალი, პროფ. ვ. ბერიძე და სხვები.

...ყვავილები კი შრიალებენ და შრიალებენ... ახლაც ჩუმი ჩურჩული მოედო ბაღნარს. მწერლები, კორესპონდენტები, ჟურნალისტები ეწვივნენ ბაღს, გაისმის აპარატების ჩხაკუნი... და აი, დიდი რუსი მწერალი მიხეილ შოლოხოვი პაპასთან იღებს სურათს, თან იქვე მუხის ქვეშ ესაუბრება: ნემო სეხნიავ, სიბერემ ხომ არ შეგაშინაო და ასეთ ჩანაწერს უტოვებს მოხუცს:

„ვუსურვებ ძვირფას სეხნიას ერთი ამდენი კიდევ ეცოცხლოს და კიდევ ბევრი რამ გაეკეთებინოს".

მეორე სეხნიის, სახელგანთქმული მოჭადრაკის ბოტვინიკის ჩანაწერში კი ვკითხულობთ:

„ყვავილების გროსმაისტერს, მამულაშვილს უმდაბლესი სალამი, ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის მეყვავილისგან“.

ცნობილ პიანისტ რიხტერს კი სანოტო ხაზებით დაუხაზავს წიგნის ფურცელი და ზედ მიუწერია:

„დიდი მადლობა მიღებული სიამოვნებისათვის“.

შთაბეჭდილების წიგნში კარგა ხანს ხატავდა მებაღის პორტრეტს აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი მიქაელ აბდულაევი. და, აი, დაამთავრა თუ არა ჩანახატი, იქვე მიაწერა:

„გმადლობთ თქვენი მშვენიერი სამყაროსათვის, თქვენ დაინახეთ ის მშვენიერება, რაც ჩვენს გარშემო მხატვრებმა ვერ დავინახეთ, თქვენ თქვით სულ მთლად ახალი სიტყვა, ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი და ბევრი გეტყვიან დიდ მადლობას“.

აი კიდევ სტრიქონები შთაბეჭდილებათა წიგნიდან.

„ჩვენ, საქართველოს კომპოზიტორების მეხუთე პლენუმის მონაწილენი, აღტაცებულები ვართ, ღრმად პატივცემულ მიხეილ ალექსანდრეს ძის მრავალწლოვანი თავგანწირული შრომის ნაყოფით. ვუძღვნით უღრმეს მადლობას, იმ უდიდესი სიხარულისა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებისათვის, რომელიც ჩვენ მიგვაქვს ამ ჯადოსნური კუთხიდან“. ო. თაქთაქიშვილი. მ. დავითაშვილი, ს. ცინცაძე, ბ. კვერნაძე“.

„ამხანაგი მამულაშვილი ისეთივე დიდი სასწაულებრივი ჯადოსანი მხატვარია, როგორც თვით ბუნება, მაგრამ ბუნებასაც შეუძლია შეშურდეს იმისი ხელოვნება“. ასე წერს აზერბაიჯანის მეცნიერ-მუშაკთა სახელით სულთანოვი.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ოთარ ეგაძე თავის შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს:

„მიხეილ მამულაშვილს — პოეტებთან პოეტს, მუსიკოსებთან მუსიკოსს, მხატვრებთან მხატვარს, ადამიანებთან ადამიანს, მტერთან მტერს, მეგობრებთან მეგობარს, მცხეთელ მუხას, თბილისის სიამაყეს, ერის დიდებისა და სილამაზის ცხრა მთას იქით გამტანს“.

„როდესაც მამულაშვილის ხელოვნებას უყურებ, ძნელია კაცმა განიცადოს ამაზე უფრო უშუალოდ ბუნება და ის ხელოვნება, რომლითაც ეს ბუნება ჟღერს“. მამა-შვილი — კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე, დირიჟორი ლილე კილაძე.

„ჩვენ, სტუმრები უზბეკისტანიდან, ვიყავით მამულაშვილის ბაღში და აღტაცებულები ვართ მისი შრომით და ენერგიით, რომელიც ჩაწნულია ამ უნიკალურ ბაღში“.

ხელის მოწერა ყვავილებივითაა აქა-იქ გაბნეული.

„ეს ჭეშმარიტად ყვავილების მუზეუმია და ასე უნდა გადაეცეს საუკუნეებს“ — წერენ უკრაინელები.

ჩემო სეხნიავ, ერთი ამდენი კიდევ გეცოცხლოს და კიდევ ბევრი რამ გაგეკეთებინოს — ეუბნება მიხეილ შოლოხოვი მებაღეს.

„თქვენი ბაღი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი შთაბეჭდილებაა საქართველოზე“ — წერენ ლენინგრადელები.

ბაღის სტუმრები მატულობენ. შთაბეჭდილების წიგნებიც მრავლდება. აქ ჩანს სხვადასხვა ეროვნების ხალხი, ერთი ენით — ბუნების სიყვარულის ენით რომ ამეტყველებული. მებაღე კი ყველას კითხულობს, — აბა ვინ რა ძალიან უყვარს ბაღი და ყვავილები, ვინ როგორ გამოთქვა თავისი აზრიო და თითქმის ზეპირად იცის რომელ ალბომში ვისი ჩანაწერია. რომ ჰკითხოთ, რომელიმე ხელნაწერი; უცბად იპოვის და გადაგიშლით.

უთვალავია სტუმარი — დღისით, მზისით, საღამოს; არც შაბათი იციან და არც კვირა, არც მზე აშინებთ და არც წვიმა. ვისაც რა დროს მოეცალება, იმ დროს მოადგება, ბაღს. ბაღის კარი ხომ ყოველთვის ღიაა. ისმის და ისმის ზარის წკრიალი, მებაღეს გული ხალისით ევსება. თითქოს მუხლშიც ღონე ემატება, მხნეობს და ხანდისხან ოხუნჯობს კიდეც.

საღამო ხანს კი, ზაფხულობით, როცა ბინდი შეეპარება ყვავილნარს, მოხუცი თავის საყვარელ ნუშის ხის ქვეშ ჩამოჯდება, გოდორთან, ბებერ ჯიხვის რქას შეჰყურებს, რქაში ჩარგულ მცენარეს წყალს ჩაუსხამს და სინანულით ჩაილაპარაკებს: — რა ხარ, შე ოხერო წუთისოფელო, როგორ ჩქარა იცი სიარული... შენც ალბათ, ერთ დროს, ვინ იცის როგორ ღონივრად იქნევდი ამ რქასა? ახლა კი გიყურებ და მენანები. ბევრს მოსწონხარ, ზოგიერთი სიყვარულით ხელსაც გადაგისვამს ხოლმე, ზოგი კი შეცდომით კამეჩის რქას გეძახის; განა ფიქრობენ სად კამეჩი და სად ჯიხვიო, ჰა?

ეს ადგილი ქართველ მწერალთა საყვარელი ადგილია. ამ ბაღის ხშირი სტუმარი იყო დიდი გალაქტიონი. აქ ხშირად მოდიან: კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი.

არც ხელოვნების ხალხი ივიწყებს მოხუცს, მოდიან და მოდიან. განსაკუთრებით 14 სექტემბერს იციან თავის შეყრა, ეს დღე ხომ მებაღის დაბადების დღეა! ულოცავენ, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ.

ფოტორეპორტიორებს რომ დაინახავს, აღარ იცის, საით დაემალოს.

— აი, თქვენ შეგაღონათ ღმერთმა, ჩემს შესაწუხებლად როგორ გაჩნდით ქვეყანაზედა, აღარ დამეხსნებით?

სურათის გადაღება არ უყვარს და უარობს — აბა რის მაქნისი ვარ, რა გავაკეთე ამისთანაო? დამეხსენით, დამეხსენით! თუ ღმერთი გწამთო.

მარტო ბაღში კი არა, იქ, ფართო ღია დერეფანშიც ხშირად იციან შეკრება; იმ დახუნძლულ რქაწითელის თალარს, განა მარტო ყურძნად ჩამოჰკრეფს, კარგ გემრიელ ღვინოსაც აყენებს და მერე... მარტო ხომ არ დალევს, ყველა სტუმარს ბაღიდან ხომ არ გაისტუმრებს. ხანდახან ღამის მყუდროებაში ჩაძირულ ყვავილებს, მთვლემარე ყვავილებსაც ესმით ჭიქაზე ჭიქის მიჯახუნების ხმა, შემდეგ კი — ათასნაირი ზმა და ლექსები, სიმღერები და სადღეგრძელოები.

დეკორატიული ყალათები



შროშანები

„უჩინარი“ მასწავლებელი

...დიდ მზადებაში არიან ბოტანიკური ბაღის მუშაკები. ყვავილებით განთქმული ქვეყნიდან, იაპონიიდან ესტუმრათ მეყვავილე კურამოტი.

...დიდ, ნათელ დარბაზში ზის უცხო სტუმარი, გამოწყობილი ნაციონალურ ტანსაცმელში. მას წინ უწყვია იაპონიიდან ჩამოტანილი სხვადასხვაფერის ბამბუკის ლარნაკი, ყვავილების საჭრელი ორიგინალური მაკრატელი. თბილისელებს მისთვის ათასნაირი ყვავილი მოუტანიათ და სტუმარიც მადლობას უხდის. იქვეა მიხეილ მამულაშვილის გაკეთებული ლამაზი კალათაწნულები, ბოტანიკური ბაღის მთის ყვავილების შესანიშნავი კალათები, ბაღის მხატვრული კუთხეების სურათები. სტუმარი კარგა ხანს ათვალიერებს სურათებს და იტოვებს... კალათებმა ხომ განცვიფრებაში მოიყვანა, მოწონება არც დაუმალავს.

სტუმარმა მუშაობა დაიწყო. ლითონის პატარა ფირფიტა ამოიღო; ფირფიტის ერთ მხარეს სადგისისმაგვარ ნემსებზე დაამაგრა სხვადასხვა ფერის ყვავილი და წყლიან ქილაში ჩაუშვა. ყველას მოეწონა; ცოტა ყვავილები დასჭირდა და ლამაზიც იყო. მერე წყალი დაასხა ლამბაქზე, ზაფრანა დასჭრა და შიგ ჩაყარა, გარშემო კი სატაცურის წვრილი ღერო ლამაზად შემოახვია. ესეც მშვენიერი სანახავი იყო.

— როდესაც სტუმარი მოგვივა და ვერაფერს ვიპოვით მისართმევს, — თქვა კურამოტმა, — აი, ამას გავაკეთებთ და მაგიდაზე დავუდგამთ. ჩვენთან, იაპონიაში, ყვავილები უამრავია და როცა ვინმეს ნახვა გაგვიხარდება, ყვავილებს მივართმევთ ხოლმე.

იაპონელი ქალი ისევ სურათებს მიუტრიალდა, კლდე-ბაღის მხატვრული კუთხეები მოეწონა და იკითხა — ვინ არის ყოველივე ამის ოსტატიო. სტუმარს ოსტატიც გააცნეს — ბოტანიკური ბაღის დეკორატორი გიორგი შანგაძე. ქალმა ჰკითხა — სად სწავლობდით ამ საქმესო. მანგაძემ თავისი მასწავლებელი. სახელგანთქმული ქართველი მებაღე მიხეილ მამულაშვილი დაუსახელა.

სტუმარმა მამულაშვილის ბაღის ნახვა მოისურვა.

• • •

...გრძელ თეთრ კაბაში გამოწყობილი ქალი ლანდივით ეპარება ყვავილებს. ბილიკებზე ფეხაკრეფით დადის. მოხუცმა მებაღემ დაატარა თავისი ბაღის ჯადოსნური კუთხე-კუნჭული. დაბლა, მუზეუმის ოთახში კი ერთი ციცქნა კალათები უჩვენა. სტუმარმა ბაღში კარგა ხანს იარა, მაგრამ ისევ ივ ციცქნა კალათებს დაუბრუნდა, მინდვრის ყვავილებით მოქარგულ კალათებს ესიყვარულებოდა თვალებით.

— შესანიშნავია, მეტად ლამაზია ეს კალათები, — აღტაცებით წამოიძახა მან.

ვინ მოსთვლის, რამდენი მებაღე, ყვავილების რამდენი ოსტატი აღუზრდია ძიხეილ მამულაშვილს!

— დიდი ამაგი აქვს მიხა მამულაშვილს ჩვენზე, ყველა მებაღე-დეკორატორზე; მაგის ხელში გავიზარდეთ, ყველაფერი მაგისგან ვიცითო, — მადლიერების გრძნობით გვიყვება კიროვის სახელობის რაიონის გამწვანების კანტორის უფროსი ალისა ფხაკაძე.

და, მართლაც, მის მიერ გაკეთებული კიროვის ბაღის მხატვრული კუთხეები ხანგრძლივ გამოფენად გადაიქცევა ხოლმე.

აბა ახლა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შეიხედეთ. იქაურ გამოფენაზე ყურადღებას მიაქცევთ შესანიშნავ ვარდებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზით, ელვარებითა და ფერთა შერჩევით. სპეციალისტებმა ამ ვარდებს რომ დახედეს, თქვეს — ვათ მიხეილ მამულაშვილის ხელი ატყვიაო.

და განა მართლა მიხეილის ხელით იყო აქ რაიმე გაკეთებული? ამ ვარდებს უვლის კალინინის რაიონის გამწვანების კანტორის უფროსი, გამოცდილი დეკორატორი სოფიო კვახაძე; ამ დეკორატორმა კარგად იცის მცენარის მოვლა.მოხუც მებაღეს, როცა კი მისი გამოფენა დაუთვალიერებია ან ბაღის ტერიტორიაზე ექსპონირებული მხატვრული კუთხეები უნახავს, ყოველთვის უქია — დაკვირვებული ქალია, გემოვნება კარგი აქვს და ცდილობსო... მაგრამ სოფიოს რომ ჰკითხოთ, ვისგან ისწავლე ეს ხელობაო, მაშინვე გეტყვით:

— ჩვენ ყველას ერთი „უჩინარი" მასწავლებელი გვყავს, ყველას ის გვასწავლის; ნურავინ დაიტრაბახებს: მე ჩემით ვაკეთებ, არავისგან არ მისწავლია, ჩვენ მისი მოწაფეები ვართ. არაერთი კონსულტაცია მიმიღია ძიხეილისაგან. ის ამ საქმის დიდოსტატია, იმასთან აბა როგორ მოვალთ, ჩვენ იმის შეგირდები ვართო...

...ძიხეილი შუა ეზოში შეხვდა სტუმარს. იქვე ჩამოსხდნენ. მოხუცმა ჯერ შეათვალიერა, მოეწონა, მერე გამოკითხვა დაუწყო.

— რომელი რაიონიდანა ხარ?

— ჭიათურიდან.

— რა გვარი ხარ?

— ცუცქირიძე.

— სად სწავლობ?

— თბილისის სამხატვრო სასწავლებელში.

— მცენარე და ყვავილი გიყვარს?

— ძალიან.

— რა ვიცი, მოდური შარვალი რომ ჩაგიცვამს. ამ საქმეს გულს დაუდებ ვითომ? — მოულოდნელად შეეკითხა და თან გაუღიმა.

ბიჭი გაწითლდა, შარვალზე დაიხედა, შერცხვა.

...ჩემ ყვავილებს ამისთანები არ უყვარს, იცი? ამ ბაღში რაკი შემოხვალ, მიწას ველარ გაიცლი თითებიდან, ტანსაცმლიდან, ფეხებიდან; აბა ეგრე მოპრანჭული რომ მობრძანებულხარ, ივარგებს? კიდევ გაეხუმრა: — ბინაც სად იქნები, თბილისიდან აბა როგორ ივლი!

— აქვე ვიცხოვრებ, მცხეთაში.

იმ დღიდანვე დამეგობრდნენ მოხუცი მებაღე და ეს თმაქოჩორა ბიჭი.

მებაღე გულისხმიერი მასწავლებელია, დინჯად, გარკვეით უხსნის ჭაბუკს ყველაფერს; მთელი დღე ერთად შრომობენ: — ხან რწყავენ, ხან თობნიან, ხან კი მოხუცი შეკითხვებზე გადადის:

— აბა, შვილო, ეს რა მცენარეა? ჯერ ქართულად მითხარი, მერე რუსულად და ბოლოს ლათინურად; ხომ იცი, სამივე ენაზე უნდა იცოდე სახელები, თორემ მცენარე — ყვავილი ეშმაკია; თუ შეგამჩნიეს, რომ სახელები კარგად არ იცი და ერთმანეთში აურიე, — პეტრეს თუ პავლეს სახელი დაუძახე — გგონია გაგეპასუხებიან?! შეგიჯავრებენ, გულს არ გაგიხსნიან; იტყვიან: ეს უგუნური ვინ ყოფილაო და ფასი არ გექნება ამათ თვალში.

ყმაწვილს ეცინება. რა საყვარელი კაცია, როგორ უნდა, რომ შემასწავლოს ყველაფერი, რანაირად ცდილობს, თანაც ბავშვი ვგონივარ და როგორ მეფერება...

ბიჭი მხატვარია, მებაღეც მხატვარია, ორი მხატვარია ბაღში; ბიჭი ტილოზეც ხატავს; მოხუცი კი მარტო მიწაზე ხატავს თავის დაკოჟრილი თითებით. ბაღის სამუშაოს რომ მორჩება, მოსწავლე არაგვის ჭალას ესტუმრება. ნავით გადაცურავს ლერწმიანს, მოსჭრის ტირიფის ტოტებს, კორძებს იპოვის არაგვის ნაპირებზე, ქვიშას მოხვეტავს და ბაღში ამოიტანს, მებაღეს უხარია.

— აი, გაცოცხლა ღმერთმა, როგორ გულს გამიხარებ ხოლმე; ეგ კი მომწონს, რომ თქმა არ გინდა და ყველაფერს მალე ხვდები; ეს ქვიშა ამ ბილიკებზე უნდა გაიშალოს, რა კარგი ფერისაა, ამ ყვავილების ფერს ძალიან შეუხდება.

და მოხუცი თვითონვე შლის და აბნევს ბილიკებზე არაგვის მსხვილ ქვიშას. მთელი დღე ერთად ტრიალებენ მოწაფე და მასწავლებელი. ოსტატი

დინჯად, გარკვევით უხსნის, შეგირდი მალე სწავლობს.. მებაღეს უხარია, კიდევ კარგი, მონდომებული და ხალისიანი ყმაწვილია, თორემ აბა რა უნდა მექნა, თან შვილს გადაულაპარაკებს: კულტურის სამინისტროს იმ ჯილდოს, ეს მზითვად ვამოატანეს და ბიჭიკო ცუცქირიძეს „მზითვის ბიჭს" ეძახის ხუმრობით. კულტურის სამინისტრომ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდებასთან დაკავშირებით მიხეილ მამულაშვილს ეს მოსწავლე გაუგზავნა თბილისის სამხატვრო სასწავლებლიდან: „გიგზავნით და აბა თქვენ იცით, შეასწავლეთ, მოიხმარეთ, და თქვენი გამოცდილებით გამოზარდეთო..."

მებაღეს გაეხარდა ეს დავალება თუ თხოვნა, კარგად მიიღო სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე. მესამე წელიწადია, რაც ჭაბუკი მასთან არის. დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს მოხუცი, თავაზიანია, ხალისიანია, ყველაფერი ეინტერესება და გემოვნებაც კარგი აქვსო... მის სასწავლებელსაც უხარია, რომ მოწაფეს სიყვარული დაუმსახურებია მებაღის გულში.

ბიჭიკო ახლა უკვე დამოუკიდებლად აკეთებს კალათა-წნულებსა და მხატვრულ კუთხეებს. მებაღეს ეხმარება — ხან ლასტებს და კალათებს დაუწნავს, ხან გოდრებს; თითქმის ყოველ საღამოს შეირბენს, დახედავს მოხუცს, საქმეს გამონახავს, ჩაუჯდება. ხოლო საღამო ხანს, როცა წასასვლელად ემზადება, მოხუცი ხშირად ეტყვის ხოლმე.

— აქ დარჩი, შვილო, აბა რაღას მიდიხარ; ჩემთან იცხოვრე, სანამ სასწავლებელს დაამთავრებ...

მოსწავლეს კი ეკითრება, ერიდება შეწუხებისა. ის იქვე, ახლოს, ზემო უბანში ჩასახლდა.

დილიდან საღამომდე ბაღში აღამებენ ორივენი. პაპას ცოტა გულიც კი სტკივა და ამბობს:

— აბა, რა არის, შევეჩვიე და... ახლა კი დაამთავრებს, თავის გზაზე წავა... და ნატრობს მებაღე: — ნეტავი კიდევ გამომიგზავნიდნენ ვინმეს. სანამ შემიძლია, კიდევ გამოვზარდო, შევასწავლო, რაც ვიცი.

ბიჭიკოს კი ხშირად ეტყვის:

— შვილო, არ დამივიწყო. ამ საქმეში მაინც შენი მასწავლებელი ვარ. შვილივით მიმაჩნიხარ. არ დაიზარო, ხშირად ჩამოირბინე ხოლმე.

...უფრო ადრე კი ბევრი გაზარდა. ბევრს ასწავლიდა ბაღის ავსა და კარგს. ამიტომ შეარჩევს მიხეილ მამულაშვილს „უჩინარი" მასწავლებელი. მისი სტილით აფორმებენ ქალაქის დეკორაციული ბაღის კუთხეებს, მისი სტილით კეთდება მინიატურული მხატვრული ნაკეთობანი...

და ყველა, ვინც ემსახურება ხელოვნების ამ შესანიშნავ უბანს, ჩვენი მოხუცი მეყვავილის მოსწავლეები არიან. მათი გზის მაჩვენებელი — ეს მოხუცია.

ძველი და ახალი ბარათები

„თბილისი, კოტე მესხის ქუჩა, № 15, ნუცა ანანიაშვილს“ — აწერია კონვერტებს. ისინი მრავალია: ძველი და ახალი, ერთი ზომისა, ერთი ფერისა.

...წელში მოხრილი მოხუცი ქალი მოუთმენლად ხსნის წერილს და ამბობს:

— რა კარგია, როგორ მესიამოვნა, გული გამიხარა! — სახე წამით უნათდება და კვლავ განაგრძობს:

— რა კარგი კაცია ჩვენი მიშა! ვნახოთ, რას იწერება!

კონვერტი იხსნება, წერილის გამომგზავნს იაკუკუნას ოთხი ყვავილი ახლო-ახლოს, ლამაზად ჩაუკრავს ბარათში, — მარტო ამის შეხედვა გაუნათებს ადამიანს სულსა და გულსა — ლაპარაკობს მოხუცი, შემდეგ კი წერილს ხმამაღლა კითხულობს:

„ჩემო საყვარელო ნუცა! როგორ ხარ, რატომ არაფერს არ იწერები, რათ დამიგვიანე წერილი. როგორ ფეხი ამოიკვეთე და მცხეთაში არ ჩამოდიხარ!.. ჩემო ნუცა, ჩამოდი, გაბედე, რაც იქნება, იქნება, ნუ შეუშინდები სიბერეს. თორემ გაჯობებს... მეც რომ დავდივარ, ჯოხს ვიშველიებ, მაგრამ წერილებს მაინც გწერ ან კი რა შუაშია ყავარჯენი და სიზარმაცე. შენი მოსიყვარულე მ. მამულაშვილი“.

მოხუცი ნუცა რბილ ტახტზე განაბულა, ვერ გაიგებ, სძინავს თუ ოცნებაშია წასული. დიდხანს კი ვერ ისვენებს ასე, ტრიალებს და ტრიალებს, მერე წამოდგება, გაივლ-გამოივლის და ხმამაღლა ამბობს:

— შვილო, ქეთო, როდის ნახე ბოლო დროს მიშა? მართლა ჯოხით დადის?

— არა, დედი, მიშა ძია ორანჟერეაში ვნახე, მშვენივრად დადის...

— დახე, დახე, მაშ სიმართლე არ მოუწერია ჩემთვის, — ღიმილით ამბობს და სახე უნათდება.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ახლობელი ჰყავს მიხეილ მამულაშვილს, რამდენ წერილს ღებულობს.

კითხულობს ხან ძველებს, ხან ახლებს — ყველას ერთნაირი ხალისით, ყველას სიყვარულით და სიხარულით. მოკითხვის წერილმა დაძველება არ

იცის. ის მუდამ ჟამს ტკბილად გასახსენებელი და დროგაუსვლელი მოსაუბრეა...

მოხუცი მებაღე, საღამოობით, მთვლემარე ბაღნარს რომ დაემშვიდობება, მიუჯდება ხოლმე მაგიდას და იმ დღის ფოსტას სინჯავს. მაგიდაზე ბევრი წერილია — თბილისიდან, მოსკოვიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან და ვინ მოსთვლის. ზოგს ლამაზად აწერია მისამართი, ზოგს კი — გაკრული ხელით.

მოხუცი ათრთოლებული ხელით ხსნის კონვერტს. ეს უკრაინიდანაა გამოგზავნილი რაია პლუჟნიკოვასგან.

— ნეტავი ვინ არის, აღარ მახსოვს... — ფიქრობს და წერილს დასცქერის:

„ჩვენ წავიკითხეთ თქვენზე წიგნი, ძალიან მოგვეწონა თქვენი ბაღის ყვავილები. გთხოვთ, თხოვნაზე უარს ნუ გვეტყვით და გამოგვიგზავნეთ ცოტ-ცოტა თესლები იმ ერთწლიანი ყვავილებისა, რომლებიც ჩვენთან კარგად გაიხარებს. იქნება ქრიზანთემის რამდენიმე ბოლქვიც გამოაყოლოთ. ძალიან გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვით“.

მებაღეს გაეხარდა, რომ უცნობი ქალი ყვავილების მოყვარული ყოფილა.

— პელიკო, ერთი შენ გახარებას, მონახე და გაამზადე ხვალისთვისა ყვავილების თესლები; აი უკრაინელი ქალი მთხოვს და, აბა, უარს როგორ ვეტყვით.

და იმ ღამესვე მზადდება ამანათი, მაგრამ განა მარტო უკრაინელები სთხოვენ თესლებს? საიდან აღარ მოდის წერილები და ისიც აგზავნის და აგზავნის და როცა მებაღეს შემოელევა გასაგზავნი თესლები, მაშინ თბილისის ბოტანიკურ ბაღს მიმართავს, ესა და ეს თესლი გამომიგზავნეთო...

კითხულობს და პასუხსაც მაშინვე წერს, საბარათო ქაღალდები ხომ ყოველთვის მზადა აქვს.

ახალი წერილების კითხვას რომ მორჩება, მოხუცი ახლა ძველ ბარათებს გადმოშლის, მოიგონებს საყვარელ ადამიანებს და გულით ხარობს...

აი, ერთი ძველი წერილი:

„ივირფასო ბ-ნო მიხეილ!

გიგზავნით მარწყვის თესლს, იგი ორწლიანია, მაგრამ ჰყვაეის და მსხმოიარობს პირველსავე წელს. გაღივების უნარი ძალიან კარგი აქვს. თქვენი მოცემული ზამბახი დღესაც ჰყვავის ორანჟერეაში, მას შემდეგ რაც ეაცივარში გვქონდა, ამავე ზამბახის მეორე პარტია ამოვიღე მკათათვეში (როდესაც ვეგეტაცია დამთავრდა და ფოთლები გაუხმა) და აქ მქონდა დღემდე. ახლა გადავრგი ქოთნებში. ნაწილს მარტში გადავრგავ, ნაწილს — აპრილში, როგორ გგონიათ, აყვავდებიან? როდის?

რა ამბავია თქვენ ორანჟერეაში, ახლა უკვე გამოირკვევა, რა გავლენა იქონია ზამთარმა. ჩვენ ბევრი რამ დაგვეღუპა, მაგრამ თქვენსავით გულს არ ვიტეხთ თქვენი მოსიყვარულე ა. მაყაშვილი. 1950 წ.“.

ახლა მისივე მეორე წერილი გადაშალა:

„ძალიან მინდა თქვენი ნახვა და ნუ გაგიკვირდებათ, რომ მცხეთაში დამიხვდოთ თქვენს ოჯახში რამდენიმე საათით.

როგორ გაუძლო ამდენ ყინვებს თქვენმა მცენარეებმა. ჩვენ ბევრი რამ გვიფიქრია, მაგრამ არაფერია, გულს არ ვიტეხთ...

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიყავი. მაჩვენეს მარწყვის პლანტაცია, რომელიც მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ჰყვავის და მსხმოიარობს; ჩამოვიტანე რამდენიმე მსხმოიარე ტოტი; ეს იყო 4 დეკემბერს. მრავლდება მხოლოდ თესლით, რომელსაც ჩამოგიტანთ. მაჩვენეს აგრეთვე იზაბელას ვაზისა და ალექსანდროული მუსკატის ჰიბრიდი. ეს ჰიბრიდი მშვენიერ ვარდისფერ მტევნებს ისხამს. ვნახე აგრეთვე უეკლო ვარდი, — ესეც ძალიან კარგია.

როდესაც დათბება, უსათუოდ უნდა წამობრძანდეთ ბათუმისკენ. ბათუმის ბაღში მუშაობს ნიციდან ჩამოსული ქალი, რომელმაც ბევრი რამ ჩამოიტანა ახალი.

თქვენი მოსიყვარულე ა. მაყაშვილი. 1950 წ.“

პროფესორი ალექსანდრე მაყაშვილი თავისი დარგის დიდი სპეციალისტი იყო. იგი მოხუც მებაღეს ხან რჩევა-დარიგებას ჰკითხავდა, ხან კი თავის აზრს უზიარებდა.

კითხულობს მოხუცი მის ძველ წერილებს, კითხულობს და გული სინანულით ევსება: ცოდო არ არის იმისი სიკვდილი?.. აფსუს, რა მეგობარი დავკარგეო...

ხელში ახლა მეორე საყვარელი ადამიანის წერილი ხვდება, ლამაზად და გამართული ხელით დაწერილი. ვინ მოსთვლის მერამდენედ კითხულობს მოხუცი იმ ბარათს, რომელიც 1918 წელს მოუწერია მისთვის ილია წინამძღვრიშვილს.

„ჩემო სულიერო შვილო მიხა, ღმერთსა ვთხოვ შენს ჯანმრთელობას. შენს შრომას ფასი არა აქვს საქართველოს მოზარდი შვილებისათვის... შენი შრომა ყველა მეურნისათვის თვალსაჩინოა, არავის ჩვენში ეგეთი საქმე თავისი დაუღალავი შრომით და ცოდნით არ გაუკეთებია. არავისგან ნიეთიერი შეშწეობა არა გქონია. მე ეს სულ ვიცი და აღტაცებული ვარ სულყოველთვის შენი კეთილის წარმატებით და მოქმედებით, ამისათვის მიყვარხარ, ჩემო სულიერო შვილო და ვარ მეგობარი შენი ოჯახისა.

შენ წმინდა, უანგარო კაცი ხარ. ღმერთმა ჰქნას, საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი. გისურვებ კიდევ, რომ შენი სავაჭრო დარბაზი ყვავილებით უფრო გასპეტაკდეს“.

მერე მოხუცი წარსულის მოგონებებს თავს ანებებს და იწყებს წერილების წერას თავის მეგობრებთან. სწერს ბარათებს კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანს...

მიიჩქარიან, მიფრინავენ ნაირ-ნაირი კონვერტები, შიგ კი გულწითელა ყვავილები აწყვია. არავის სტოვებს უყურადღებოდ, უპასუხოდ — ულოცავს დღეობებს, ბედნიერ დღეებს...

შუადღის ხანს კი...

— პელიკო, შვილო, ფოსტალიონს ჯერ არ შემოუხედავს?

— არა, მამი.

— რათ იგვიანებს ნეტავი, — ამბობს მოხუცი და ბაღის საცალფეხო ბილიკზე ფეხაკრეფით მიდის ყვავილებისაკენ. ცალი თვალი კი მაინც კარისაკენ უჭირავს, გაიგონებს თუ არა ფეხის ხმას, გამოცოცხლდება, შეტრიალდება და მწვანე ტოტებით დაბურულ ბილიკზე სტუმარს დაეძებს თვალით.

— ხატისაანთ ქალო, მოხვედი?.. აი, შენ გაგახარა ღმერთმა, რით პასიამოვნებ დღესა.

— გაზეთებით, ჟურნალებით, წიგნებით... კიდევ რა გინდათ?

— სულ ეგ არის? წერილებსაც ველოდი და... სწუხს...

დამტარებელი მეტი სიყვარულით, ხანდახან ასე ეშმაკურად გაეთამაშება ხოლმე, მაგრამ მალევე ამოიღებს ჩანთიდან ყველას ერთად — ხუთს, ათს და ხშირად მეტსაც.

— ესეც შენი ბარათები, — ეტყვის და თან გაუცინებს.

— აი, შე ეშმაკო, შენა, აკი არაფერიაო, არა უშავსრა, ამ საღამოს მეყოფა — და სათითაოდ გადასინჯავს. განა წაიკითხავს! დღისით აბა წერილისათვის როგორ მოიცლის, ღამე კითხულობს და ღამითვე იწერება ამ ბარათების პასუხიც.

გაჭირვების ტალკვესი

„სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე, გაიარ და წინ დაგხვდებაო“ — ეს ხალხის ნათქვამია. ჰო და, სწორედ ამისთანა სიკეთეს სთესავდა მცხეთელი მამულაშვილის ოჯახიც. მათ სხვისი გაჭირვებაც გულზე ხვდებოდათ და სხვის დალხინებასაც შეჰხაროდნენ.

შრომით მოუღლელებს ზარმაცი და უქნარა არ უყვარდათ, მშრომელი გლეხის მარჯვენის ფასი კარგად იცოდნენ. მცხეთაში თუკი ვინმეს გაუჭირდებოდა, მისას კარს მიადგებოდა. იცოდნენ — თითონ ლუკმას მოიკლებდა და მოძმეს ხელს გაუმართავდა. გაუყოფელი ოჯახი ჰქონდა სამივე ძმას, და ხალხი გაოცებული იყო: იშვიათია, რომ სამმა რძალმა, სამმა ძმამ, სამმა ოჯახმა ასე შეხმატკბილებულად იცხოვროსო. იმათი ხმამაღალი სიტყვა არავის არ გაუგია.

სამეურნეო საქმიანობაც გეგმიანად ჰქონდათ განაწილებული. ყველამ თავ-თავისი გასაკეთებელი იცოდა. ნარეკვავის ბაღში ჩაბინავდა კოლა თავისი ოჯახით, მეურნეობას განაგებდა; საშუალო ძმას — ალექსას პირუტყვი ჰყავდა ჩაბარებული — ძროხასა და ხარ-კამეჩს უვლიდა. მიხა კი ბაღს ეევლებოდა თავს. მისმა მარჯვენამ შეჰმნა ეს ამოდენა სანერგეები, სათბურები, ეევბორანჟერეები. ხეხილის ბაღიც ჩქარა იზრდებოდა, არაგვის პირზე მოდებულ ჩირგვნარსა და უსარგებლო ეკალ-ბარდით დაფარულ მიწაზე შრომისმოყვარე ადამიანებმა სამოთხესავით ბაღნარი გააშენეს. ყოველდღე აქედან ათასნაირი ხეხილის ნერგები გაჰქონდათ. უთვალავი კალათა-წნულები გადიოდა, ამასაც ისევ ოჯახის უფროსი მიხა ხელმძღვანელობდა.

...თბილისში თამამშევის ქარვასლაში ყველას ყურადღებას იპყრობდა ერთი შუშისკედლებიანი მაღაზია, მასში ჩვენი მიწის მთელი სილამაზე იყო გამოფენილი. ქალაქის მობინადრეები, გამვლელ-გამომვლელები, ჩამოსული სტუმრები ისე როგორ ჩაუვლიდნენ ქარვასლას გვერდით, რომ ამ გემოვნებით ნაფორმებულ საყვავილეში არ შეეხედათ. აქედან გადიოდა საღღეობო კალათები, სასიხარულო და მისალოცი თაიგულები.

უცნობებსაც და ნაცნობებსაც ეგონათ ამ მაღაზიის პატრონი მამულაშვილი მილიონერიაო. ბევრმა არც იცოდა, რომ მას თბილისში ბინაც არ ჰქონდა,

დაქირავებულ ოთახში ცხოვრობდა — ბოტანიკური ბაღის მახლობლად, ახოსპირელის ქუჩაზე. რაც შემოსავალი ჰქონდა მაღაზიას, ბაღს უნდებოდა. მამულაშვილი არც ყოფილა დაინტერესებული სიმდიდრის მოხვეჭით, მებაღეს განსაკუთრებით უჭირდა პირველ წლებში, როდესაც ნარეკვავის ბაღი ახალი გაშენებული იყო, რამდენჯერ უთქვამთ ზოგიერთებს მიხასათვის:

— რას აკვდები ჟაურობას, ხომ ხედავ, ვერა ცხოვრობ, ადექი და წადი საზღვარგარეთ, იმისთანა შემოსავალი გექნება, რომ უცბად გახდები მილიონერიო...

მამულაშვილი მუდამ ასეთ პასუხს იძლეოდა:

— რა ჯანდაბად მინდა ფული; ჩემი სიმდიდრე — ჩემი მიწა-წყალია; ჩემი ქვეყნის ერთი მტკაველი მიწა მირჩევნია სხვა ქვეყანაში შეძენილ მილიონებს. მე ფულისთვის კი არა ვშრომობ, საქმის სიყვარული მაცოცხლებსო.

იმ ხანებში, როდესაც მამულაშვილს ძალიან უჭირდა, მის მაღაზიაში მივიდა ერთი ნაცნობი კაცი, თუმცა მან იცოდა, რომ მიხა დიდი ფულის პატრონი არ იყო, მაინც უთხრა:

— ერთ უცნობს საიდანღაც ხელში ჩავარდნია რუსთაველის ძველისძველი სურათი. თუ ფულს მივცემთ, დაგვიტოვებს, თუ არა და... უცხოელსა ჰგავს და... თან წაიღებს... იქნება როგორმე მოახერხო სურათის შეძენა...

მამულაშვილი დიდად დაინტერესდა ამ სურათით და მაშინვე იმ უცხოელის სანახავად წავიდა. სურათი ძველის-ძველი იყო. მიუხედავად გაჭირვებისა, სურათი შეიძინა. კარგა ხანს სახლში ჰქონდა, არ ემეტებოდა გარეთ გასატანად. შემდეგ სურათს უკან მიწერილმა ტექსტმა დააფიქრა, ვინ იცის, ეს სურათი უნივერსიტეტისათვის უფრო საჭირო იყოსო, და რექტორ ივანე ჯავახიშვილთან მიიტანა:

— პატივცემულო ივანე, ეს სურათი ჩემს სახელზე გქონდეთ, უნივერსიტეტსა ვწირავ.

მამულაშვილისეული სურათი ჯერ უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმში ინახებოდა, შემდეგ კი ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს; აი რას ვკითხულობთ მის შესახებ პავლე ინგოროყვას წიგნში „რუსთველიანა“:

„შოთას ის სურათი, რომელიც დღეს საყოველთაოდ არის გავრცელებული, პირველად გამოსცა გრ. გაგარინმა თავის ცნობილ ალბომში (1847 წელი, პარიზი); ხოლო საიდან გადმოიღო ეს სურათი? თვით გაგარინი თავის გამოცემის განმარტებაში წერს, რომ მის მიერ დაბეჭდილი შოთას სურათი გადმოხატულია ვეფხისტყაოსნის ერთი ძველი ხელნაწერის მინიატურიდან: ეს ხელნაწერი, გაგარინის სიტყვით, ძველად ერისთავიანთა გვარეულობას ეკუთვნოდა (რევაზ ერისთავის სახლს). შემდეგ კი იგი შეადგენდა ერეკლე მეფის ასულის თეკლე ბატონიშვილის საკუთრებას, ვისგანაც იგი გადავიდა მის შვილზე ალექსანდრე ორბელიანზე (პოეტ ვახტანგის ძმაზე). გაგა-

რინისათვის ხელნაწერი გადაუცია და სურათის გამოქვეყნების ნებაც დაურთავს ალექსანდრე ორბელიანს.

ეს ძველი ერისთავისეული ხელნაწერი, შოთას პორტრეტით, ხელთა ჰქონია ამავე ხანებში ისტორიკოს პლატონ იოსელიანს. იგი თავის გამოცემის შენიშვნებში წერს:

„აქა ტფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქვნდა ძველად ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი. სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით, ესე წიგნი და პორტრეტი წარეუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვს და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქ ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ფლესისა, საფრანგეთისა ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალ-რიცხვად ეგზემპლარებად ხრომოლიტოგრაფიითა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ძველი ხელნაწერი და თვით შოთას პორტრეტი, საიდანაც გადმოღებია გაგარინს თავისი გამოცემის პირი, წარსული საუკუნის სამოციანი წლებიდან სადღაც უკვალოდ დაიკარგა: არც ერთ ქართველ მუზეუმში იგი დღემდე არ შემოსულა და არც მისი ადგილმდებარეობის შესახებ არავინ იცოდა. ამიტომ ზოგს ეეჭვიც კი ეპარებოდა: — ხომ არ იყო მოგონილი ეს „ძველი ერისთავისეული ხელნაწერი“. და თუ ეს ხელნაწერი მართლაც არსებობდა, ყოველ შემთხვევაში საძიებელი რჩებოდა, თუ რა დროს ეკუთვნოდა იგი, ამასთან, რამდენად სწორად არის გადმოღებული გაგარინის მიერ სურათის პირი, ხომ არ არის აქ დაშვებული სტილიზაცია.

დღეს ეს სურათი — გაგარინის გამოცემის ორიგინალი — უკვე აღმოჩნდა, და ამით ყოველგვარ გაურკვევლობას ბოლო მოეღო“.

მიხეილ მამულაშვილის ეს კეთილი საქმე არსად არ ჩაუწერიათ. მოხუცს არ უყვარს სიკეთის დამადლება, მაგრამ ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ წერილს, რომელსაც მოხუცი სათუთად ინახავს თავის კარადაში.

„მოქალაქე მიხეილ მამულაშვილს. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თავ. გაგარინის ხელში ნაქონი შოთა რუსთაველის ძველი სურათის შემოწირვისათვის. რექტორი, პროფესორი ი. ჯავახიშვილი“.

როცა მოხუცი მებაღე ამ პატარა ქაღალს გიჩვენებთ, ღიმილით დასძენს ხოლმე:

— ახლა რაღას იტყვით, არც ახლა გჯერათ? რა ღაუჯერებლები ხართ ზოგიერთები...

...მადლიანი ოჯახიაო, — ამბობდნენ მცხეთელები მამულაშვილებზე. ერთხელ მიხას მომდევნო დამ — ლიზამ თქვა:

— რა საცოდავია ზემოუბნელი იმერლიანთ კაკილო, საწყალს ექვსი ბალღი ჰყავს, ექვსივე შიშველ-ტიტვლები დადიან.

— რაკი-ღა მასეა, — უთხრა მიხამ დას, — ადექი და ის შენი მოსახელე გოგო რომ ჰყავთ, მოუნათლე, ნათლია იქნები და აბა შენ იცი...

თქმა და შესრულება ერთი იყო.

კაკილოანთ პატარა ლიზას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, დარბოდა ბავშვი მეზობლებში და ყველას ახალ ტანსაცმელს აჩვენებდა: — აი, ნათლიამ რეები მიყიდა, რა კარგი ნათლია მყავსო...

შემდეგ კი მამულაშვილებმა კაკილოს ექვსივე ბავშვი მოუნათლეს, დანათესავდნენ, დამეგობრდნენ. წელიწადში ორჯერ, — აღდგომას და ახალ წელს მიხა მამულაშვილის ოჯახიდან უსაზღვრო სიხარულს და ლხინს ელოდებოდნენ კაკილოანები. ექვსივე ბავშვისათვის ერთნაირად ყიდულობდნენ ტან-ფეხზე ჩასაცმელს. ერთი სიტყვით, მარტო ამ ოჯახის მადლიც ეყოფათ მამულაშვილებს...

ახლაც სიამით იგონებს ლიზა იმერლიშვილი:

— მიხა ნათლიამ დაგვზარდა, დაგვაბინავა და ადამიანებად გვაქცია... არც ლხინში და არც ჭირში ახლაც არ დავავიწყდებით ხოლმე; ქალი დავბერდი, ამდენი ხნისა ვარ და ყოველი ჩემი დღეობის დღეს, დილა ადრიანად, იმისთანა ლამაზ კალათს მიგზავნის, რომ მომსვლელ-წამსვლელნი თვალს ვერ აცილებენ...

და განა მარტო იმერლიანთ კაკილოს ბავშვებს ეხმარებოდა მიხა მამულაშვილის ოჯახი; შვიდი წლისა დაობლდა ზემოუბნელი ყირიმელაანთ მიტა. ობოლი ბიჭი მიხამ წამოიყვანა; ისე შეაყვარა შრომა და ისე შეეთვისა მიტა ამ საქმეს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბაღს არ მოშორებია. ახლაც ამბობს მოხუცი მებაღე:

— ეგ ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც სიცოცხლესაც კი მივაბარებდი; ისე იცოდა დროზე მიხედვა, რომ არაფრის თქმა არ სჭირდებოდა.

როცა მიტა გარდაიცვალა, მოხუცმა მებაღემ გულით დაიტირა იგი, — მარჯვენა ხელი დავკარგეო, — იძახოდა.

განა მარტო ეს ორი ოჯახი ემადლიერებოდა მიხას! ვინ მოსთვლის, რამდენი გაჭირვებული და უპატრონო მისდგომია მის ბაღს, რამდენისთვის უცია პატივი, რამდენის გული გაუხარებია, რამდენი უპატრონო მკვდარი დაუმარხავს. სოფელს როგორ დაავიწყდება უპატრონო მოხუცი ანანა. განა მამულაშვილმა არ დაასაფლავა თავისი ხარჯით? ან ის, ოსის გოგო — ობოლი ნინა — ვინ გაათხოვა, ესეც ამათ, ამათ გაუწყეს მზითვიც და ლხინიც გაუმართეს. აი, ამისთანა მადლსა და სიკეთეს სთესავდნენ მეზობლებში.

იქნება იფიქროთ: — ჰქონდა და აძლევდაო. მაგრამ გაიხსენეთ ხალხისგანვე ნათქვამი: — ვისაც ბევრი აქვს, ის უფრო ხელმოჭერილიაო...

მამულაშვილს კი დიდი ქონება არც სახლ-კარზე ეტყობოდა და არც ჩაცმა-დახურვაზე, მაგრამ რამდენი რამ შეუძლია კეთილ გულს. ხალხიც ამიტომ იძახის — ჩვენი მიხა გაჭირვების ტალკვესიაო...

ბაღის მეგობრები

— ერთი შენ გახარებასა, ნუ დაგეზარება, ხვალ დილით ჩემსკენ ჩამოირბინე. ეს თუთის ხე ძალიან გალაღდა; ისე თამამად გაუშვა ტოტები აქეთ-იქით, გეგონება ეს არის და მარტო მე ვარო; უნდა მოვჭრა, თორემ სულ დამიჩრდილა ამოდენა მცენარეები — წუწუნებდა მოხუცი.

— მიხა პაპა, როცა გინდათ, მზად ვარ; თუ გინდათ, ახლავე ავუგებ ანდერძსა — ტკბილად უპასუხა ვანომ.

— აბა, შენ იცი, შვილო, რაც დროზე მომახმარ ხელსა, უფრო მეტად მასიამოვნებ...

ბაღში მთელ დღეს გაისმოდა ცულისა და წალდის კაკუნი, იჭრებოდა და ეხერხებოდა მებაღის მიერ „ათვალწუნებული" ხეები.

მეორე დღეს კი მოხუცი ჯოხს უკაკუნებდა კუნძებად ქცეულ თუთის ხეს, სათითაოდ სინჯავდა, ადგილს ურჩევდა, სად უფრო მოსახერხებელი იქნება სტუმრების ჩამოსაჯდომადო.

— აი, ეს მოზრდილი კუნძი აქეთ მოათრიეთ, ამ ადგილს უფრო მეტად დაშვენდება. — და ჯოხის კაკუნით ანიშნებს. შალიკო და ვანოც თვალებში შესცქერიან, თქმა და შესრულება ერთია. კუნძებს აწყობენ, მიწაში ამაგრებენ და თან მებაღეს შეჰყურებენ — აბა პაპას მოსწონს თუ არაო.

— ემაგრე სჯობია ვითომ? — სიტყვა ნელა შეაპარა ბიჭებს და თან ტკბილად გაუღიმა.

— აკი გონიერი ვარო, აბა, ერთი ამ კუნძს ფუღურო ბილიკისაკენ მოუტრიალე, ეგრე არ აჯობებს?

შალიკო და ვანო იცინიან, მიუხვდნენ, ალბათ ჩიტის ბუდე უნდა აქ მოაწყოსო.

— თქვენს ხელში გავიზარდეთ და... ვერა და ვერ იქნა, რომ ჩვენ თვითონ მივხვდეთ ყველაფერსა.

მე რასაც გულში გავიფიქრებ, ყველაფერს რომ უთქმელად მიხვდეთ ხოლმე, მაშინ თქვენც მებაღეები იქნებით — ეხუმრება მოხუცი.

ორი-სამი დღე მოუნდნენ ვანო და შალიკო ბაღის მილაგ-მოლაგებას; ზამთრის პირი იყო, ბიჭებს საქმე ბევრი არაფერი ჰქონდათ და მებაღემაც ეს დრო შეარჩია.

ხშირად იციან ბიჭებმა ასე შემოვლა. ბაღს გადახედავენ, მოხუცს მოიკითხავენ ხომ არაფერი გიჭირსო, და ხელს მოატრიალებენ; თქმაც აღარ სჭირდებათ, რასაც დაინახავენ და შეამჩნევენ — უთქმელად აკეთებენ. ხან სამტრედეს გამართავენ, ხან ფუტკრის სკას მოუტრიალდებიან, მებაღე კი დაფუსფუსებს გულგახარებული და ტკბილად ჩურჩულებს — იცოცხლეთ, გაიხარეთ, იცოცხლეთ, როგორც მე დღეს მასიამოვნეთ თქვენი მარჯვენითა.

შემოდგომობით, თითქმის ყოველ კვირა დღეს, სოფელ წინამძღვრიანთკარიდან დილაადრიანად გამოდის მაღალ-მაღალი კაცი. ჯერ სოფლის შარაგზას აყვება, ორღობეებში ჩერდება, თითქო რაღაც დაეკარგა და ეძებსო, შეამჩნევს წვრილ, წითელი ნაყოფით დახუნძულ ღიჭას, ფრთხილად შეაპარებს ხელს და სჭრის გრძელ ტოტებს, ხან კი წითელი, ჯერ დაუმწიფებელი ნაყოფით დამშვენებულ მაყვლის ბარდს შეაცლის ტოტებს. ასე იცის ხშირად პავლემ. თან კალათისათვის ტირიფის ნორჩ ტოტებს გამოაყოლებს, ასე ხელსავსე ჩამოვა ხოლმე მცხეთაში. სტუმართმოყვარე მოხუცი ღიმილს შეაგებებს, გაიხარებს. თან იტყვის:

— მეკითხებიან, პავლე რატომ გიყვარსო; აი ამიტომა, თქმა არა სჭირდება... დახე, დახე, ეს თავშავა და შავბალახაც რომ გამოუყოლებია.

პავლე კი უთქმელად გაუყვება ვიწრო ბილიკებს. ჯერ ბაღს შემოივლის, გადახედავს, სად რომელი ყვავილია დაყვავილებული, თესლმომწიფებული, შემდეგ კი თიხის ჯამს აიღებს და თესლის შეგროვებას შეუდგება. ფრთხილად შეავლებს ხელს დამწიფებულ თესლს, თან ჯამს შეაშველებს — თესლი არ დავკარგოო, იქვე ჩაიმუხლებს, სუფთა ძველმანში გამოხვევს ცალ-ცალკე, მერე კონვერტებს გააკეთებს, ჩაწყობს და დააწერს, რომელი ყვავილის თესლია. შემდეგ კი მებაღის ოთახში დააბინავებს. ამ მოხუცისაგან ისწავლა პავლე წინამძღვრიშვილმა ბაღის მოვლა, ამან შეაყვარა ყვავილები, ახლა რომ სიცოცხლეს ურჩევნია; პავლესაც კარგი ბაღი აქვს სოფელში, მის კარმიდამოზე თვალი რჩება გამვლელ-გამოვლელს, ისე ლამაზად, ისე გემოვნებით აქვს გაფორმებული.

მოხუცს უცებ ხმა ჩაესმის.

— მამა, ფასანაურიდან მანქანა მოვიდა.

— კოლას მანქანა?

— ჰო, მელიქიშვილს გამოუგზავნია ნაკელი, სავსე მანქანაა, წელს ამდენი არც კი დაგვჭირდება.

— იყოს, შვილო, იყოს, რაც ძველია, მით უკეთესი. აბა ახალი სასუქი რის მაქნისია. რა კარგი კაცია, გახსენებაც არ სჭირდება; ეგრეა, შვილო, ზოგმა სიკეთის მიხვედრა მალე იცის, მაგის ბაღს ჩემი ხელი მუდამაც სჭირდება. არც დავზარდები; ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო; ის თუ სასუქს მიზიდავს, არც მე ვიშურებ დროსა და ხელსა, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და ბაღის კარისაკენ გაეშურა, ჯერ შოფერი შეათვალიერა, იცნო.

— ისევ შენ გამოგგზავნა? როგორა ხართ? როგორ არიან ჩემი დარგული ვარდ-ყვავილები, ხომ არაფერი ზარალია ბაღში?, ვიცი, გზის პირზე ხართ. ათასი გამვლელ-გამომვლელის ფეხი და ხელი ხვდება იქაურობას.

— არა, პაპა, თქვენს გაშენებულ ბაღს განა ვისმე გავაფუჭებინებთ? ისე უფრთხილდებიან ფასანაურელები იმ ბაღსა, რომ..

— უნდა გაუფრთხილდეთ მაშ, ყოველ კვირა იქ ხომ არ ვივლი?

— აბა, საით გადმოვცალოთ მანქანა?

— საითა და ბაღის ბოლოში მიაყენე, გალავანთან არის მაგისი ადგილი.

როგორც კი გზაზე გასულ მებაღეს დაინახავენ მეზობლები, მაშინვე მიხვდებიან, რომ რაღაცა უჭირს მოხუცს. ახლაც დაინახეს თუ არა სასუქით სავსე მანქანა, მაშინვე, უთქმელად შემოესივნენ. თან კი გაიძახიან:

— ასეთი დაუზარელი ხელი და დაუზოგავი გული აქვს მიხა პაპასაცაო.

— მიხა პაპა, რომ იცოდე, რა მოგიტანე დღესა... ნამდვილად გაგიხარდება ვიცი...

— გამიხარდება?.. — აბა მაჩვენე და მერე გეტყვი...

— აი, მანქანაში მაქვს, ახლავე შემოვიტან — და ბაღიდან გავიდა, არ გასულა ხანი და საჩუქრებით ხელდატვირთული დაბრუნდა ზაქრო, — აი, პაპა ეს მახინჯი ქვაა, ფეხს არა ჰგავს? ეს კიდევ გულგახვრეტილია.

— ჰო, კარგია მაშა, არც ეს მრგვალი ქვაა უხეირო; ეშმაკი ხარ, ეშმაკი, სად რას წააწყდები ხოლმე.

— კი არ წავაწყდები, ვეძებ, პაპა, ვეძებ და სადაც რას შევხვდები, მაშინვე თქვენ გამახსენდებით. ამისთანა რამეები რომ გიყვართ, განა არ ვიცი?

— ძალზე ლამაზია ეს რქასავით დაგრეხილი ქვა; სად ნახე, სად იყავი?

— ბულაჩაურის მშენებლობისათვის არაგვის რიყეზე დავდივარ, იქიდან ვეზიდებით ქვასა და ქვიშას; ხვალ კიდევ ქვიშას ამოგიტან, არ გინდათ?

— როგორა, ჩემს ბაღსა მიწა და ქვიშა მოსჭარბდება? მაგრამ როგორ შეგაწუხო ახლა ამისათვისა, ისედაც დავალებული ვარ შენი პატივისცემით, — ტკბილად ეუბნება მებაღე.

— პაპა, იმისთანა ლამაზი კუნძები შევიგულე, რომ მეტი არ იქნება, ხვალ ჩამოგიტან იმასაც.

— აბა უარი როგორ გითხრა; ეშმაკი ხარ, იცი, რომ მესიამოვნება.. აბა შენ იცი.

დიდი ხანია, რაც ბაღისა და მებაღის მეგობარია ეს შოფერი — ზაქრო მარტოლეკი. სადაც რას იპოვნის ლამაზსა და მებაღისათვის მოსაწონს, აქ მოარბენინებს, ხან კი მგზავრებით სავსე მანქანას შემოაქროლებს ხოლმე არაგვის ქუჩაზე და ეტყვის:

— მობრძანდით, ნახეთ პატარა ბაღი, მთელი სოფლის სიამაყეა, აბა, ისე როგორ უნდა გაიაროთ მცხეთა, რომ მამულაშვილის ბაღი არა ნახოთ! —

შერე პასუხსაც არ დაუცდის, ისე შემოატრიალებს მანქანას არაგვის ქუჩაზე. ბაღის კართან გააჩერებს და მიმართავს: — „ჩამობრძანდით, აბა გარედან რას დაინახავთ, შიგნითაა საკვირველი და საინტერესო, ნახეთ და მერე დამლოცავთ, მადლობასაც მეტყვით. უფრო უთამამდება და ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს წინ მიუძღვება.

მცხეთელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, აბა ვინ მეტ სიყვარულს დაიმსახურებს მიხა პაპას გულშიო. სხვებს არც ლადო ბეჟანიშვილი ჩამორჩება. ბაღის სტუმარი რომ ქართული კერამიკის ცქერით ისიამოვნებს, განა ამაში ლადოს კი არ მიუძღვის წვლილი? მცხეთა ხომ ოდითგანვე კერამიკითაა განთქმული, ახლაც ბევრი რამ მზადდება მცხეთის კერამიკის ქარხანაში, ხანდახან გამოსაწვავად შეწყობილი ჭურჭელი ღუმელში დამახინჯდება, ფორმას დაკარგავს, ერთმანეთს მიეწებება და ასე გაშრება. ასეთი ჭურჭელი აბა რა მოსაწონია ოჯახისათვის, ბაღისათვის კი პირდაპირ მისწრებაა, მოხუცი მებაღე ამისთანებს იყენებს. აი, სწორედ, გვერდმობრეცილი ქოთანი და ერთმანეთზე მიწებებული რამდენიმე კრამიტის ნატეხია რომ ამკობს, ალამაზებს ბაღსა. მექოთნე ლადო მოხუცდა, ათასნაირი ჯამ-ჭურჭლის ოსტატია, და აკი ბაღსაც ეტყობა მისი ნახელავი. აქ ნახავთ უამრავ ქოთნებს, ფიალებს, ცალყურას, ხელადას და ვინ მოსთვლის...

არც შოთა ამირანაშვილი შორდება ბაღს, როგორც კი სასკოლო არდადეგები დაიწყება და დროს იპოვნის, მაშინვე ბაღს მიაშურებს, ის მცხეთის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელია და ხშირად მასპინძლობს ბაღის სტუმრებს; ზაფხულში ხომ ბაღს ბევრი სტუმარი ჰყავს. ისიც კონსულტანტობს, უხსნის, აცნობს სტუმრებს მრავალწლიანებსა და ერთწლიან მცენარეებს, ბალახოვანსა და მერქნიანს. ხანდახან კი მოსწავლეებსაც მიაშველებს ხოლმე, ასწავლის და აჩვენებს საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეებს.

— გეორგინები გადარგე?

— არა, პაპა, ჯერ არ გადამირგავს, იმისათვის ჩამოვედი, რომ თქვენთვის მეკითხა, საით აჯობებს, რომელი ადგილი შევარჩიო?

— ჭადართან, გზის პირად, ორივე მხარეს ჩაამწკრივე; სადაც გზები ამოვიღეთ, აი იქ დარგე. მე მუხლი აღარ მომდევს, ვეღარ ამოვედი და აბა შენ იცი, არ შემარცხვინო; ისე მოაწყე და გაალამაზე, როგორც ეკადრება იმ ბაღს. ცოტა დათბება და ამოგხედავ, განა მარტო შენს ამარა დავტოვებ ილიას ბაღსა?

საგურამოელი მიტო მოძღვრიშვილი საგურამოში ილიას სახლ-მუზეუმის ბაღის ყარაულად მუშაობდა, მამულაშვილი იქ ხშირად ადიოდა ბაღის გასალამაზებლად და მიტოსაც იშველებდა, ასწავლიდა — აი, ეს აქ დარგე, აქედან უფრო ლამაზად გამოჩნდება; ის იქით აჯობებს, ყვავილს ხელი და თვალი არ მოაკლდება; აბა შენ გახარებასა, სანამ ამოვალ, არაფერი გაახმო;

ასე ლამაზად იყურება ბალის ყოველი კუთხე



ისევ დეკორატიული კალათები

ეს მცენარეები ჩემს ბაღში დიდ პატივში მყვანან, კარგ თვალ-ყურს არიან დაჩვეულები და არ დამიჩაგროთ, — ასე შეაპარებდა ხოლმე ყვავილებზე ზრუნვას, ასე შეაყვარა მათი მოვლა. ახლა მიტო მოძღვრიშვილი ხშირად ჩაუვლის ხოლმე მოხუცს და რჩევა-დარიგებას ჰკითხავს, ხან კი თან წაიყვანს ხოლმე პაპას ილიასეულ ბაღში. რომ ჰკითხოთ მიტოს — ვინ გასწავლათ მებაღეობაო, — ტკბილად გაიღიმებს, თავს ჩაღუნავს და გაჩუმდება, მოხუცს გახედავს ქვეშ-ქვეშ, მიხა პაპა კი დაასწრებს და ეტყვის:

— ვინ უნდა ასწავლოს, განა პატარაა!? თითონ იცის ყველაფერი, თავისით ხვდებაო, — მიტო კი სიტყვას როგორ შეუბრუნებს, თავს გააქნევს და თითით გვანიშნებს — აი, ამ მოხუცმაო...

არც მიტო ჩამოდის პაპასთან ხელცარიელი; რაც მოხვდება და ნახავს, ველის ყვავილსა თუ სხვა მცენარეს, ყველაფერი აქეთ მოაქვს.

ახლა არსენას ბაღშიაც შევიაროთ, იქ ვინღა მუშაობს... იქაც პაპას გაზრდილი ყმაწვილია, მოხუცი რომ „ვითომ მებაღეს“ ეძახდა — ავთანდილი, — ამ ბაღში აიდგა ფეხი; აქ გაიზარდაო იტყვის ხოლმე მოხუცი მებაღე. ავთანდილიც ხშირად მოდის ხელსავსე; არაგვის ჭალიდან წნელი მოაქვს; ხან ციცქნა კალათებს დაწნავს, ხან ციცქნა გოდრებს, არც ჩიტის ბუდე დაემალება სადმე; რასაც იპოვის პაპას მოსაწონს, ყველაფერს აქ მოარბენიებს, პაპას სიკეთეს აბა როგორ დაივიწყებს ავთანდილი. ოდესღაც მას ღვინის სიყვარული სძალავდა და კინაღამ ლოთის სახელიც შეარქვეს მცხეთელებმა. აქაც პაპამ დაიხსნა, უშველა, — შვილო, ახალგაზრდა ბიჭი ხარ, მოდი და ხელი გაანძრიე, რას გამორჩები ღვინის სმას, იმუშავე; აი ბაღი, შენც ისიამოვნე და მეცალ. მებაღე ასწავლიდა, უხსნიდა. იმდენი ელაპარაკა, რომ მართლაც შეაყვარა მცენარისა და ყვავილის მოვლა; ღვინის სმასაც გადააჩვია; ახლა მებაღეა. არსენას ბაღში, მოხუცს უხარია და ამბობს — ეგრე არა სჯობიაო?

— დილა მშვიდობისა, — ბინდბუნდში გაისმის ქალის ხმა. მზით გარუჯული, ეშხიანი ქალი ჯერ ყვავილებს მიესალმება, შემდეგ კი მებაღის ოთახებს მიაშურებს, გულში კი ერთი წადილი აქვს, არ ამბობს, მაგრამ როგორ უნდა, რომ მოხუცს საწოლში მიუსწროს და უთხრას — ახლა ხომ მე გაჯობე ადგომაშიო, გადახედავს ლოგინს და ისევ ცარიელი დაუხვდება. უხარია, რომ დილის ჰაერზე გასვლა დაუსწრია მოხუცს. ჯერ მის საწოლ ოთახს მიალაგ-მოალაგებს, სამუშაო ოთახში ფრთხილად შეიპარება, ხმელ ყვავილებს თავ-თავის ადგილს მოუნახავს, მერე ბაღში დაეძებს მებაღეს და მიესალმება.

ის კი ტკბილად გაუღიმებს და ბავშვივით მიამიტი კილოთი შესძახებს.

— მოხვედი? ვერ გაგიძლია უჩვენოდა... რაკიღა დრო მოგიპარავს ოჯახისათვის, ერთი შენს გახარებას დღეს გემრიელი სადილი გაგვიკეთე. იქნება ღოლოს შეჭამანდი მოხარშო, ხორცეულ კერძს მირჩევნია, ეს გლეხური ძველებური შეჭამანდი.

მანიამ იცის, რომელი შეჭამანდები უფრო უყვარს მოხუცს და ხშირად არცკი შეეკითხება ხოლმე, რა გავაკეთოო.

— გააკეთე, შვილო; შენც ჭამე და ჩვენც გვაჭამე, თორემ ეს მატრაკვეცა ყვავილები. საჭმლის გასაკეთებლად არ მოგვაცლიან. გაკეთება კი არა, ხშირად ჭამაც გადაგვავიწყდება ხოლმე; შენ რომ არ გვყავდე, აბა რა გვეშველება მე და პელიკოსა... ყირიმელაანთ პატარძალი მანია კი იღიმება და ამბობს: — ოღონდ კარგად იყავით და ვინ დაგამადლებთ მოხმარებასო.

ბაღის გადაღმა, არაგვის ქუჩიდან, გაუთენებელზე მოისმის კარის ჭრიალი, მაღალ-მაღალი გამხდარი ქალი ნიავივით გადაურბენს ბაღს და ჩუმად იცის შემოსვლა; გასაღებს მონახავს და ორანჟერეას მიადგება; იცის, ჯერ რომელი ღუმელი აანთოს; ფიჩხის ხმელ ტოტებს მონახავს და ააგიზგიზებს ცეცხლს, თან კედელზე ჩამოკიდებულ თერმომეტრს შეხედავს, იცის როგორი ტემპერატურა სჭირდება ამ ორანჟერეას.

ესე იცის შემოდგომის პირიდან გაზაფხულამდე, მთელი ზამთარი რომ ღუმელს ათბობენ, ეს ყურისმეზობელიც ხშირად შეაშველებს ხოლმე ხელს. ამიტომ პაპაც ხშირად ეუბნება: — ბაღის ნახევარ მხარეს, თქვენ მხარეს, რაც ყვავილებია, თქვენ უნდა მოუაროთო. ლომაური მანანაც, სანამ ქმარ-შვილს გაეღვიძება, ჯერ აქეთ გადმოირბენს, დახედავს აქაურობას, დაასუფთავებს და კარებს გამოხურავს, მოხუცი მებაღე ხშირად ამბობს — მარტო ეს მასწრებს ადგომასაო.

საღამო ხანსაც ხშირად იცის შემოვლა, მებაღე კი, სადაც მოასწრებს, ტკბილ სიტყვას არ დაიშურებს — აი, შენ გაგახარა ღმერთმა. მეზობლები მეუბნებიან, რათ გიყვარსო, აბა ამოდენა საქმეს სხვა ვინ გამიკეთებდა, — შეგრჩეს მარჯვენა, იცოცხლე.

თან სინანულით ჩაილაპარაკებს:

— აბა, რა არის ორი და სამი შვილის გაზრდა? მრავალშვილიანი ოჯახი არა სჯობია? ორი ვაჟიშვილი მყავს, ერთი თბილისში ცხოვრობს, მეორე — გორში; ყველას თავთავისი საქმე აქვს, აბა როგორ დავემდურო; შვილიშვილებიც ხშირად ჩამომივლიან ხოლმე, მაგრამ ბაღში საქმეს რა გამოლევს. ამ ერთი ქალიშვილის ამარა დამტოვა ბედმა, კიდევ რომ მყოლოდა შვილები, კარგი არ იქნებოდა? მაშინ საქმე მაჯობებდა განა?

მართალი ნათქვამია — „ბევრი შვილი ბევრი სიხარულიაო“.

კიდევ კარგი, ამისთანა კარგი მეზობლები და მეგობრები რომ მყავს, ისინი მახმარებენ ხელს, თორემ მარტოს რა უნდა გამეკეთებია.

როცა მებაღეს წინასწარ დაურეკავენ, ესა და ეს სტუმარი მოგვყავსო, ერთი მაშინ გაჩვენათ ბაღის მეგობრები და მებაღე, როგორი სიხარულით ტრიალებენ ბაღში. ალაგებენ, ალამაზებენ. ნუ გგონიათ გამხმარ ყვავილსა და მცენარის მოტეხილ ტოტს გააჭაჭანებენ არემარეზე. ამას ხომ თვალ-ყური და

მამა, არ მოგწონს? — ხშირად ეკითხება ქალიშვილი პელიკო.

ტრიალი უნდა, ერთი თუ გაიგებს — პაპას ბევრი საქმე აქვსო, მაშინვე ბაღში გაჩნდებიან. მებაღისა და ბაღის მეგობრებს აბა, რა დაღლით.

პაპის კვალზე

— პაპა, რა ჰქვიან ამასა?

— ორქიდეა...

— არა, მაგისი მეორე სახელი მითხარი, პაპა!

— ვენერას ქოშები.

— ქოშები, ქოშები! — შემოჰკრა პატარამ ხელი ხელს და საამო კისკისი დაიწყო. ყვავილის ტოტებს პაწია თითებს უტყაპუნებდა და პირმოტეხილი თიხის ჯამი საცოდავად ქანაობდა. მართლაც, ქოშის მოყვანილობის ყვავილი პირდაღებული ეკიდა.

— ნინო, შენ გაზრდასა, ეგ ხელები დააყენე, — სთხოვა მოხუცმა, მაგრამ ნინოს კი თითქოს არც კი ესმოდა.

— აბა ერთი, სანამ არ ჩამოაგდებ, არ დაეხსნები? პელიკო, შვილო, ეს ბალღი გამაცალე აქედან, თორემ მოხვდება.

პატარა ნინოს ამ ორანჟერეაში შესვლა განსაკუთრებით უყვარს. შესასვლელში, მაგიდაზე, ქოთნით ერთი მცენარე დგას განცალკევებით, იმასთანაც მივა, პაწაწა თითს ნელა მიუახლოვებს, ფრთხილად შეეხება ფოთოლზე, კისკისებს და იძახის:

— ეს მცენარე რა ბუტიაა, რა ნებიერია, სულ მარიკასა ჰგავს.

მცენარეც მართლა გაბუტულივით განზე გაიწევს და კარგა ხნის შემდეგ „შეურიგდება“.

პაპამ უთხრა: — ამას მორცხვი მიმოზა ჰქვიანო. ბავშვს ეს მცენარეც ძალიან უყვარს: — კარგად მეთამაშებაო, — გაიძახის.

ეს კი არის: ნინო არასოდეს არ გააფუჭებს ყვავილსა და ფოთოლს, არც კოკორს შეეხება, მოფერება კი იცის, შეძვრება ქოთნებშუა და თავის სიმაღლე ვარდებს გვერდში ამოუდგება, ღრმად ჩაისუნთქავს და თან პაპასავით გაიძახის:

— ვიშ, ვიშ, რა სურნელოვანია, რა საამოა...

თუ მოწყვეტილი ყვავილი ან ფოთოლი სადმე იპოვა და პაპამ შეამჩნია, ის მაშინვე თავის მართლებას დაიწყებს:

— პაპა, მე არა... მე არ მომიწყვეტია...

მებაღეც იცინის; იცის, რომ ნინო არას გააფუჭებს და გამოაჯავრებს:

— შე არა, მე არა...

— პაპა, აი, ამ ყვავილს რა ჰქვიან?

მოხუცი განა დაიზარებს; რაც უნდა საჩქარო საქმე ჰქონდეს, თუკი ბავშვი შეეკითხება, პასუხს არ დაუგვიანებს; ტკბილად ეტყვის — ეს მიხაკია, — და ასე ყოველდღე ახალ-ახალ სახელებს სწავლობს, თანაც პაპას ეხმარება; ყოველ მცენარესა და ყვავილს ხომ ლათინური და ქართული წარწერა აქვს გაკეთებული პატარა დაფაზე და ჯოხითაა დამაგრებული მცენარესთან. თუ სადმე, რომელიმე წარწერა ჩამოვარდნილია, წაშლილია, არ ჩანს, ნინო მაშინვე პაპასთან მიირბენს და ეტყვის: პაპა ამ ყვავილს სახელი დაკარგვია.

...ნინო გაიზარდა, ახლა თითქმის ყველა მცენარისა და ყვავილის სახელი იცის. განცვიფრებული რჩებიან სტუმრები, როცა ეს ერთი ციცქნა გოგონა წინ გაუძღვება და დინჯად ასახელებს ქართულსა და ლათინურ სახელებს.

ბაღის მეგობრები, ნინოს მეგობრებიც არიან. მცხეთელი პიონერები თითქმის ყოველდღე შეუვლიან ბაღსა და ნინოს, ისინი ნინოსაგან სწავლობენ მცენარეებს, აბა მოხუც პაპას როგორ შეაწუხებენ ყველაფერზე. ნინო ხელებში შეჰყურებს პაპას, — როგორ უცვლის მიწას, როგორ ჩარგავს მცენარეს, როგორ ჩააპარებს წყალს და როგორ უწმენდავს მტვერსა და ჭუჭყს ფოთლებს. პატარა მებაღე უხმოდ, უთქმელად, ლანდივით დაჰყვება მოხუცს და დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენს; პაპას უხარია, რომ ამ ბავშვში, ახლავე ასეთი სიყვარული იღვიძებს მცენარისა და ყვავილისადმი. სკოლაშიც ყოჩაღია ნინო, კარგად სწავლობს; პიონერი გოგონა მებაღის მეგობარია და აკი იტყვიან ხოლმე:

— იქნება პაპის კვალზე ეს მაინც წავიდესო.

და როცა სკოლაში არდადეგები დაიწყება, პაპას გვერდიდან არ სცილდება ნინო; თვითონ გაუძღვება სტუმრებს და თვითონვე მასპინძლობს, აცნობს თვითეული მცენარის ხასიათს, თვითეული ყვავილის ისტორიას.

...საღამო ხანია, პაპა ნუშის ქვეშ ისვენებს, ზარის ხმა გაისმის, შვილიშვილი არავის აცლის, კარებისაკენ გარბის. მებაღე კი მაშინვე გასძახებს:

— რაო, ნინო, ვინ არიან?

— პაპავ, თბილისელი ქალები არიან, ცოტაოდენი ყვავილები გვინდაო.

— გვინდაო, და აბა შენ იცი, დატრიალდი: მე ნუღარ ამაყენებ, შენ გაზრდასა.

— აბა საით მოვკრიფო, პაპა?

— აი, იქით, გზის მხარეზე რომ დიდი კვალია, იქიდან ამოარჩიე; აბა შენ იცი, უხეიროს კი ნუ მოუკრეფავ, არ შემარცხვინო.

— რამდენი პაპავ?

— ახლა კიდევ რამდენიო, თუ ეგრე შემაღონებ, ისევ მე ავდგები და ეგ იქნება, — გაებუტა შვილიშვილს. — რამდენი და რამდენიც ჩაგეტიოს მუჭაში, იმდენი.

ნინოს ესმის ყვავილების ენა; პაპის გულისა და სურვილებისა, ნიავივით გადაურბენს შინდვრის ყვავილებს, პატარასთან პატარას შეარჩევს და გვერდში ამოუყენებს, დიდთან დიდს, მაგრამ გემოვნებით.

მერე მოურბენინებს და აჩვენებს:

— აი, პაპავ, არ მოგწონს?

მოხუცს კი სიამოვნებით ეღიმება. გოგონას უხარია, პაპას მოეწონაო და კარებისკენ მიარბენინებს.

— მიირთვით, მიირთვით.

...მოხუცი დერეფანშია, ბაღიდან ფეხის ხმა ისმის. ვაზის ფოთლებს გადასწევს და ეზოს გახედავს.

— პელიკო, შვილო, ვინა ხმაურობს იქა?

— ჩვენი გოგოები მოვიდნენ.

— მერე, რას აკეთებენ თუ იცი.

— ცოცხს მოარბენიებენ, ალბათ დაგვიან.

— ჰო, მაგათ ძაან უყვართ ცოცხის ტრიალი, კარგი, ყოჩაღი გოგონები არიან...

გოგონები მართლაც კარგად უვლიან ბაღს. მოხუცი ტკბილად ეკითხება მათ:

— თქვენ რომ ამდენ პატივსა მცემთ, მე რაღა გასიამოვნოთ, რა მოგართვათ, რა გაგეხარდებათ?

— პაპავ, ოღონდ ეს ყვავილები კარგად იყვნენ, და თქვენც არაფერი იჯავროთ და რასაც გვეტყვით, ყველაფერს გავაკეთებთ; მასწავლებელიც სულ მუდამ გვეუბნება: აბა, თქვენ იცით, პაპა არ გააჯავროთო...

— თქვენ მე აბა რით უნდა გამაჯავროთ, არც ერთი აღარა ხართ ისეთი პატარა, რომ დაამტვრიოთ და გააოხროთ რამე; მე კი მარტო იმით მიბრაზდება გული, როცა ვინმე უხეშად, დაუნდობლად მოექცევა ჩემს ბაღს.

გოგონები კვირაში ორჯერ მიდიან და ნახევარ დღეს რჩებიან ბაღში. ალაგებენ, ასუფთავებენ, ოთახებში ალბომებსა და შთაბეჭდილებათა წიგნებს ყურადღებით ეკცევიან. თვითონაც კითხულობენ, ვინ დაათვალიერა ბაღი და რა ჩაწერეს. იქ ბევრია პიონერმოსწავლეების ხელნაწერები, პიონერები ხომ ხშირად ნახულობენ... აქ უამრავი გასართობია — ლამაზ და პაწაწინა ჩიტის ბუდეში კვერცხები, პეპლები, თოჯინები, უცხოელებისაგან დატოვებული საჩუქრები.

...აი, რა ჩაუწერია ერთ პატარა ბიჭს — გივი გელენიძეს:

„დავათვალიერე მიხა პაპას ბაღი, ძალიან მომეწონა ყვავილი და პატარა ურემი... „— წერს ბატიფეხურად, დაფანტული ასოებით.

...ბავშვებს რაღაცის თქმა უნდათ, მაგრამ მორცხვობენ, ერთმანეთს შეჰყურებენ და ვერ მოუხერხებიათ, პაპა მიუხვდა, რომ რაღაცა აწუხებდათ, რაღაცას მალავდნენ.

— რას გვიბრძანებთ, ახალგაზრდებო, იქნება რამე გნებავთ?

და ისევ მანანა ბედუკიძემ გაუბედა:

— პაპავ, ჩვენ გვინდა, სკოლაში შეხვედრა მოგიწყოთ...

— აქ არა ხართ, აი შემხვდით და ეგ იქნება. რათ გინდათ, ნუ შეწუხდებით, არ მიყვარს მაგისთანა რამეები...

— ძალიან გეხვეწებით...

— ეგ არ იქნება, არ მიყვარს ხალხის შეწუხება. რამდენი დრო უნდა გააცდინოთ მაგისთვის; არა, შვილო, სხვა რაც გინდათ, მთხოვეთ, არას დავიშურებ თქვენთვის, ზედმეტებს კი თავი გაანებეთ...

— პაპა, სხვებს რომ უარს არ ეუბნებოდით, ჩვენ განა ნაკლებად მოვემზადებით?!

— არავისაც არ დავთანხმდები მაგისთანებზე.

— აბა, მაშ, ეს ბარათი როდინდელია.

— ეს ბარათი? — გაუკვირდა, — ეს ბარათი კარგა ხნისაა, კაი რვა-ცხრა წლის წინ გახლდათ, მაშინ კიდევ ყოჩაღად ვიყავი; ახლა აღარ შემიძლიან, შვილო, აქეთ-იქით სიარული.

მოხუცმა ბარათს დახედა და გაახსენდა:

— მაშინ ეს ბავშვები ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისის პიონერთა სასახლიდან, ბევრი რამე შეისწავლეს, ძალიან უყვარდათ მცენარეებთან ყოფნა და მათი მოვლა. და აკი ბევრმაც შეიყვარა ეს დარგი, რამდენიმე შემდეგში მეცნიერ-მუშაკიც გახდა, იმათ მასწავლებელმა მიამბო ამას წინათ. ისე ძალიან საინტერესო კი იყო ის შეხვედრა; კარგად მომზადებულიყვნენ, არასოდეს დამავიწყდება იმათი საღამო. — და თვალწინ უცოცხლდება ის დაუვიწყარი შეხვედრა... ბარათს დახედა, წაიკითხა:

„ძვირფასო ამხანაგო!

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ნატურალისტთა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტი, კვირას, 1954 წლის 31 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, თეატრალურ დარბაზში ატარებს ნორჩ მეყვავილეთა მე-2 საქალაქო კონკურსის შემაჯამებელ სხდომას, მიძღვნილს გამოჩენილი ქართველი მიჩურინელის — მიხეილ მამულაშვილისადმი“.

მოხუცის თვალწინ ცოცხლდება იმ შეხვედრის სურათი. რა ამბავი იყო პიონერთა სასახლეში — ბავშვები სიხარულით დაფეთებულები დარბოდნენ, ყველა კუთხეში ისმოდა მხიარული გადაძახილები.

— დღეს ჩვენთან პაპა მოდის, ყვავილების პაპა.

ბიჭუნები გოგონებს აფრთხილებდნენ:

— აბა, გოგოებო, არ ჩაფლავდეთ, თქვენ იცით! დარბაზი თქვენ გაბარიათ და თვალი არ მოაცილოთ, არაფერი დაგრჩეთ უყურადღებოდ...

— თქვენ-თქვენ თავს მიხედეთ, ის გირჩევნიათ; ხომ იცით, არ შეგეშალოთ; სწორედ იმ დროს უნდა დაიწყოთ, როცა პაპა მადლობის სათქმელად წამოდგება.

— აბა თქვენ იცით. — მგონი მეათედ უმეორებს მასწავლებელი — ქეთო. ანანიაშვილი; ბიოლოგიის კაბინეტის გამგე თამარ ჯიქიძე კი ცოცხალ ყვავილებს ასწორებს, პაპას ყვავილების სავარძელს ულამაზებს.

და აი, მებაღემაც შემოაღო კარი. მოხუცი ნელა აუყვა ვარდ-ყვავილებით დაფენილ მარმარილოს კიბის საფეხურებს. მასწავლებელი წინ მიდის, ატარებს ოთახიდან ოთახში; მალე — სასახლის დიდ თეატრალურ დარბაზში, სასიამოვნოდ გაისმის ყელსახვევიანი გოგონას წკრიალა ხმა. მან საღამო გახსნილად გამოაცხადა... შემდეგ დაიწყო მოხსენებები და სიტყვები.

ნორჩი მეყვავილეები ჰყვებოდნენ — რას აკეთებენ პაპას ბაღში, რას სწავლობენ, როგორ ეხმარება მცენარეების ცოდნა სკოლაში, და როგორ ეხმარება მათ პაპა...

დარბაზში უამრავი ყვავილები იყო, უამრავი ბავშვები იყვნენ, სხვადასხვა სკოლისა, სხვადასხვა ქალაქისა, რაიონისა... სხვადასხვა კლასელი...

სცენის სიღრმეში, შუა ადგილას, ყვავილების სავარძელში იჯდა მხცოვანი მეყვავილე, საპატიო სტუმარი — მიხეილ მამულაშვილი.

გასაოცარი იყო, როცა სტუმარი ფეხზე ადგა და მადლობას იხდიდა ამ დიდი პატივისცემისათვის, ამ დროს წამოვიდა თოვლი. დიდი თეთრი ფანტელები აირ-დაირია; მოხუცი დაიბნა, გაუთეთრდა თმა, სახე, ტანსაცმელი, თოვდა თავგამეტებით, ათოვდა სტუმარს; ათოვდა თეთრი ლამაზი ყვავილის ფანტელებით; რაღაც საოცარი სილამაზის საღამო იყო, თითქოს სადღაც ვარსკვლავებიც ციალებენო, ისე ლიცლიცებდნენ ფერადი ელნათურები, და ღამის შუქზე თეთრი თოვლი, თოვლი ყვავილებისა ზღაპარსა ჰგავდა.

მოხუცს თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო. თავი სიზმარში თუ ეგონა, ბავშვივით ხან იმ ჯადოსნურ ფანტელებს დასდევდა თვალებით, ხან კი ბავშვებს დაეძებდა. მოხუცმა დაჯდომა ველარ მოახერხა... თოვლი კი უფრო მატულობდა. ათოვდა საყვარელ სტუმარს, კარგ მოხუცს — სახეზე, თავზე, მთლიანად... თოვლის პაპას დაემსგავსა მოხუცი. განცვიფრდა: ნეტავი, რა ყვავილია შერჩეულიო და ახლოს გასინჯა. რას არ მოიფიქრებს ბავშვის გონება — ქრიზანთემებით მოთოვილაო.

— აი თქვე კუდიანებო, თქვე ეშმაკებო, თქვენა, მაჯობეთ? — ჩურჩულებდა მოხუცი და სიყვარულით შეჰყურებდა პატარებს.

ბავშვებს კი უსაზღვროდ უხაროდათ, რომ პაპას ძლიერ მოეწონა ეს შეხვედრა.

მას შემდეგ ხშირად იგონებს მოხუცი იმ საღამოს, იმ სილამაზეს, ბავშვების გულკეთილობას და სიყვარულს. რამდენი იმათგანი გამოვიდა კარგი, რამდენი დაადგა მეცნიერების გზას.



მცხეთური კლდის-დუმა

დეკორატიული ქალათა

მის ბალში აღრე იწყებაა გაზაფხული

მეგაღე ორანჟერეაში

ყვავილების ფიროსმანი

ლადო გუდიაშვილმა ჩვენს მოხუც მებაღეს ყვავილების ფიროსმანი უწოდა.

„მიხეილ მამულაშვილი, — წერს გუდიაშვილი, — როგორც მხატვარი, პალიტრაზე არ ეძებს და არ აზავებს ფერთა ჰარმონიას, არამედ ის თავისი მაგიური თითებით ქმნის სურათებს... დამტვრეულ ჭურჭელსა და მახინჯ ქვაში პოულობს სილამაზის საიდუმლოებას“.

როდესაც მის ბაღში შევდივარ, განცვიფრებული ვრჩები და ვამბობ, რომ ის მე მასწრებს სურათის დახატვას.

ამას წინათ მცხეთას ვესტუმრე. მინდოდა შემოდგომის ფერებში გადამეხედა ბაღისათვის; შესანიშნავი სურათი ვნახე, კერამიკაში დახატული. სახლის წინ ჩიტავაშლა ჰყვაოდა. მის ქვეშ, ფოთლების ფონზე ლამაზად მოჩანდა სიძველეთა ფერით დახავსებული პირდახრილი ქვევრი. ქვევრს ფერშეცვლილ ტანზე „იზაბელას“ კუპრივით შავი მტევნები ეყარა, დაბლა კი — მიწაზე ნატეხი ფიალებით აქა-იქ გაბნეულიყო საუცხოო ფერის ყვავილები. ეს სურათი ისე მომხიბვლელად იყო შესრულებული, რომ მხოლოდ გვარის მოწერა აკლდა და ვამბობ, მამულაშვილი ხატვას მასწრებს, მე რომ ჩავიფიქრებ, ის უკვე ხატავს“...

ამ დღეებში ვიყავი მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან და ვთხოვე გამოეთქვა თავისი აზრი ჩვენი სახელოვანი მებაღე-დეკორატორის — მიხეილ მამულაშვილის მუშაობის შესახებ.

აი, რა მიამბო მან:

„მე მაკავშირებს მიხეილ მამულაშვილთან ოცდაათი წლის მეგობრობა. მე, ლეო ქიაჩელი და გალაქტიონ ტაბიძე დავდიოდით მასთან, როცა ვმართავდით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის იუბილეებს. ვთხოვდით ყვავილები მოეყოდა ჩვენთვის, იგი განაწყენებული მოგვიგებდა: ამ საქმეში მეც თქვენთანა ვარ, არავითარი ფული მე არ მესაჭიროებაო.

მე ყველას დიდ პატივსა ვცემ, ვინც თავის საქმეს კარგად ეუფლება. სიტყვა „კარგად“ ცოტაა ამ შემთხვევაში. ჩვენი ძვირფასი მიხეილი არის დიდოსტატი ყვავილთმცოდნეობისა, რადგან მან კარგად იცის, საქართველო

არის არა მარტო მწერლებისა, მეცნიერებისა, ხუროთმოძღვრებისა და პოეზიის ქვეყანა, არამედ მთლიანი ბაღნარია, დამშვენებული თავისი ულამაზესი ადამიანებით და ულამაზესი ყვავილებით".

აი, რა აზრისაა რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი:

„ის დიდი რეჟისორია, მის ყვავილების სამყაროში მრავალი მშვენიერი დადგმა მინახავს. მისი ატელიე წარმოადგენს გასაოცარი სილამაზის სამყაროს. მისი დეკორაციები ყვავილებისა და მცენარეებისაგან შედგება.

ფერების შერწყმა გასაოცარი გემოვნებითაა შესრულებული. ამ რეჟისორს თავის დარგში ბადალი არა ჰყავს..."

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე ასე გადმოგვცემს: „მამულაშვილის ყვავილებში სიცოცხლე ჟღერს. მისი ყვავილების სამყარო გათვითცნობიერებულია. შეიძლება ითქვას, მისი ყვავილები ცეკვავენ, მღერიან, თითქოს ცოცხალი არსებანი არიან".

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მხატვრები ხშირად იყენებენ მიხეილ მამულაშვილის საბაღოსნო მოტივებს. ისინი თავის ძირითად ესკიზებში, ნატურალურ აბრეშუმზე ნახატის შედგენის დროს სარგებლობენ ამ მოტივებით, როგორც ერთ-ერთი კომპონენტით.

აი, ნიკო კეცხოველის აზრიც:

— „მეკითხებით, რა აზრისა ვარ მიხეილ მამულაშვილზე? — გეტყვით მოკლედ:

ჰეშმარიტი მგოსანი ყველგან სილამაზეს ხედავს. ხშირად სიპ ქვასა და გოროხს ისე დასდებს, რომ ჩრდილების ციმციმმა მოჭრას თვალი. გამხმარი ტოტი შეიძლება იმგვარად გამოიყენო, რომ იგი სიცოცხლის სიმბოლოდ გადაიქცეს და არა სიკვდილისა. ჩვენი მიხეილი სწორედ ამგვარია, „ყვავილების ჯადოქარი" შეარქვეს; არა, ყვავილებისა კი არა, ჩვენი ბუნების ჯადოქარია, მესაიდუმლე და ტრფიალი. ბუნების ნამსხვრევს და ნამტვრევს ყვავილით ისე დაამშვენებს ხოლმე, რომ მასში მთელ ჩვენ ქვეყანას დაგვანახვებს — მისი სულის სილამაზეს, სინაზეს, ლაზათს, მის ომახიანობასა და ვაჟკაცობას. ეს კი შეუძლია იმას, ვინც მგოსნად დაბადებულა და ზეგარდმო ნიჭი მასში ჩვენი ქვეყნის სილამაზით აფერადებულა და აელვარებულა, მიხეილი ასეთია, იგი განუმეორებელია".

ქართველი მხატვარ-პეიზაჟისტი ელენე ახვლედიანი გულის ტკივილით ამბობს:

„ძალიან სამწუხაროა, რომ მისი შემოქმედება არ არის შემოჭრილი ჩვენს ცხოვრებაში; მისი ყვავილების ალბომის ფურცლები ბრწყინვალე ნიმუშებია ქსოვილებისათვის. ქართველი მხატვარ-პეიზაჟისტები ნამდვილად ვალში ვართ მიხეილ მამულაშვილის წინაშე, რომ დღემდე ტილოზე არ აღბეჭდეთ მისი ხელოვნება".

მამულაშვილის ბაღს ერთხელ გამოჩენილი მოქანდაკე ნ. ვ. ტომსკი

ესტუმრა. ის მთელი გატაცებით ძერწავდა მებაღის ეტიუდს. შემდეგ იქვე თაბაშირში ჩამოასხა და მებაღეს წინ დაუდგა. მიხეილი ტკბილად იღიმებოდა და განცვიფრებით ამბობდა: ესე ჩქარა, საოცარია, როგორ მოასწრო ჩემი სახის ნაკვთების შესწავლაო.

ამის შემდეგ ტომსკიმ ეს ბიუსტი თან წაიღო მოსკოვში. იქ მან ბრინჯაოში ჩამოასხა და მოსკოვის ერთ-ერთ გამოფენაზე გაიტანა. მოხუც მებაღეს კი, პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, თავის ეტიუდი გამოუგზავნა. მოხუცს ბუხრის თავზე უდევს ეს საჩუქარი და მოქანდაკეს ყოველთვის ტკბილად იგონებს.

მეგალის ვარსკვლავი

თანამედროვე პროგრესული ფრანგი მწერალი პიერ გამარა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მეგობარია.

პიერ გამარამ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოს — „ლიტერატურნაია გაზეტას“ — თხოვნით მიხეილ მამულაშვილზე დაწერა ნარკვევი, რომელიც ამავე გაზეთმა საოქტომბრო ნომერში დაბეჭდა.

„...ორი წლის წინათ საქართველოში ვიყავი, ათასი რამ ვნახე, მრავალი ადამიანი, წარსული და აწმყო, ძველთაძველი, გარდასულ დრო-ჟამზე მოღაღადე ქვები და თანამედროვე ნაგებობანი. ერთხელაც „ფიქრთ გასართველად“ ვეწვიე იმ ადგილს, პოეტები ესოდენ რომ აფასებენ, სადაც ღვიძლი დებივით გულში იკრავენ ერთმანეთს მობუტბუტე მტკვარი და არაგვი.

ჩავედი მცხეთაში და ვცადე წამით მაინც წარმომედგინა ამ ძველი ადგილის სახელოვანი წარსული. ჩემს ირგვლივ რაინდების, ხუროთმოძღვრებისა და მამაცი ადამიანების აჩრდილები აღიმართნენ.

იმავე დღეს პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წამიყვანა ერთ ნამდვილად არსებულ, მაგრამ თანაც ზღაპრულ ბაღში, სადაც გულგაშლილი მჯსპინძელი — ბებერი მებაღე მიხეილ მამულაშვილი ფუსფუსებდა. იმ დღის მერე აღარაფერი მსმენია მიხეილზე. იმედი მაქვს, კვლავ ჯანმრთელად არის და თავსაც კარგად გრძნობს, ალბათ კარგად არიან იმ ბაღში დარგული ხეებიცა და ყვავილებიც. ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეხუთე წლისთავის გამო დაწერილი ეს სტრიქონები გარკვეული აზრით ამ ბებერ მებაღეს მივუძღვენი.

ცხელოდა, მიწას ცეცხლი ეკიდებოდა. უძირო ცით დასცქეროდა ქვეყანას ზაფხულის მზე, — კარგა მანძილი გვქონდა გავლილი და წყურვილი გვკლავდა. ნეტავი სადმე ჩაგვამუხლებინა, ვამბობდი, ცივ წყალს შევისხამდით და გავგრილდებოდით-მეთქი.

ჩეროში ჩამოვსხედით. გემო გავუსინჯეთ ყურძენს „მუსკატნაპოლეონს“. მერე მებაღემ თავისი საყვავილის იდუმალი კუთხე-კუნჭულები შემოგვატარა; გვაჩვენა კაქტუსები, მიმოზები, ძვირფასძვირფასი ყვავილები. ჯერ დააცქერდებოდა ხოლმე „მიუკარებლებს“, მერე ფოთლებისკენ თითს წაიღებდა, და, შეშინებული ყვავილები რომ შეიკუმშებოდნენ, იღიმებოდა.

თავისი სახლის ერთ-ერთ ოთახში, სადაც ბალახის, საზამთროსა და ყურძნის სუნი იდგა, მამულაშვილმა ჰერბარიუმის ყვავილებისაგან შექმნილი კომპოზიციები გვიჩვენა. კედელზე რუსთაველის სურათი ეკიდა და თითქოს ისიც უსმენდა მებაღის საუბარს. გამოთხოვებისას მიხეილმა პატარა ქვევრი მაჩუქა, ძველებური ქართული ქვევრის უმცირესი ვარიანტი. აი, ის ახლაც წინ მიდევს ქაღალდებსა და წიგნებს შუა.

ამ წლების ტვირთით დამძიმებულ, მრავლისმნახველ, წელში მოხრილ ხნიერ მებაღეს გარდასულ ბრძოლებზე ვესაუბრებოდი, ხან უმიწაწყლო გლეხთა ჭირ-ვარამსა და ადამიანის მარჯვენის სიძლიერეზე ჩამოვარდებოდა სიტყვა. ვლაპარაკობდი იმ უამრავ ბაღზე, ადამიანებს რომ შეუძლიათ შექმნან, თუ ძმურად გაერთიანდებიან ყველანი.

...არც ის არის შემთხვევითი, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს შევხვდი მოხუც მებაღეს მიხეილ მამულაშვილს, რომელსაც თავს ურჩევნია ყვავილები. საქმე, — ეს კერძო ამბავი როდია. ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანაში თავიანთ ნაამაგარს თვითონ იმკიან ადამიანები — მებაღენი ხორბლისა და ტყისა, მებაღენი აგურისა და ცემენტისა, მებაღენი აზრისა, მებაღენი ცისა, კოსმონავტების გზა ზღაპრული და თანაც ნამდვილი ვარსკვლავებით რომ მოუფენიათ.

თქვენზე ძალიან ბევრს ვფიქრობ, ძმებო, მებაღეებო! ჩვენცა გვაქვს ბაღები, რომლებიც უნდა შეეინარჩუნოთ და მოვიპოვოთ ჩვენი ხალხის ყველა მებაღისათვის.

თქვენი ვარსკვლავის წყალი უკვე გადაგვესხა!"

...მაშინ ზაფხული იყო. ცხელი ზაფხული. ახლა შემოდგომაა, ოქტომბერი.

მცხეთაში, მამულაშვილს ბინაზე დაურეკეს. — დღეს „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე თქვენს შესახებ წერილია დაბეჭდილიო, მეორე დღეს კი გაზეთი თვითონ წაიკითხა. გაუხარდა და სიამით თქვა მოხუცმა:

— დახე, დახე?! თუ ეგონა მოკვდებოდაო; იცოდეს, რომ სიკვდილი ვერას დამაკლებს; მე არ მოვკვდები. იმდენი მლოცველი მყავს და იმდენი მეძახის: — იცოცხლე, იცოცხლეო, რომ მე არასოდეს არ მოვკვდები; არა, არ მოვკვდები; ეგრე ამბობენ ჩემი ყვავილებიც. გააგებინეთ იმ ინტერესიან კაცსაც ჩემი ამბავი: ცოცხალია და კარგად არის, ისიც და იმისი ყვავილებიც-თქო. დანე, დახე, ის ჩემი ნაჩუქარი პატარა ქვევრი მართლა თავის ქვეყანაში არ წაუღია?! იმასაც კი იწერება — ის ქვევრი, ახლა, აქ, წიგნებთან მიდევსო...

* * *

„ოჰ, მე ვიპოვე ჩემი მასწავლებელი, მე ვიპოვე ჩემი მასწავლებელი... მე, ფრანგული გობელენების ოსტატს ნოკაუტი გამიკეთა ამ სილამაზემ". — აღ-

ტაცებით გაიძახოდა ფრანგი მხატვარი ჟან ლურსა. შემდეგ იგი მიუბრუნდა ლადო გუდიაშვილს და უთხრა:

„— გმადლობთ, გმადლობთ; მე თქვენ ისეთ დიდ ტაძარში შემიყვანეთ, რომ ყოველგვარი ცოდვისაგან განწმენდილი გამოველ, სულიერად დავისვენე", — მხატვარი წასვლას ვეღარ ახერხებდა, უთვალავჯერ მოუტრიალდა და გადახედა პატარა გორაზე აბიბინებულ მინდვრის ყვავილების ლამაზ „გობელენს", თითქოს თვალებით იხატავდა, იხსომებდა ფერთა სილამაზის იმ შესანიშნავ სურათებს, ცოცხალი ყვავილებით საუცხოოდ რომ დაეხატა მებაღეს.

მამულაშვილის ბაღმა აღტაცება გამოიწვია მეევენახეობისა და მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესის დელეგატთა შორისაც.

„ჩვენი გულითადი მადლობა თქვენი მშვენიერი ხელოვნებისათვის, უცნაური ხელოვნებისათვის, რომელიც დღეს პირველად ვნახეთ. დაე, გაგრძელდეს თქვენი სიცოცხლე და მშვიდობა იყოს ამ სახლში.

ამერიკელი მხატვრები: — სალი და როკუელ კენტი".

„გამოვთქვამ ჩემს სიმპათიასა და აღფრთოვანებას საუცხოო არტისტისადმი, რომელიც ასე ნიჭიერად აერთებს ბოტანიკას ხელოვნებასთან", — წერს მექსიკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი — ფერნანდო გამბოა.

„თუმცა ჩემს სამშობლო ვიეტნამში ძალიან ბევრი სხვადასხვა ყვავილებია, მაგრამ არსად არ მინახავს ჯერ ისეთი საკვირველი და ლამაზი ბაღი, როგორც ეს", — წერს ვიეტნამის სამხედრო მინისტრი ხოან ფე.

უფრო ადრე კი ინდოელი მწერალი კრიშან ჩანდრი მოხიბლა ამ სანახაობამ; მწერალი სრულიად შემთხვევით, მოხუცი მებაღის დაბადების დღეს — 14 სექტემბერს მოხვდა მცხეთაში.

ბაღი ზეიმობდა მოხუცის 85 წლისთავს; მაშინ, მართლა ზღაპრული და საოცნებო იყო მისი წალკოტი.. და აი, დიდმა მწერალმაც თავისი ჩანაწერი დატოვა.

„მე მქონდა ნამდვილი პატივი ვყოფილიყავი თქვენი 85 წლის დაბადების დღეს. სალამი ინდოელებისაგან — თქვენი დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა გააგრძელოთ ეს საქმე, რომელსაც აკეთებთ".

„შესანიშნავია, ბუნებრივია, რათ უნდა მოლბერტი, რათ უნდა პალიტრა. ეს დიდებული ადამიანი სიმშვენიერეს ქმნის იმით, რაც მოუცია ბუნებას. სილამაზე შექმნილია მხოლოდ მცენარეთა და ყვავილთა მიერ. თქვენ შესანიშნავი მხატვარი ხართ, თქვენ მშვენივრად ხატავთ მიწაზე ყვავილებით", ამბობს საფრანგეთის ნაციონალური სახვითი ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარე პიერ შიგო.

საერთოდ, უცხოელი სტუმრები აღტაცებას ვერ მალავენ; ან კი რა დასამალია მოხუცი მებაღის ესოდენ დიდი გემოვნება და ნიჭი, ხალასი ნიჭი მხატვრისა... ხანდახან ადამიანს უმაღლესი სიამოვნება ამუნჯებს; ამიტომაც მოკლედ ჩაუწერია სორბონის უნივერსიტეტის პროფესორ კარდელაანს:

„მე ნამდვილად მოხიბლული ვარ ამ სიმშვენიერის ნახვით“.

უნგრელი ჟურნალისტი წერს:

„რაც მე ვნახე აქ, სამუდამოდ დარჩება ჩემთვის, როგორც დაუვიწყარი შთაბეჭდილება. აქ, ქალაქ თბილისის გვერდით, ხანდაზმული კაცისაგან მე გავიცანი რას ნიშნავს ბუნების სიყვარული, მე ვუამბობ უნგრელ ახალგაზრდებს, როგორი შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში. ზელე ფერენცი“.

შემოდგომის ყვავილთა ფერებში მღერიან ვაზის ლერწები, დამწიფებულ მტევანზე მოშრიალე ფოთლები. მერე რა საოცარია მწიფობის თვეში ყვავილებთან ამღერებული ვაზი. სწორედ ამ დროს ესტუმრა მცხეთას სამხრეთ ამერიკის მხატვარი — დრამატურგი სესარ რენხიფო.

...და აი, ამ ბაღში ვაზის ლერწივით ამღერდა მისი კალამიც! „მშვენიერია სტუმრობა ამ ყვავილთა სამეფოში, სადაც მიხეილ მამულაშვილი ყვავილების ფურცლებიდან და სურნელებიდან ქმნის შესანიშნავ პოემებს“.

შთაბეჭდილების წიგნებში ყველა ქვეყნის წარმომადგენლის ხელნაწერს შეხვდებით, რომლებშიც ამ საოცარი ბაღის ხილვით გამოწვეული გულწრფელი აღტაცებაა. აქ არიან ეგვიპტელები, იტალიელები, ჩინელები, კორეელები, ფრანგები, გერმანელები... და ვინ მოთვლის კიდევ რომელი ქვეყნისა თუ ეროვნებისა.

ორი მარჯვენა

აი, ესეც მცხეთა, საუკუნოვანი ბრძოლებით მოქანცული სიმაგრეებითა და ფრთამოღეღუნე ტაძრებით დამშვენებული, ქართველი ხალხის კულტურის უძველესი აკვანი; უცხო სტუმარი მასპინძელს გულდასმით უსმენს და შეკითხვას შეკითხვაზე აყრის.

— მაშ ეს არის საქართველოს პირვანდელი დედაქალაქი?

— დიახ, ეს გახლავთ. აქ ერთხელ დუღდა სიცოცხლე, შემდეგ კი ურჯულო მტრის ხელს დაუნგრევია ყველაფერი... მცხეთის ეს მწარე ბედი გამოხატა დიდმა პატრიოტმა ილია ჭავჭავაძემ თავის პოემა „აჩრდილში". ეს ნაწარმოები მან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დამაარსებელს ილია წინამძღვრიშვილს უძღვნა.

მასპინძელმა გადახედა მრავლისმოწმე კლდედქცეულ მთებს, სიძველეთა მიწაყრილ ნანგრევებს და ილიას პოემის ადგილები გაიხსენა:

— აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდი ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების:
— სადაც ჰყეაოდა ხე ცხოვრებისა,
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა,
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;
...აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა,
და იგი დედა — ქალაქი ერცელი
აწ სამეკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

ასეთი იყო მცხეთა მე-19 საუკუნეში. ძველი დედაქალაქი, მართლაც, სამიკიტნო დაბად იყო გადაქცეული. ჩვენს დროში ის აღორძინდა, კვლავ დაიბრუნა ეშხი და სილამაზე.

— რომელ საუკუნემდე იყო აქ დედაქალაქი? — იკითხა სტუმარმა.

— მეხუთე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე...

— საკვირველია, რატომ შეურჩევიათ ეს მთაგორიანი ადგილი დედაქალაქად? — უკვირდა სტუმარს. მასპინძელიც გულდინჯად უხსნიდა ყველაფერს.

— მცხეთის ქალაქად და შემდეგ დედაქალაქად გადაქცევას ხელი შეუწყო მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ. ქალაქი აუგიათ მდინარეების შენაკადთან, სავაჭრო გზების ჯვარედინზე. აქ გადიოდა მთავარი გზა მტკვრის გაყოლებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, აქვე ჩამოდიოდა გზა ჩრდილო-კავკასიიდან არაგვის ხეობით, აი, რას ამბობს სახელოვანი ვახუშტი ამ ქალაქზე:

„...მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამხრით უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი და მუნ შეკრბებიან. აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და მან უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედა-ქალაქსა“.

„...აღმოსავლით აქუს მთა ჯვარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა, სამხრით მთა ქართლისა და კარსნისა“.

საინტერესო ისიც არის, რომ თბილისი, როგორც ციხე-ქალაქი (ასე უწოდებს მატიანე), მცხეთის მისასვლელ გზაზე გააშენეს ამ ქალაქის დასაცავად, გასამაგრებლად. შემდეგ კი თვით თბილისი დაწინაურდა არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკური ცენტრიც გახდა. გადახედეთ ამ გზას, ვინ მოსთელის რამდენი ქარავანი შემოდიოდა ამ გზით ახლო თუ შორეული ქალაქებიდან. ათასნაირი საქონელი შემოჰქონდათ აქ მექარავნეებს. საქართველოდან სხვადასხვა საქონელი გაჰქონდათ არა მარტო ხმელეთით, არამედ მდინარეებითაც. მტკვარი ძველი დროიდანვე იყო გამოყენებული სანაოსნოდ. ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობით, ინდოეთის საქონელი კასპიის ზღვით შემოჰქონდათ ალბანიაში (აზერბაიჯანი), ხოლო შემდეგ მტკვრით იბერიაში (ქართლში), აქედან იგი ჯერ სახმელეთო გზით — ლიხის გადასასვლელზე, შემდეგ კი მდინარე რიონით ქალაქ ფაზისამდე (ფოთი) ჩაჰქონდათ.

ერთი სიტყვით, ეს მდინარეები მარტო სილამაზით როდი იპყრობენ ყურადღებას. ესენი დიდი და უტყუარი მოწმენი არიან საუკუნეებისა. ამიტომაც არის, რომ ასე ბევრი რამ იწერება მტკვარზე და არაგვზე. ეს ჩვენი პოეტების შთაგონებაა, ყველა აქ მოდიოდა „ფიქრთ გასართველად“... ამ პატარა მიწაწყალს რაღაც უცნაური მადლი აქვს მოფრქვეული.

— ხომ არ მეტყვით, ვინ გადაიტანა დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში?

— როგორც მატიანე მოგვითხრობს, მეფე ვახტანგ გორგასალს დაუწყია

ეს საქმე. მასი სიკვდილის შემდეგ კი მისმა შვილმა დაჩიმ განაგრძოო ციხე-ქალაქის ზღუდეების გამაგრება და გაფართოება.

„ამან, დაჩი მეფემან შემდგომად სიკუდილისა ვახტანგისა... განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვით ებოძნა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ...

მეფემან (ქართლის კათალიკოსს) მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს".

ამრიგად, ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს გადადის დედაქალაქი თბილისში. მცხეთა კი ქართლის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას — კათალიკოსს მისცეს („მიათუალეს") სამკვიდროდ.

სტუმარი აღმოსავლეთით, მაღლა მთაზე აღმართულ ჯვრის მონასტერზე მიუთითებს:

— ეს როდინდელი ნაგებობაა, რა საოცრად მოჩანს, თითქოს სივრცეშია ჩამოკიდებული!

— ეს დიდებული ჯვრის მონასტერია, — უპასუხა მასპინძელმა, — ახლოს რომ ნახავთ, ნამდვილად განცვიფრდებით; მისი შესანიშნავი ჩუქურთმები ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშია, მეექვსე საუკუნის დასაწყისშია აგებული...

ახლა მცხეთის ჩრდილოეთით, არაგვის მარჯვენა მხარეს, მაღალ გორაკზე აღმართულ ციხის ნანგრევებს გახედა მასპინძელმა და თქვა:

ეს კი ბებრის ციხეა, ქალაქს ჩრდილოეთის კარიდან რომ იცავდა ქვის მკერდით. ფიქრობენ, რომ ეს ანტიკური დროის ნაგებობაა.

აი, შეხედეთ, მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მცხეთის შუაგულში აღმართულია დიდი ტაძარი — სვეტიცხოველი, ამაზე მერე გეტყვით... ახლა კი გაიხედეთ ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, დაბის განაპირას, ბებრის ციხემდე, — ფერდობზეა აშენებული სამთავროს მონასტერი. ესეც ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია. საერთოდ ამ ტერიტორიამ მრავლად შემოინახა ქართული მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის, მიწისზედა თუ მიწისქვეშა ძეგლები.

მასპინძელმა სტუმარი ახლა არმაზის მთისაკენ გაახედა.

— ეს მთა ოდესღაც გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. მთის წვერზე, ყველაზე შემაღლებულ ადგილას იდგა არმაზის კერპი, ქართლის გაქრისტიანებამდე ამ კერპს თაყვანს სცემდა ერი. არმაზის კერპს ეწირებოდა სიმდიდრე — ოქრო და ვერცხლი, კერპი მდიდრულად იყო მორთული.

შემდეგ მასპინძელმა არმაზის ხევის ნაკრძალზე ჩამოაგდო სიტყვა. მან უამბო სტუმარს, თუ რაოდენ ბევრი რამ ნახეს აქ არქეოლოგიური გათხრების დროს; აქ სხვადასხვა დროის სამარხები აღმოაჩინეს; ამ სამარხებში მრავლად იპოვნეს უძველესი ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშები — ბეჭდები, ოქროს ყელსაბამები, მოთვალული აბზინდები, მარგალიტიანი ყელსაბამი და საერთოდ, მრავალგვარი სამკაული.

სტუმარი სულგანაბული ისმენს მასპინძლის ნაამბობს და უფრო მეტი ინტერესით ათვალიერებს მცხეთის მიდამოებს.

— იცით, კინაღამ დამავიწყდა, ერთ სამარხში თურმე ოქროს ბეჭედს ბავშვის გამონაცვალი კბილი ჰქონდა თვლად. საინტერესოა, არა? სამარხებში მრავლად იპოვნეს ქართული კერამიკის ნიმუშები. მათ შორის ორი ხელადა უნახავთ, მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედ თავთავიანი ღეროების გამოსახულებაა ამოკაწრული. ბევრგან ყოფილა გიშრის მძივები, როგორც ჩანს, გიშრის მძივები იმ დროს საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

— ჩანს მცხეთას ძველადვე ჰქონია აგურისა და კრამიტის გამოსაწვავი ქურახანები.

— დიახ, ოდითგანვე მისდევდნენ აქ ამ საქმეს. ახლაც, აგერ არავის მარჯვენა მხარეს, ბებრის ციხის გადაღმა, კარგად მოზრდილი ადგილი უჭირავს კერამიკის ქარხანას. ვინ იცის, რამდენი რამ მზადდება: ქოთნები, ქვევრები, ჯამები, კრამიტი, აგური და ვინ მოთვლის, — ყველაფერი რაც კი აუცილებელია ოჯახისათვის.

მცხეთის მიდამოები საერთოდ სავსეა ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთებით. სხარიან და ეძებენ. მაგრამ ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენი საუნჯე იმალება ამ ნანგრევებში. იცით, აქ ყოველ პატარა წერილმანს, ყოველ ნანგრევს, ყოველ ქვის ნაშალს თავისი საინტერესო და ჯერ კიდევ კარგად წაუკითხავი ისტორია აქვს. გადახედეთ ამ მდინარეს! აი, ეს ხიდი ახალია. უწინ მტკვარზე ძველი ხიდი ყოფილა; დაუკვირდით, ნანგრევები მოჩანს, როცა წყალი იკლებს. ხალხი ამ ხიდს პომპეუსის ხიდს ეძახის.

ასეთი საინტერესო ისტორია აქვს „ოდესღაც ფართოდ განფენილ ციხე-ქალაქსა, ვიდრე არაბთა სარდალი მურვან ყრუ არ მოაოხრებდა მას".

. აქ, ირგვლივ დაბურული ტყეებია, სადაც ხალხის გადმოცემით, ხშირად ჰქონდა ბინა არსენა ოძელაშვილს. ეს საიმედო თავშესაფარი იყო.

სტუმარი უფრო თამამდება და მასპინძელს ეკითხება: იქნებ ისიც იცოდეთ, ამ მდინარეს რატომ ჰქვია არაგვი?

— როგორც ვიცი და წამიკითხავს, ისე გეტყვით, — და ტკბილმოუბარი მასპინძელი განაგრძობს:

„ — და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვინათგან დის ჩქარად, მოგვის და იმღერევის".

„ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ხევთა".

— ეს კი არ ვიცოდი, მაგრამ არაგვზე ბევრი რამ გამიგონია, ბევრი რამ წამიკითხავს.

— ახლა კი ყველაზე საინტერესოს და განსაცვიფრებელს გაჩვენებთ, აბა, მომყევით; აი, ამ ტაძრის შესახებ ბევრი ლეგენდაა ხალხში, მაგრამ ყველა ერთმანეთს წააგავს..

აი, ეს ქვის ქონგურებიანი და სათოფურებიანი გალავანიც მრავლის მოწ-

ტოლაო და მარჯვენა მოუკვეთია დიდოსტატისათვის. მაგრამ მაინც უკვდავად დარჩენილა ამ ოსტატის სახელი. ამ უკვდავებაზე მოგვითხრობს მწერალიც. მოგვითხრობს, როგორ შენდებოდა ეს განსაცვიფრებელი ძეგლი, აღბეჭდილი ქართული გენიის მადლითა და შუქმოსილებით. ალბათ, აქ იყო ის ქვის სახელოსნო, სადაც ოფლში გაწურული ხუროთმოძღვარი თეძამის ქვაზე სჭრიდა ფრთოსანი ლომის ხატებას, — თქვა მასპინძელმა და ღიმილით გადახედა ტაძრის მიდამოებს. მერე თან წამოღებული წიგნის ფურცლა დაიწყო, ალაგ-ალაგ ხმამაღლა კითხულობდა. აი, ის ჩაჰყვა სტრიქონებს, სადაც ხუროთ-მოძღვრის სიყვარულზეა ლაპარაკი, დიდოსტატს ხომ ორი უყვარდა — სვეტიცხოველი და შორენა.

„საღამომდე იხეტიალა არსაკიძემ ჭალებში, მზვარეში დამწვარი, ქარცეშული მობრუნდა მწუხრისას მცხეთაში. უამრავი ყაყაჩოები და თავთუხის თაველები მოიტანა თან. ისევ დაიწყო წვიმა. პირქვე დაემხო ტახტზე. ყურს უგდებდა წვიმის შხაპუნს. ამას ფიქრობდა, ამ წვიმაში თუ მოვაო შორენა?

მოვიდოდა? რა ეთქვა მას თავად?

ერთ სასწორზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს. ეს საღამო გამოარკვევდა რომელი მათგანი გადასწონიდა:

სვეტიცხოველი თუ შორენა?

ორივენი ერთსა და იმავეს მოითხოვდნენ მისგან: სიცოცხლეს.

განა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაქკაცური სიტყვის გატეხას, პატიოსნებას და ოსტატობის ნაყოფს უძვირფასესს... „... — რას დაბობლავ ამ ტიალ ხარაჩოებზე, უტა, ერთხელ ძლივს გადარჩი სიკვდილს, ხომ დაასრულე ტაძარი, აკი?“

მცირე ხნის შემდეგ დასძინა:

„მეფე გიორგი და მელქისედეკ კათალიკოსი ისეთი გულბოროტი ადამიანებია, სულ ერთია, მაინც არ დაგიფასებენ ღვაწლს“.

„— განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალიე სვეტიცხოველს ჯანი?

მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია. ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი“.

„მაშ შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვარებია, უტა?“ განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული“.

„მაინც სვეტიცხოველი გირჩევნია შენ ყველაფერს, უტა“, — გაბზარულივით გაისმის ეპვიანი ქალის ხმა.

ბოლოს მიადგნენ წიგნის იმ ადგილს, სადაც შორენას დაღუპვაა აღწერილი.

სასახლის ჭორებმა და აკრძალულმა სიყვარულმა აიძულეს ქალწული მონასტერს შეხიზნებოდა. იქაც ხომ არ უსვენებდნენ ენაჭარტალა მოლოზნე-

ბი. სიცოცხლეს უწამლავდნენ მითქმა-მოთქმით. აი, იმ მონასტერში მოხდა ეს ამბავიც.

„...ერთხელ საღამოს ლოცვის შემდეგ, კვიპაროსის ქვეშ ისხდნენ ეფემია და შუშანიკ.

მოშორებით ალვის ხე იდგა ქარაფის კიდეს, კბოდეს გადაღმა თვალშეუდგამი უფსკრული იყო.

მდუმარედ შესცქეროდნენ ჩამავალი მზის სხივთა თამაშს სვეტიცხოველის გუმბათზე.

ოქროს ფურცლებით იყო გადახურული ტაძრის ზეთავი მაშინ, და ეს სანახაობა დიახაც ახარებდა თვალს.

ვიღაც ენაჭარტალა მონაზონი უკითხავად მიეკედლა ამ ორთა. მათ ფერხთით დაცუცქდა, სვეტიცხოველს გადახედა, ამოიოხრა და ეუბნება უფროს მონაზონს:

„იცი, დედაო ეფემია, რა მომხდარა გუშინ მცხეთაში?“ ეფემიას ყოველგვარი კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი ამ ცხოვრებასთან, გულგრილად ეუბნება ცნობისმოყვარეს:

— რა მომხდარაო, დაო?

— ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, ვიღაც ლაზს შეჰყვარებია ერისთავის ასული, ძალუმად ლამაზი ყოფილა მაგ დიაცი, ქა, მეფე გიორგის ნდომია იგი საცოლედ, ხუროთმოძღვრის სიყვარული არჩია თურმე მაგ სულელმა დედოფლობასა.

ეს მეფეს გაუგია, მერმე წაუსწრეს თურმე შეყვარებულებს, ქა, დიაცი გაქცეულა, მაგრამ საწმერთული დარჩენია ხუროთმოძღვრის სასთაულს ქვეშ, განრისხებულა მეფე გიორგი, ქა, მკლავი მოუჭრიათ იმ ლაზისათვის ბოლოს“.

შორენას მიწისფერმა გადაჰკრა ამის გამგონეს, სავსებით ჩაეფერფლა თვალები.

მოაგონდა: მართლაც რომ დაიკარგა საწმერთული ხოხობის ყელისფერი, ამ ორი კვირის წინათ. მცირე ხანს გატვრინული იჯდა, მერმე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ, ალვისხემდის რა მიაწია, ეფემიამ მიაძახა:

— სად მიხვალო, შუშანიკ!

— ახლავე მოვალო, დედაო ეფემია.

ესა სთქვა, პირჯვარი გადაიწერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა.

„...და როცა კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მიწამდის არ დაჰყოლია სული.

...სწორედ მეორე დღეს დიდ დარბაზში შემოვიდა მთავარეპისკოპოზი რაჟდენი, მეფე ნარგილეს მიჯდომოდა და თრიაქსა სწევდა. მიმოიხედა ვიგრმა, რა დარწმუნდა, არავინ არისო სხვა, ამცნო შორენას დაღუპვის ამბავი გიორგის.

უსიტყოდ წამოდგა მეფე, საწოლის დარბაზში შევიდა, მესაწოლე დაითხოვა, კარები გადაიკეტა თავათ. ინით შეიღება წვერი, მდაბიორის სამოსი ჩაიცვა კვლავ.

შემდგომ ამისა, „მისი მნახველიც ვერავინ იპოვნეს. ერთადერთი ნუგეში ეს იყო: მადევარი ძაღლიც აღარსად იყო — ყურშაი.

...როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰქროდა.

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცდა სიმართლე მისი უთავქამო და ბობოქარი ცხოვრების გამო. როცა მოტირალნი, დიდებულები და მოსეირენი წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

— „არც სიკვდილში ჰქონია გიორგი მეფეს ბედი“. რატისეულ სასახლეში კი სწორედ ამ დროს ნონაი ბალახებს ხარშავდა თავის სამყოფლოში და როცა ცრემლი მოზღვავდებოდა, კაბის კალთით იწმენდდა თვალებს. აქ დიდოსტატი კონსტანტინე კვდებოდა.

„წუხდა ნონაი, არც ბოდოკია სჩანდა სადმე, აღარც დედა სულთმობრძავისა. ისევ აიღო ავადმყოფმა თავი, ასე ეჩვენა კონსტანტინეს: ...შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი“.

— ხომ გახსოვთ, — მეფე რომ ფარსმანს შეეკითხა: „— რას იტყვით ახლად აგებულ ტაძრის შესახებ?“

ფარსმანმა გესლიანად უპასუხა:

„...არც ახლადაგებული ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას“.

— დიახ, ათასი წლის მიწისძვრებმა გამოსცადა, მტერმაც ბევრჯერ სცადა დანგრევა მისი, მაგრამ ამაოდ.

თავისი არსებობის ცხრა საუკუნის განმავლობაში ტაძარს არა ერთხელ დამუქრებია მოსპობის საფრთხე. თემურლენგმა შენობის დასავლეთის მხრის თაღების ბურჯები მოანგრევინა, მაგრამ ტაძრის დანგრევა მაინც ვერ შეძლო.

სტუმარმა და მასპინძელმა კიდევ შეათვალიერეს ვაზის მტევნები სვეტიცხოვლისა, ოსტატის ხელით ამოჭრილი თეძამის ქვაზე.

შემდეგ ისინი ქონგურებიან გალავნის შემოსასვლელ ბჭეკარს გასცდნენ და იქვე, დაბალ გალავანთან მივიდნენ, — მე თქვენ ისეთ ადგილს გაჩვენებთ, რაზედაც პოეტებმა უნდა წერონ, მხატვრებმა უნდა ხატონ...

ძველი ისტორიკოსის — ლეონტი მროველის ცნობით, შირიან მეფის დროს, სვეტიცხოვლის ტაძრის გარშემო ბაღი უნდა ყოფილიყო, რადგან

ლეონტი წერს: „ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა შინა თვის, სადაც არს კვართი უფლისა“. აქ ეს სამოთხე ნიშნავს ბაღს, ბაღნარს, წალკოტს.

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, ხალხში რამდენი ბრძნული ნათქვამია გაბნეული, არა? ხალხს ნამდვილად უთქვია — „ფუძემ მოითხოვაო“ — ასეა, საუკუნეების წინათ ამ ადგილს მირიან მეფისა და ნანა დედოფლის წალკოტი ყოფილაო. აქ ამ „სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი, ზოგნი — ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი; სხვანი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოსძვლისფერისანი. ჰყვაოდნენ ბაღის ყაყაჩოებიც. სუსამბარები და ნარგიზები, ნაირ-ნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამალი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას“.

განვლეს საუკუნეებმა და ამ აოხრებულ, გავერანებულ, ქვა-ღორღიან მიწაზე, თითქოს მართლაც „ფუძემ მოითხოვაო“, საუკუნემ შვა დიდი ხელოვანი, დიდოსტატი ყვავილებისა.

მცხეთაში ისევ აყვავდნენ სუსამბარები და ნარგიზები, აყვავდნენ ბაღის ყაყაჩოებიც. ამ ბაღში განა მარტო ჩვენი ქვეყნის ვარდ-ყვავილები ჰყვავიან? აქ მრავლად არიან სხვადასხვა ქვეყნის ბაღის დედოფლები. აქეთ ფრანგული და ინგლისური ვარდებია, იქით გერმანული და ჰოლანდიური; ვინ მოსთვლის, ვინ აღწერს, ბაღის სილამაზეს; აბა როგორ დაიხსომებთ ამ მშვენიერი ვარდ-ყვავილების ელვარებასა და სურნელებას. განა ცოტაა — უთვალავია, უამრავია.

ეს პატარა ბაღი, ციცქნა მიწა, საოცრად მოქარგულა ბუნების მრავალფეროვანი მცენარეულობით.

აქ დიდ პატივში არიან ტყისა და ველის ყვავილებიც.

ბაღში შევიდნენ, მოხუცი მებაღე ლანდივით ეპარებოდა ყვავილებს. დრო და დრო კი ტკბილად გაუღიმებდა და შესცინოდა.

იცნობდეთ: აი, ესეც მებაღე — მიხეილ მამულაშვილი. კარგა ხანს ათვალიერებენ ბაღს. ბაღის სტუმარი ქართულ კერამიკაში ამეტყველებულმა ხელოვნებამ მოხიბლა და აღტაცებას ვერ მალავს.

— დიახ, მე დღემდე საქართველოს მიწის მადლი არ მცოდნია, დღემდე არ მინახავს ქართული ხელოვნება. ამ ბაღში თვითეული ყვავილი ხომ ლექსის სტრიქონია, აი, ამისთანა ადგილს ეტანება მუზა! შემოქმედი აქ აივსება შთაგონებით...

სტუმარი ახლოს მივა მოხუცთან, მოკრძალებით აკოცებს მხარზე, მარჯვენას ულოცავს და ეუბნება:

— თქვენ დიდოსტატი ხართ ყვავილებისა, დიდზე დიდი ხელოვანი ხართ. თქვენი ხელოვნებაც უკვდავია სვეტიცხოველივით. განა ხელოვნება წარმავალია? — იცოცხლეთ, იცოცხლეთ კარგო მოხუცო... ის კი მორცხვად გაიძახის თავისას:

— აბა, მე რა გავაკეთე ამისთანა საკვირველი. დასალოცი და საქებარი, აი, ის მარჯვენა არისო და სვეტიცხოვლის კედლისაკენ გაიშვერს ხელს.

— იმას ჰქონია მარჯვენაც და მარცხენაც, ცოდო არ იყო იმისი მოკვეთა? — სინანულით ამბობს მოხუცი და ნაღვლიანი სახით გაჰყურებს იქვე ახლოს ბაღის გადაღმა აღმართულ სვეტიცხოვლის კედელზე გამოკვეთილ მარჯვენას, მოკვეთილ მარჯვენას, ხელთ რომ გონიო უპყრია.

დიახ, აქ ყველაფერი მეტყველია; თითქოს ქვებიც კი ლაპარაკობენ. ჩურჩულებენ ყვავილები, შრიალებენ მუხის ტოტები, თავს იწონებს ქართული ზამბახი, კეკლუცობენ იისფერი ამაყი შროშანები. ირხევიან ჭადრის ტოტები და ამ შრიალში გაისმის ყვავილების ჩურჩული.

— საქართველო მთლიანად ბაღნარია, ხოლო ეს ბაღი უმცირესი ნაწილაკია საქართველოს ლამაზი ბუნებისა.

— საოცარია, საოცარი, არასდროს დამავიწყდება საქართველო; მცხეთა, მართლაც გმირთა სავანე ყოფილა. მე აქ ვნახე ორი მარჯვენა, კონსტანტინე არსაკიძის ქვასთან მებრძოლი მარჯვენა, მარჯვენა მოკვეთილი — „რატომ კარგი აგიგიაო“. და, მეორე, ოთხმოცდაათი წლის მოხუცი მებაღის მიხეილ მამულაშვილის მიწიანი მარჯვენა — მარჯვენა დალოცვილი, მადლიანი და დაფასებული.

ᲨᲘᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ

ისევ ბაღში ვარ. ზოგი რამ კიდევ დამრჩა საკითხავი და ვფიქრობ, თუ როგორ შევაპარო მებაღეს კითხვები. ეს კი არის, რომ ძალიან მეძნელება, არ ვიცი როგორ დავიწყო. მოუსვენრად ვტრიალებ. ხან ბაღში დავდივარ, ყვავილებს ვეფერები და ვესაუბრები, — მოხუცმა ასე მიმაჩვია, — ხან კი მის სამუშაო ოთახებს ვათვალიერებ. ვნატრობ: ნეტავი, რომელიმე ყვავილს ან მცენარეს შეეძლოს ჩემი გულის წადილის გაგება. აღარ მინდა მოხუცის შეწუხება, მაგრამ რა ვქნა, ისევ უნდა ავედევნო „ყვავილების პაპას“. უსიტყვოდ დავყვები უკან, ვატყობ მიმიხვდა, მაგრამ ალბათ განგებ არაფერს მეუბნება, კარგა ხნის შემდეგ მომიტრიალდა და მითხრა:

— ნეტავი, რა ფეხდაფეხ დამდევ, აღარ დამეხსნები?

მოულოდნელმა ხმამ შემაკრთო, მოხუცმა შემამჩნია და ორივეს გაგვეცინა.

— ნეტავი, გამაგებინა რისთვის გინდა, რისთვის გჭირდება ეს ჩემი ავანჩავანი, ყველაფერი რომ ეგრე გაინტერესებს, ყველაფერში რომ შიგ გინდა ჩაძვრე. აბა, არაფერი დაგრჩეს უკითხავი. აი, დაგწყევლა ღმერთმა, ვითომ გონიერი ხარ... რამდენჯერ უნდა გითხრა; აი, ბაღი. თუ შეგიძლიან წაიკითხე, აქ ყველაფერი წერია... ერთი მაცოდინა რასა წერ ასე გაუთავებელს, რომ ვერ იქნა და ვერ დაასრულე.

მოხუცი წიფლის კუნძს მიუტრიალდა, ხმელ ტოტზე ქოლგასავით გადაშლილიყო აბედა სოკო, ადგილი შეუცვალა მას. ხის გადანაჭრებითა და კუნძებით მოწყობილი სკამ-სავარძლები ყვავილებისაკენ შეაბრუნა. იქვე, ვითომ და დეკორაციული „უწესრიგობით“, ხავსმოდებული, დაგრეხილი ხის ტოტი მიაგდო. ტოტთან ქვევრისა და კრამიტის ნატეხები დააწყო, ამ ნამტვრევებში კარგა მოზრდილი ქვა ჩადო; ქვაზე ყვავილი ჰყვაოდა; გამიკვირდა, ახლოს მივედი და აი, რა ვნახე: ქვის ჩაღრმავებულ ადგილს მიწა ჩაეყარა და შიგ პატარა კაქტუსს მოეკალათა.

ისევ ქვები, ისევ თიხის ჯამ-ჭურჭლის ნატეხები. ეს ყველაფერი ისე მიალაგ-მოალაგა, იმისთანა ლამაზი სანახაობა შექმნა, რომ თვალი ვერ მოვაცილე. ბოლოს პატარა, ლამაზი ყვავილი — წინწკალა დააბინავა და ამით

თითქოს წერტილიც დასვა. სურათი დასრულდა. დიახ, მის ბაღში ქვაზედაც შრიალებს სიცოცხლე.

მერე მე მომიტრიალდა, შემომხედა და მითხრა:

— ახლა შენი რიგია, გვიბრძანეთ, რა გნებავთ? მე ისევ ამ სახელდახელოდ მოწყობილ მხატვრულ კუთხეზე ვფიქრობდი. მერე ბლოკნოტი გადავშალე და წავუკითხე:

„თბილისის სტენდი უნდა ნახოს ყველა ჩვენი პარკის დირექტორმა. ჩვენთან უყვართ პარკთმშენებლობაში დიდძალი გრანიტის, მარმარილოსა და თუჯის სხმულის გამოყენება. ნამდვილად კი, თურმე, შესაძლებელი ყოფილა თიხის ქოთნის ნატეხებით, ლასტებით, ხავსიანი ხის ტოტებითა და ბუნებრივი ქვებით მიაღწიო გაცილებით მეტ ეფექტს და ხალხს მისცე მეტი სიამოვნება.

ასეთი გაფორმება უფრო მეტად შეუწყობს ხელს მშრომელთა დასვენებას, ვიდრე გრანიტისა და მარმარილოს ძვირფასი ნაგებობა“.

— ეგ სადღა ჩაიწერე?

— მოსკოვში, გორკის სახელობის ბაღში „ყვავილების ზეიმზე“. თბილისის სტენდის შთაბეჭდილების ექვს დიდ ტომში, ცამეტი დღის განმავლობაში რომ შეავსეს მნახველებმა.

— აკი გითხარი ჯადო ხარ მეთქი!..

კიდევ გადავხედე ბაღს, ერთი კიდევ შევათვალიერე იქაურობა და მებაღეს უფრო გავუთამამდი:

— პაპა, ყველაფერი კარგად მოწყობილი და მოვლილი გაქვთ, მაგრამ ერთი რაღაც აკლია ბაღს, აბა, თქვენ თუ მიმიხვდებით, რის თქმა მინდა?

მოხუცმა შემომხედა, თვალი გამისწორა, თითქოს არ გაიკვირვა და მითხრა:

— აბა, ბრძანეთ, რა გაკლიათ თვალში?

— არა, მე არ გეტყვით, თქვენ თითონ თუ მიხვდებით, რას ვგულისხმობ?

— მიგიხვდი, მიგიხვდი და ეგ არის... ჩანჩქერი და აუზი გნებავს არა? — გამიცინა, — მეც ბევრჯერ მიფიქრია ლამაზი კუთხის მოწყობა, მაგრამ აქ არ მოხერხდება. ძალიან სივიწროვეა.

ისევ შევაპარე კითხვა:

— პაპა, ნარეკვავის ბაღი როდის გადაეცით კოლმეურნეობას?

— ისევ თავიდან მიწყებ გამოკითხვას? დამეხსენი.

— თავიდან არა, მაგრამ მაინტერესებს რომელ წელს იყო?

— 1930 წელი გახლდათ.

— ამ ბაღის გაშენება როდისღა დაიწყეთ?

— როდის დავიწყე? როგორც კი მცხეთაში ჩამოვსახლდით. ეს ბაღი ძველისძველია. ამის გაშენებისას იმისთანა გაჭირვება გამოვიარეთ, რომ... მოგონებაც არ მინდა; ეს ადგილები, საერთოდ მცხეთის მიდამოები სულ ქვა-ღორღითა და ნანგრევებით არის სავსე. მიწაც არა ჩანდა. რის ვაი-

ვაგლახით გავწმინდეთ კირ-ქვისაგან, მერე ზედაზნიდან ტყის მიწა შემოვზიდეთ, თორემ ქვაღორღში ყველა მცენარე და ყვავილი ხომ არ იცოცხლებს.

ყველაზე საცოდაობა მაინც მორწყვა იყო... ამ სოფელს განა დასალევი წყალი ჰქონდა? არაგვიდან ამოგვქონდა სასმელი წყალი. ბაღის მოსარწყავად კი ურმით ვეზიდებოდით კასრებით და ისე ვრწყავდით ამოდენა მცენარესა და ყვავილს.

კარგა ხანი დაგვტანჯა ამ ეზომ მე და ჩემი ძმები. ისინიც მხარში მიდგნენ, იმათაც ძალიან უყვარდათ ეს საქმე. განა მარტო მე შეეძლებდი ამოდენასა? ამ საქმისათვის ყველა ერთნაირად თავდადებული ვიყავით. და, აი, რის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, ჩვენს ჭკუაზე ძლივს მოვიყვანეთ. ეს ეზო-კარი ასლა კი, როგორც ხედავთ, დღემდე ხელი არ მოჰკლებია და იმიტომაც ჰყვავის. თუმცა პირველ წელს ბედმა არ გამიღიმა — იმისთანა უბედურება დამატყდა თავს, რომ ახლაც, გამახსენდება თუ არა ის დაწყეველილი დღე, გული გამიბოროტდება ხოლმე.

— რა მოხდა იმისთანა? — მოუთმენლად შევეკითხე.

— რა მოხდა და... პირველ წელს, აყვავებულ ბაღს იმისთანა სეტყვამ წამოუარა, რომ სულ გააცამტვერა აქაურობა. მიწასთან გაასწორა ჩვენი ნაშრომი. მილეწ-მოლეწილი, ნაომარივით აოხრებული ბაღი, იმისთანა საცოდავი სანახავი იყო, რომ მტერიც კი ატირდებოდა, მაგრამ განა გული გავიტეხეთ? ისევ ხელახლა დავიწყეთ ბაღის გაშენება. ამას შევალიე ჯანი და სიჯაელეახლა რომ ასე ლამაზად მოჩანს, განა ეგრე იყო?

ამ ეზოს, ჩემი ხელით აშენებული გალავანი ჰქონდა შემორტყმული, ისიც დაინგრა. საცოდავად მქონდა ეზო შემოუღობავი, ხან კაცი გადაუვლიდა ზედა და ხან, ვინ იცის რა.

ეს რკინის ღობე ახალია. რაიონის ხელმძღვანელებმა გააკეთებინეს, ასე გამილამაზეს, მაშა... შემოსასვლელ კარზე ზარიც გამიკეთეს, ბინაზე ტელეფონიც დამიდგეს, ამას უწინ ვინ მაღირსებდა. და ღიმილით მეუბნება:

— მიხარია, რომ ასეთ კარგ დროს შეგესწარი... უწინა, როცა მე ბაღს ვაშენებდი, დამცინოდნენ, ეს კაცი სულელიაო, ამ ყვავილების დარგვას, ბოსტნეული მოიყვანოს არ ურჩევნია ამ გაჭირვებულსაო?.. მართლაც, იმ დროში, გლეხი კაცი ეზოს როგორ მოაცდენდა ვარდ-ყვავილებისათვის, ლობიო და ხახვი სანატრელად ჰქონდა გადაქცეული; ახლა კი გაგიხარია, მას შემდეგ, რაც ოჯახის სარჩო-საბადებელი კოლმეურნეობის მინდვრებიდან მოდის, მშრომელებმა საკარმიდამო ნაკვეთი ბაღნარად გადააქციეს. ახლა განა მარტო ჩემს ეზოშია ვარდ-ყვავილები? ყველგანაც არის...

— პაპა, ნარეკვავის ბაღის შემდეგ სად მუშაობდით?

— ეჰ, შვილო, სად აღარ მიმუშავია, იმოდენა ადგილებში ვმუშაობდი, რომ ჩამოთვლაც გამიჭირდება. 1931 წლიდან 1936 წლამდე სამტრესტის

შამულებში ვმუშაობდი... იმათ საბჭოთა მეურნეობებს ბევრი დეკორაციული ბაღები ჰქონდა. ძველს ვუვლიდი, ახალს ვაშენებდი.

— რომელ რაიონში მუშაობდით?

— რომელ რაიონში და... ბევრგან... წინანდალში, ყვარელში... ყვარელში თუ გინახავს დიდი საბჭოთა მეურნეობა. ადმინისტრაციული სახლის წინ 5,5 ჰექტარზე გავაშენე ბაღი-წალკოტი. იქ თვითეული მცენარე ჩემი ხელითაა დარგული, განა ცოტაა — 87 სახეობის ბაღური ფორმა და ჰიბრიდია. ჯიშთა ამგვარი მრავალფეროვნება იმ დროისათვის მეტად საძნელო საქმე იყო. წინანდალში ხშირად ჩავდიოდი და ბაღსაც ეტყობოდა ჩემი ხელი.

საბურთალოზე ბაქტერიოფაგშიც ვმუშაობდი.

1936 წლიდან 1938 წლამდე გლდანის, გაგრის, სოჭის სახელმწიფო მამულებში ვმუშაობდი; აბა, რომელი ერთი ჩამოგითვალო. არსენას ბაღიც იმ დროინდელია. მცხეთის კლუბთან რომ ბაღია, ისიც ჩემი გაშენებულია.

დანარჩენი შენ გეცოდინება, არ გეყოფა?

განა ყველაფერი მახსოეს... რა ვიცი, ყველგან მიწვევენ საკონსულტაციოდ. ქალაქების, კურორტების, დასასვენებელი სახლების გასამწვანებლად. შარშანაც ბოტანიკური ბაღის დირექტორთან ერთად კურორტ ბიჭვინთის კეთილმოწყობის კონსულტანტად მიმიწვიეს. მუხლი აღარ მიმდევს თორემ, განა დავიზარებ? რაკი აღარ მეშვებიან, ყველგანაც დავდივარ კიდევ. როცა მოესურვებათ, გამომივლიან მანქანით და წამიყვანენ ხოლმე. ერთი თქვენებურად გადახედეთ აქაურობასაო. რამდენი სამკურნალო მცენარე და ყვავილი შემიგროვებია, ვინ იცის. რამდენი ნერგები გასულა ჩემი ბაღიდან, რამდენი გერანი და ყაზანლიყის ვარდი დამიმზადებია.

როცა ნარეკვავის ბაღი ჩემ ხელთ იყო, სასათბურე მეურნეობა კარგად მქონდა მოწყობილი. ფართობი დიდი იყო და სხვადასხვა სახის ხეხილისა და მცენარის ნერგებიც ბლომად მქონდა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, კარგად ეხმარებოდა მთავრობას ჩემი მეურნეობა.

— პაპა, მებაღე-დეკორატორისათვის ხომ აუცილებელია მხატვრის ნიჭი?

— აუცილებლად, უმაგისოდ არაფერი გამოუვა. ახლა, როცა ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქების არქიტექტურულ იერსა და სოფლად საკარმიდამო ბაღნარებსა და საერთოდ გამწვანებას, განა უნიჭო მებაღე-დეკორატორის ჩანაფიქრით შესრულებულ სამუშაოს დიდი ღირსება ექნება? სულაც არა. წარმოიდგინეთ, ქალაქში ვართ. დავსეირნობთ ქუჩაში; შეხედავ, სახლი შეღებილია ყვითლად, წინ გაზონია, მებაღე ანგარიშს არ უწევს ამას და შეუფერებელი ფერისა და ზომის ყვავილს რგავს. ეს კი ასე როდი უნდა. ეს ხომ თვალის სიამოვნებაა: ყვავილის ფერი და მცენარის ზომა შეხამებული უნდა იყოს შენობის ფონთან. მარტო ფონთან კი არა, მის ფორმასა და ზომასთან. ამიტომ მებაღე-დეკორატორი მხატვარიც უნდა იყოს. ხომ გინახავთ ზოგიერთი სკვერი, ყვავილნარი ან ბაღი; თითქოს, შიგ ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ ამეტყველება აკლია, დეკორაციული მებაღეობის მშვენიერება ამით იწერება და წაკითხვა უნდა შეიძლებოდეს. მაშინ იქ საჭიროა მხატვრის ფუნჯის ერთი შემოქნევა, ერთი დარტყმა და ყველაფერი რიგზე იქნება, ამეტყველდება.

— პაპა, ყვავილების ზეიმის შესახებ რას მეტყვით, როგორ მოგწონთ ეს დღეობა?

— ეს არ არის ახალი ამბავი, საქართველოში შორეული წარსულიდან ტარდებოდა ვარდობის დღესასწაული „შვიდმაისობის", „ვარდობის დღესასწაულის" სახელით.

კარგია, ძლიერ კარგია, ახლაც რომ ისევ შემოიღეს ეს ზეიმი. ადამიანში თითქოს სიცოცხლის გაახლება ხდებაო, ხალისი და ინტერესი ემატება ადამიანს. წინათ, საქართველოში მაისის საღამოს ვაჟები ველ-მინდვრის ყვავილებითა და ცოცხალი ლამაზი ტოტებით რთავდნენ იმ სახლს, სადაც თავისი სატრფო ეგულებოდათ.

წარმოიდგინეთ იმ ღამის გათენება რა იქნებოდა იმ ვაჟებისათვის, რომლებიც გულისტოლის პასუხს მოელოდნენ... თუ ქალი თანაუგრძნობდა ვაჟის სიყვარულს, მაშინ იმ ყვავილებს ოჯახში შეიტანდა და მეორე დილით იმ ვარდებით მოირთვებოდა; ხოლო, თუ ქალს არ სურდა ვაჟთან მეგობრობა, მაშინ ყვავილებს ხელს არ შეახებდა. ეს იყო გარკვეული, უსიტყვო პასუხი ქალისა ვაჟის მიმართ.

— ახლა ხომ გაიხარე, ამდენი რომ მალაპარაკე — გამეხუმრა. შევატყე, თვითონაც ნასიამოვნები იყო დღევანდელი შეხვედრით. მერე ვარდებისაკენ გაეშურა, ცოტა ხნის შემდეგ ბაღის კარებში დამიხვდა და ლამაზი თაიგული გამომიწოდა.

— აბა, ისიამოვნეთ.

მე დიდად ვიუარე.

— პაპავ, არა, ეგ არ იქნება. არ წავიღებ... აქ ვინც შემოვა, ყველას რომ ყვავილები აძლიოთ, ეს ბაღი ერთ კვირაში გაგიღარიბდებათ.

— შენ მაგისი ჯავრი ნუ გექნება; აქ ყვავილები ყველასათვის საკმარისია. შენ რომ იცოდე, აქედან საჩუქრად რამდენი ყვავილები გადის და გასულა ყოველდღიურად, მაშინ რაღას იტყოდი...

დღე არ გავა რომ იუბილეებისთვის, ქორწილებისთვის ან დისერტანტებისათვის ვარდ-ყვავილები არ წაიღონ...

მერე უფრო ხმამაღლა მითხრა ხუმრობით:

— წაიღე, წაიღე!.. იქნება ამით მაინც მოგიშორო თავიდან. ძუნწი კაცის ქონებას არა აქვს ბარაქა, თორემ ჩემი ბაღი შიოს მარანია... — მერე ჩამ-კითხა: ჩვენი ნაცნობობის წლისთავი შესრულდა, არა? აი, წელიწადი გახდა, რაც ამ ბაღს შემოეჩვიე; ხომ გახსოვს, შარშან გაზაფხულზე არ მომელანდე?

— დიახ, გაზაფხული იყო, მაისის თვე. ყვავილების ზეიმი.

— ჰოდა, ახლაც ის ზეიმია, მაგრამ შენ კი ვერ მოგიშორე თავიდან.

მებაღემ თითქმის ძალით შემომაჩეჩა ხელში ყვავილები. დავემშვიდობე და ის იყო წამოსვლა დავაპირე, რომ მისი ხმა მომესმა:

— როდის ჩამობრძანდები?... არ დაიკარგო...

მოხუცი ბაღის კართან იდგა და ღიმილით მაცილებდა...

შინაარსი

დილა მშვიდობისა!	3
მიწიანი თითები	11
ყვავილებმა იძალეს	25
ორი ილია	30
ფერმილეული ყვავილები	38
ბაღის სტუმრები	43
„უჩინარი" მასწავლებელი	49
ძველი და ახალი ბარათები	53
გაჭირვების ტალკვესი	57
ბაღის მეგობრები	61
პაპის კვალზე	68
ყვავილების ფიროსმანი	73
მებაღის ვარსკვლავი	76
ორი მარჯვენა	80
შიოს მარანი	90

Кетевана Захарьевна Хахуташвили

Миндия из Мцхеты

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1963